პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 29 ივლისი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 174 (2217)

დღიური

- საგაფიცვო მოძრაობა საფრანგეთის მეზღვაურთა შორის ძლიერდება.
- „დეილი ჰერალდი" მექსიკის ამბების შესახებ.
- ლიეჟში (ბელგია) შესდგა საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის აღმასკომის სხდომა.
- რიგაში დახურეს მემარცხენე პროფკავშირების ბიურო.
- დაპატიმრებანი ბელგიის პალატაში.
- დაიხურა რადიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი.
- 1-ლ აგვისტოს იხსნება ავიო-მიმოსვლა მოსკოვ - ნოვოსიბირსკს შორის.

ღირსშესანიშნავი იუბილე

ა. წ. 30 ივლისს შესრულდება 25-წლიწადი მას აქეთ, რაც ქ. ბრიუსელში გაიხსნა **რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა**, რომელიც შემდეგ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად გადაიქცა. იქ პირველად ჩამოყალიბდა ორი მიმართულება რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონურ და სოციალისტურ მოძრაობაში—**ბოლშევიზმი და მენშევიზმი**, როგორც ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე პოლიტიკური მიმართულებანი თუ პარტიები. მართალია, ფორმალურად გათიშვა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი, მაგრამ არსებითად ბოლშევიზმი და მენშევიზმი წარმოშობისთანავე ორი სრულიად სხვადასხვა პოლიტიკური პარტია იყო. ამას ნათლად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ამ ორი მიმართულების შეთანხმება, ე. ი. იმათგან ერთი მთლიანი პარტიის შექმნა არავზით არ მოხერხდა, მიუხედავად მრავალჯერ განმეორებული ცდისა. პირიქით, რაც დრო გადიოდა ბოლშევიზმი და მენშევიზმი თანდათან უფრო შორდებოდენ ერთმანეთს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიზმი და მენშევიზმი მხოლოდ მეორე ყრილობის დროს კი არ წარმოშობილა. იმათი ფესვები ჯერ კიდევ მეორე ყრილობამდე არსებობდენ რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მოძრაობაში. ასე მაგალითად, ერთი მხრით იყო რევოლიუციონური მარქსიზმი, რომლის წარმომადგენლები სასტიკად იცავდენ რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში **მარქს-ენგელსის თეორიას და პრაქტიკას**. ესენი იყვნენ ძველი თაობის მარქსისტები, „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" წარმომადგენლები: **პლეხანოვი, ვ. ზასულიჩი, აქსელროდი და შემდეგ ლენინი და მარტოვიც** პირველ ხანებში. მეორე მხრით იყვნენ **ლეგალური მარქსიზმის** წარმომადგენლები, ე. წ. **„ეკონომისტები", რეფორმისტები რევიზიონისტები** (ბერშტეინის მომხრეები); ესენი წარმოადგენდენ მუშათა კლასის მოძრაობაში **ოპორტიუნისტულ მიმართულებას** (კრიჩევსკი, პროკოპოვიჩი, კუსკოვა, აკიმოვი, მარტინოვი), ეკუთვნოდენ რუსეთის მარქსისტების ახალ თაობას, და თუმცა თავის თავს უწოდებდენ მარქსისტებს, მაგრამ არსებითად მარქსის და ენგელსის რევოლიუციონურ თეორიასთან მათ საერთო არა ჰქონდათ რა. ისინი ლამობდენ ინგლისის **ტრედ-იუნიონიზმის** პრაქტიკის გადმონერგვას რუსეთის პირობებში, მაგრამ იმათ საუბედუროთ, რუსეთის მაშინდელი პირობები სრულებით არ წააგავდენ ინგლისის იმდროინდელ პირობებს.

ყველა ეს დაჯგუფებანი რუსეთის სოც-დემოკრატიულ მოძრაობაში განუწყვეტლივ იბრძოდენ თავისი მიმართულების გასავრცელებლად და დასამკვიდრებლად მუშებში. ერთ დროს ძლიერი „ეკონომიზმი" მეორე ყრილობის დროს უკვე დამარცხებულად ითვლებოდა, რასაც უნდა ვუმადლოდეთ **ლენინს** და მისი მეცადინეობით დაარსებულ გაზ. „ისკრას" („ნაპერწკალი"). ყრილობაზე ეკონომიზმმა კიდევ იჩინა თავი, და საყურადღებოა ის, რომ ეხლა მას მიემხრო სხვადასხვა მოსაზრებით „ისკრის" რედაქციის ზოგიერთი წევრები, რომლებიც წინედ ეკონომიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდენ, სახელდობრ: მარტოვი, ზასულიჩი და შემდეგ პლეხანოვიც. ამნაირად, როგორც ვთქვით, ბოლშევიზმის და მენშევიზმის ფესვები ყრილობამდე არსებობდენ რუსეთის სოციალურ დემოკრატიაში. მეორე ყრილობა ამ მხრივ საყურადღებოა მით, რომ იქ ეს მთავარი მიმდინარეობანი რუსეთის სოც. - დემოკრატიაში საბოლოოდ და გარკვევით იქნენ ჩამოყალიბებული. ამიერიდან თითოეული ამ მიმდინარეობათაგანი მიდიოდა უკვე თავის საკუთარი გზით.

პირველ ხანებში ყველას ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ ბოლშევიზმი და მენშევიზმი ნაყოფია მხოლოდ რუსეთის განსაკუთრებულ სპეციფიურ პირობების, ე. ი. ასეთ მიმდინარეობათა შექმნა შეეძლო მხოლოდ ჩამორჩენილ, განუვითარებელ, თითქმის ბარბაროსულ რუსეთს, და ამიტომ ეგონათ, რომ იმათ სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ განათლებულ და მოწინავე ევროპასა და ამერიკის ქვეყნებისათვის. მაგრამ ეს არ გამართლდა. პირიქით, ორივე ამ მიმდინარეობამ, ე. ი. როგორც ბოლშევიზმმა ისე მენშევიზმმა მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვეს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მოწამენი ვართ იმის, რომ დედამიწაზე არ არის თითქმის არც ერთი ქვეყანა, სადაც ბოლშევიზმი არ შეჭრილიყოს, სადაც არ ხდებოდეს ბოლშევიკურ-კომუნისტურ პარტიების წარმოშობა და განვითარება, სადაც ბოლშევიზმის შემქნელის—**ლენინის** გავლენა დღითი დღე არ იზრდებოდეს. ისევე ყოველგან ოპორტიუნისტულ მიმდინარეობას ეწოდება „მენშევიზმი". ვინღა არ ხედავს, რომ მუშათა მასების გარევოლიუციონერება და სოციალიზმის ბანაკში გადასვლა თითქმის ყოველგან ხდება ბოლშევიზმის ანუ ლენინიზმის დროშის ქვეშ, ისე როგორც მენშევიზმის დროშის ქვეშ, იყრიან თავს ყველა ქვეყნის რეფორმისტები, რევიზიონისტები და ოპორტუნისტები. ამნაირად რევოლიუციონური მარქსიზმი რომელიც დროთა განმავლობაში ნელ-ნელა და შეუმჩნევლად გადამახინჯებულ იქნა მეორე ინტერნაციონალის მიერ, კვლავ განახლდა რუსეთში ბოლშევიზმის სახით, და აქედან ის ავრცელებს თავის გავლენას მთელ მსოფლიოზე. ბოლშევიზმი და მენშევიზმი უკვე დიდი ხანია შევიდენ მუშათა კლასის საერთაშორისო ლექსიკონში, ისე როგორც რუსული ტერმინი „სოვეტები", რომელმაც შესცვალა **პარიზის კომუნის** სახელწოდება და რომელიც გამოხატავს პროლეტარიატის დიქტატურას.

ბოლშევიზმი, როგორც პროლეტარიატის რევოლიუციონური პარტია, არსებობს უკვე 25 წელიწადია. ეს არის ნამდვილი რევოლიუციონური—მარქსიზმის მიმდევარი პარტია. თავის არსებობის დროს მას არასდროს არ უღალატნია იმ პრინციპებისათვის, რომლებიც მეორე ყრილობამ მიიღო. ის შეურყევლად მიდიოდა წინ ერთხელ არჩეულ გზით ამ ხნის განმავლობაში მან მოამზადა და გადაიტანა სამი დიდი რევოლიუცია (1905 და 1917 წლ. თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციები), ის არ ეპუებოდა დროებით დამარცხებას და უფრო მედგრად მიისწრაფოდა გამარჯვებისაკენ.დამარცხება მისთვის იყო გაკვეთილი,რომელზედაც ის სწავლობდა, რათა მომავალში უზრუნველეყო გამარჯვება, **ბოლშევიკური პარტია შეიქნა პროლეტარულ მასების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ყველა ბრძოლებში.** მან დარაზმა ეს მასები და გამოიყვანა საბრძოლველად მჩაგვრელი კლასების წინააღმდეგ. მან უკვე განახორციელა ის პროგრამა, რომელიც 25 წლის წინეთ იყო მიღებული მეორე ყრილობაზე. 1905 წლის რევოლიუციით მან შეარყია მეფის თვითმპყრობელობა: 1917 წლ თებერვლის რევოლიუციით მან სამუდამოდ დაამხო რუსეთის მეფის თვითმპყრობელობა ხოლო იმავე წლის ოქტომბრის რევოლიუციით მან მოსპო ბურჟუაზიული წესწყობილება, ე. ი. მოახდინა სოციალისტური რევოლიუცია. ეხლა ის ხელმძღვანელობს სოციალისტურ აღმშენებლობას საბჭოთა კავშირში და მეორე მხრივ ამზადებს ნიადაგს სოციალისტურ რევოლიუციისათვის მთელ მსოფლიოში. ასე და ამგვარად ბოლშევიკური პარტია ბოლომდის ერთგული დარჩა მარქსის და ლენინის ანდერძის. ის მუდამ სწორუპოვარ ბრძოლას აწარმოებს პროლეტარულ რევოლიუციისათვის და სოციალიზმის დასამყარებლად. სამაგიეროდ ამავე ხნის განმავლობაში მენშევიზმი ე. ი. მეორე ინტერნაციონალში შემავალი პარტიები თანდათან და შეუჩერებლივ ძირს ეშვებოდნენ, უფრო და უფრო კარგავდენ გავლენას მუშებში და იძულებული ხდებოდენ დაეთმოთ თავისი ადგილი საერთაშორისო ბოლშევიზმისათვის, ე. ი **კომუნისტური ინტერნაციონალისათვის.** მენშევიზმმა უღალატა რევოლიუციონურ მარქსიზმის დროშას, ის სავსებით გაკოტრდა, მას თანდათან სცილდება მუშათა მასები, და უკანასკნელ დროს [illegible] პროლეტარული რევოლიუციის ხანაში აშკარად შეუკავშირდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ე. ი. არსებითად მან თავი ამოყო მუშათა კლასის დაუძინებელ მტრების ბანაკში. ყველაფერი ეს ცხადზე უცხადესი სინამდვილეა.

მაგრამ როგორ მოხდა ყოველივე ეს?

როგორ მოხდა, რომ ბოლშევიზმის სათავე შეიქნა სწორედ ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი რუსეთი, და ამავე ჩამორჩენილ რუსეთში პირველად გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლიუციამ? ბევრს ვერ მოუნელებია ეს. ბევრს დღესაც სასაცილოდ არ ყოფნის, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლიუცია მოხდა. ბოლშევიზმის გამარჯვებას ისინი ხსნიან მით, რომ რუსეთის ხალხნი, როგორც გაუნათლებელნი, ადვილად აჰყვენ ბოლშევიკურ დემაგოგებს, ე. ი. იმათი აზრით ეს გამარჯვება აიხსნება რუსეთში მცხოვრებ ხალხთა სიბრიყვით და სიბნელით. მაგრამ აშკარაა, რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ბოლშევიზმ-ლენინიზმი მსოფლიო მოძრაობათ ვერ გადაიქცეოდა და მესამე ინტერნაციონალში თავს არ მოიყრიდენ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მოწინავე რაზმები რევოლიუციონური მარქსიზმის დროშის ქვეშ.

მაგრამ ჩვენთვის მაინც უაღრესად საინტერესოა თუ რისთვის მოხდა ეს ასე. ევროპაში რევოლიუციების ეპოქა დიდი ხანია რაც დამთავრებული იყო. მუშათა კლასი თითქმის არსად ღელავდა. 1871 წლ. პარიზის კომუნის რევოლიუციონური ამბები მივიწყებული იყო. ინგლისის ჩარტისტების მოძრაობა, რომელიც ვითარდებოდა მე-19 საუკუნ. პირველ ნახევარში, აღარავის აგონდებოდა, მუშათა სოციალისტური მოძრაობა ყველაზე უფრო ძლიერი იყო მხოლოდ გერმანიაში, სადაც სოც.-დემოკრატიული პარტია **ბებელის და ლიბკნეხტის** მეთაურობით აწარმოებდა ბრძოლას პრუსიის ნახევრად მონარქისტულ და ნახევრად ბურჟუაზიულ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი **ბისმარკი.** მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიაში გაუქმებულ იქნა ე. წ. **განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ** და გერმანიის სოც-დემოკრატიულმა პარტიამ ლეგალური არსებობის უფლება მოიპოვა, მან ბრძოლის ცენტრი გადაიტანა პარლამენტში. ამიერიდან გერმანიის სოც.-დემოკრატიაში თანდათან მოიკიდა ფეხი იმ აზრმა რომ შესაძლებელია მუშათა კლასმა სახელმწიფო ძალა-უფლება ჩაიგდოს ხელში **მშვიდობიანი გზით**, არჩევნების საშუალებით, ე. ი. უმრავლესობის შექმნით გერმანიის პარლამენტში. ამგვარად გერმანიის სოც.-დემოკრატია, რომელიც იმ დროს სამართლიანად ითვლებოდა ყველაზე უფრო ძლიერ სოციალისტურ პარტიად მთელ დედა-მიწაზე, რევოლიუციონურ მეთოდებს თანდათან შორდებოდა. მას შერჩა მხოლოდ რევოლიუციონური ფრაზეოლოგია, არსებითად კი ის ოპორტიუნისტულ გზაზე იყო შემდგარი. მისი მთელი ძალა და ენერგია იხარჯებოდა პარლამენტში ბურჟუაზიულ პარტიების წინააღმდეგ გალაშქრებაში, იმათი ზრახვების გამოაშკარავებაში. ეს იყო უკვე მარქსიზმის გადამახინჯება რასაც მაშინ თითქმის ვერ ამჩნევდენ. თუ ასე იყო საქმე გერმანიის სოც.-დემოკრატიაში სხვა ქვეყნების „სოციალისტურ" პარტიებში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა სუფევდა: სიტყვით—რევოლიუციონური ფრაზები, საქმით კი მუშათა კლასის ღალატი და გამცემლობა. ყველა ამის შედეგი იყო ის, რომ ევროპის მუშებში რევოლიუციონური სულისკვეთება დაეცა, მუშები შეურიგდენ თავის მონურ მდგომარეობას, ისინი თითქო კმაყოფილი იყვნენ იმით, რომ ბურჟუაზია მათ აძლევდა სიტყვის, შეკავშირების და აგრეთვე პარლამენტებში არჩევნების უფლებებს. მაგრამ ყველა ეს უფლებები მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში ეს პოლიტიკური თავისუფლება ნიშნავდა მუშების დამონებას ბურჟუაზიის მიერ. საუბედუროდ „სოციალისტ"-ბელადების ღალატის მეოხებით მუშები ამას ვერ ამჩნევდენ.

როგორ იყო ამ ხანებში მდგომარეობა რუსეთის იმპერიაში? უკვე მე-18 საუკ. რუსეთის მეფეები, მსხვილი მიწის მფლობელები და ვაჭრები გაფაციცებით მეცადინეობდენ, რათა რუსეთი დასწეოდა მრეწველობის მხრით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა **კაპიტალისტური მრეწველობის** განვითარების საქმეში უკვე საკმარისად წაიწია წინ. ამან კი თავის მხრით გამოიწვია **სამრეწველო პროლეტარიატის საგრძნობი ზრდა.** ამას თან მოსდევდა აუცილებელი კონფლიქტები მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, მაგრამ თვითმპყრობელ რუსეთში მუშების ყოველივე უკმაყოფილება კაპიტალისტებთან, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, ითვლებოდა ამბოხებად მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ამიტომაც სასტიკად ისჯებოდა—ეს, როგორც სახელმწიფოებრივი დანაშაული. გაფიცვისთვის მუშები კატორღაში იგზავნებოდა. საქმე იმაშია, რომ მიუხედავად კაპიტალიზმის განვითარებისა, რუსეთში კიდევ დარჩენილი იყო ბატონ-ყმობის ნაშთები. სწორედ აი ამ ნაშთების შესახებ მეორე ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში ეწერა: „ამ ნაშთების ყველაზე უფრო **დიდ ნაშთს** და ამ ბარბაროსობის ყველაზე უფრო **ძლიერ ბურჯს წარმოადგენს მეფის თვითმპყრობელობა** თავისი ბუნებით ის ემტერება ყოველივე საზოგადოებრივ მოძრაობას და არ შეიძლება **არ იყოს პროლეტარიატის ყოველივე განმანთავისუფლებელ მისწრაფებათა ყველაზე უბოროტესი მოწინააღმდეგე**".

ამგვარად ერთი მხრით კაპიტალიზმი და მეორე მხრივ საშუალო საუკუნოების ბატონყმური წესწყობილება. ეს ყოვლად შეურიგებელი წინააღმდეგობა იყო. თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მუშები ფიქტიური თავისუფლებით მაინც სარგებლობდენ, თუ იქ მათ უბრალო გაფიცვისათვის კატორღაში მაინც არ გზავნიდენ, თვითმპყრობელ რუსეთში ყოველი ის დაუშვებელი იყო და სასტიკად ისჯებოდა. მაგრამ მეფის თვითმპყრობელობა კიდევ უფრო სტანჯავდა და ახრჩობდა მიწის მფლობელების მიერ გაძვალტყავებულ გლეხკაცობას. ყოველივე ამასთან ეს თვითმპყრობელობა კულტურულ-განმანათლებელ საქმეს რომ თავი დავანებოთ, საშინლად აბრკოლებდა და აფერხებდა ქვეყნის ყოველგვარ საწარმოო ძალთა განვითარებას ამნაირად ყოველივე საზოგადოებრივი მოძრაობა და აზროვნების ყოველგვარი თავისუფალი გამოთქმა რკინის სალტებით იყო შებოჭილი. **ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ რევოლიუციონური გზით, ე. ი. მეფის თვითმპყრობელობის დამხობით, ხალხის შეიარაღებული აჯანყების საშუალებით**

მაგრამ ვის, რომელ კლასს შეეძლო ამის მოწყობა და მეთაურობა? რუსეთის გლეხები ხშირად ახდენდენ არეულობებს კერძო შემთხვევებში თავიანთ მებატონეების წინააღმდეგ, მაგრამ არსებული წესწყობილების სიმაგრეზე, ე. ი. მეფის თვითმპყრობელობაზე იერიშის მიტანა და მისი დამარცხება მათ არ შეეძლოთ. ასეთ ბრძოლისათვის ისინი არ გამოდგებოდენ. რა თქმა უნდა, იმათი მიმხრობა და გამოყენება ამ საქმისათვის შეიძლებოდა და აუცილებელიც იყო, მაგრამ ამ ბრძოლის მთავარი როლი და მისი ხელმძღვანელობა უნდა ეკისრა რომელიმე სხვა საზოგადოებრივ კლასს. ასეთი კლასი უკვე არსებობდა რუსეთში,—ეს იყო **პროლეტარიატი, ქალაქის მუშები.** მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო გამოსულიყო მეფის თვიმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთის ბურჟუაზია ამ როლისთვის გამოსადეგი აღარ იყო. თვითმპყრობელობას იგი უკვე შეურიგდა, რადგანაც რევოლიუციის მას ეშინოდა პროლეტარიატის ბუნებრივი მოკავშირე ამ ბრძოლაში გარდა გლეხკაცობისა იყვნენ აგრეთვე ის მრავალრიცხოვანი **ერები**, რომლებიც რუსეთის თვითმპყრობელობას ძალდატანებით დაემორჩილებინა სხვადასხვა დროს და რომელთაც ის უმოწყალოთ სდევნიდა. მაგრამ ყველა ეს მრავალრიცხოვანი, დაჩაგრული და უკმაყოფილო ელემენტები, რომ გამოყენებული ყოფილიყვნენ რევოლიუციისათვის, პირველ რიგში რუსეთის მეფეების თვითმპყრობელობის დასამხობად, საჭირო იყო პროლეტარიატის ყველა მოწინავე ელემენტების ერთად თავის მოყრა, დარაზმვა და იმათგან **ერთი გაწვრთნილი და ძლიერი პოლიტიკური პარტიის შექმნა.** მაგრამ ეს კიდევ არ იყო ყველაფერი. მუშათა კლასის სრული განთავისუფლებისათვის არ კმაროდა მარტო თვითმპყრობელობის დამხობა, ამისათვის საჭირო იყო შემდეგ ბურჟუაზიის ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევაც, ე. ი. სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა. ამისათვის აუცილებელი იყო პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, შეიარაღებული სათანადო პროგრამით და რკინისებური დისციპლინით. საჭირო იყო პარტია, რომლის ხელმძღვანელებადაც უნდა ყოფილიყვნენ პროფესიონალური რევოლიუციონერები, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის მთავრობას დაუპირდაპირებდა თავის რევოლიუციონურ მოქმედებას და რომელიც თავის ფარული ორგანოების საშუალებით მოამზადებდა მუშათა მასებს შეიარაღებული აჯანყების მოსახდენად, რადგანაც სხვა საშუალებით მეფის თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება შეუძლებელი იყო.

ასე იდგა საკითხი რუსეთში მე-19 საუკ. ბოლოს და მე-20 საუკ. დასაწყისში, როცა ის-ის იყო მუშათა მოძრაობამ გაფიცვების და დემონსტრაციების სახით მიიღო მეტად სერიოზული ხასიათი. ამ დროს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა რუსეთში უკვე არსებობდა მაგრამ ის ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ერთი ნებისყოფით, ერთი პროგრამით და ტაქტიკით შეიარაღებულ ორგანიზაციას. რუსეთის სოც.-დემოკრატიას იმ ხანებში არ ჰქონება ერთი თავი და ერთი მტკიცე მიმართულება. ის შესდგებოდა სხვადასხვა ცალკე ჯგუფებისა და წრეებისაგან. და რამდენიც ჯგუფი და წრე იყო, იმდენივე იყო პროგრამა და ტაქტიკაც. აქ სუფევდა საერთო გაურკვევლობა. მაგრამ ყველაზე უფრო საშიში და მავნე ახლად აღორძინებული მუშათა მოძრაობისათვის იყო განსაკუთრებით ის მიმართულება მაშინდელ რუსეთის სოც.-დემოკრატიაში, რომელიც ცნობილია ისტორიაში „ეკონომიზმის" სახელწოდებით. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები უარყოფდენ უპირველეს ყოვლისა მუშათა კლასისთვის საკუთარ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიის საჭიროებას. ისინი შემდეგ ამცირებდენ მუშების სტიქიურ მოძრაობას. გარდა ამისა ეს ვაჟბატონები წინააღმდეგი იყვნენ იმის, რომ მუშათა კლასს ეწარმოებია რაიმე ბრძოლა პოლიტიკური ხასიათისა. პოლიტიკას ისინი სავსებით უთმობდენ ბურჟუებს და კაპიტალისტებს. იმათ სწამდათ მხოლოდ ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე—მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ ამ უბადრუკებს, რომლებსაც მარქსისტებათ მოჰქონდათ თავი, არ ესმოდათ, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთი მეორისაგან განუყრელია, რომ იქ, სადაც პოლიტიკაა ეკონომიკაც არის და პირიქით. ამასთან, განა რუსეთში შეიძლებოდა მაშინ მუშების ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე? ეს ხომ მეფის თვითმპყრობელობის საფუძვლის შერყევას ნიშნავდა. თუმცა მეფის თვითმპყრობელობის წარმომადგენლები მარქსისტები არ იყვნენ, მაგრამ ეს მათ კარგათ ესმოდათ, „ეკონომისტები" რყვნიდენ მუშათა მასებს, მათ გახრწნა და დაშლა შეჰქონდათ მუშათა მოძრაობაში. ყველა ჭეშმარიტი და ნამდვილი მარქსისტი სოც.-დემოკრატი ილაშქრებდა „ეკონომისტების" წინააღმდეგ. იმათ შეებრძოლა „შრომის განთავისუფლების ჯგუფიც" გ. პლეხანოვის მეთაურობით, მაგრამ ესენი საქმეს ვერ უშველიდენ, რადგანაც პლეხანოვი და მისი „ჯგუფი" თითქმის 20-წლის განმავლობაში სრულებით მოწყვეტილი იყვნენ რუსეთის სინამდვილისაგან: ისინი საზღვარგარეთ სცხოვრობდენ. ეკონომისტები კი თვით რუსეთში მუშაობდენ და ამიტომ იმათთვის ადვილი იყო მუშებისათვის თავიანთი შემცდარი და ყალბი შეხედულებები მოეხვიათ თავზე. ამიტომ საჭირო იყო თვით რუსეთში გამონახულიყო ისეთი ძალები, რომლებიც შესძლებდენ ამ ვაჟბატონებისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევას. იყო ერთი პიროვნება, რომელიც ამ საქმისათვის უკვე მუშაობდა. ეს იყო **ლენინი**, იგი უკვე საკმარისად იყო მომზადებული როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად. რომ ეკისრა მუშათა მოძრაობისათვის სწორი გზის ჩვენება და წინამძღოლობა. იგი იყო არა მარტო ღრმა თეორეტიკოსი-მარქსისტი, არამედ იმავე დროს იშვიათი პრაქტიკოსიც. ყველა ამასთან ლენინი იყო უდიდესი ორატორი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, იგი იყო მუშათა კლასის ყველაზე უფრო გამოჩენილი ბელადი, რომლის ბადალი ჯერ არ დაბადებულიყო. იგი იყო ახალი ეპოქის შემქნელი გენიოსი. ეს ყველასთვის ნათელია.

ლენინი დიდი ხანია ფიქრობდა მუშათა კლასის და გლეხების გაჭირვებაზე. იგი იყენებდა სხვადასხვა გეგმებს ჯერ თვითმპყრობელობის თავიდან მოსაშორებლად და შემდეგ ბურჟუაზიული წესწყობილების დასამხობად. მან უკვე 1899—1900 წლებში შეიმუშავა გეგმები რუსეთის მუშათა კლასის დასარაზმავად—არსებულ თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ. იგი არ უშვებდა მხედველობიდან არც ერთ უმნიშვნელო ფაქტორსაც კი, რომელსაც შეეძლო ან ხელის შეწყობა, ან ხელის შეშლა მისი გეგმის განსახორციელებლად, იგი სრულ ანგარიშს უწევდა რევოლიუციონური მოძრაობის წარსულ ისტორიას და წარსულ გამოცდილებებს როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. იგი ხელაღებით არ უარყოფდა ყოველივე წარსულს იმიტომ, რომ ის წარსული იყო ან იმიტომ, რომ ამ წარსულში ბევრი შეცდომა იყო. პირიქით, იგი იღებდა იქიდან რაც დადებითი იყო და გამოდგებოდა თანამედროვე მოძრაობისათვის. ასეთი მომზადებით შეუდგა ლენინი თავის გეგმის განხორციელებას. ამ გეგმის პირველ მოთხოვნილებას შეადგენდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ყველა საღ ელემენტების თავის მოყრა, იმათ ერთ ცენტრალისტურ ორგანიზაციათ გადაქცევა. რომლის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მტკიცე, მაგარი დისციპლინა და დამყარებულიყო ნათლად გარკვეულ პროგრამასა და ტაქტიკაზე. ამისათვის პირველ ყოვლისა საჭირო იყო ყრილობის მოწვევა, რითაც ეს იქნებოდა **მეორე ყრილობა**, მაგრამ ყრილობამდე საჭირო იყო მოსამზადებელი კამპანიის ჩატარება, რაც უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა მაშინდელ პირობებში. ამისათვის საჭირო იყო პრესა, ნივთიერი სახსარი, ტრანსპორტი, პროფესიონალურ - რევოლიუციონერთა კადრი, საჭირო იყო წინასწარი მოლაპარაკება და შეთანხმება სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფების და წრეების წარმომადგენლების. საჭირო იყო პარტიის პროგრამის პროექტის გამომუშავება, მისი წინასწარ გამოქვეყნება და სხვა. პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იყო გაზ. „ისკრის" გამოცემა, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის დასასრულს. ლენინის ნიჭს და მოხერხებას უნდა მიეწეროს ის, რომ „ისკრის" რედაქციაში მან თავი მოუყარა თითქმის ყველა გამოჩენილ სოციალ-დემოკრატებს.

ყველაზე უფრო ძნელი შეიქნა გ. პლეხანოვის დათანხმება რედაქციის წევრობაზე. სიძნელე ამით არ დამთავრებულა. თვით „ისკრის" რედაქციაში ჩქარა იჩინა თავი სხვადასხვა სერიოზულმა უთანხმოებამ მრავალგვარ პრინციპიალურ საკითხების ირგვლივ. ლენინი სცდილობდა, რომ ეს უთანხმოებანი არ გაღრმავებულიყო, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. საქმე იმაშია, რომ „ისკრის" რედაქციაში შექმნილი იყო ანტიეკონომისტური ფრონტი. ეკონომისტების წინააღმდეგ ჯერჯერობით ყველანი ერთსულოვნებით მოქმედებდენ. მაგრამ თვით ყრილობაზე გამოაშკარავდა, რომ ამ თანხმობას საფუძველი არ ჰქონდა. ყრილობაზე იყვნენ წარმოდგენილი ძველი თითქო დამარცხებული „ეკონომიზმის" მომხრეები, იყვნენ აგრეთვე სხვა ოპორტიუნისტულ ჯგუფების წარმომადგენლებიც, როგორც მაგ. „ბუნდელები" (ებრაელ სოც.-დემოკრატების კავშირი), ყველა ესენი მოქმედებდენ „ისკრის" და მისი პროგრამის პროექტის წინააღმდეგ. მაგრამ უბედურება ის იყო რომ ყრილობაზე თვით „ისკრის" მომხრეებშიაც იჩინა თავი ღრმა უთანხმოებამ (მაგ პარტიის წევრობის საკითხში), და მაშინ გამოჩნდა, რომ „ეკონომიზმს" თვით „ისკრის" რედაქციაში ყოლოდა მომხრეები, როგორც მაგ. **მარტოვი, ზასულიჩი** და სხვ. მენშევიზმის მომავალ ბელადებიდან ყრილობაზე მხოლოდ პლეხანოვს ეჭირა თავი ღირსეულად, ყველა ჯურის ოპორტიუნისტების წინააღმდეგ და ლენინთან ერთად იცავდა ძველი „ისკრის" პოზიციას. მაგრამ ჩქარა, ყრილობის შემდეგ, პლეხანოვიც ჩაიყოლია ოპორტიუნისტულმა ჭაობმა ანუ, როგორც ამბობდა ლენინი: „საზღვარგარეთის ბინძურმა კინკლაობამ". (Поганная заграничная склока).

მეორე ყრილობის ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება იმაში გამოიხატა, რომ ძველ „ისკრის" მომხრეებში დიდი უმრავლესობა ლენინს უჭერდა მხარს. შემდეგ ისინი ვინც უმცირესობაში დარჩენ აღარ დაემორჩილენ ყრილობის უმრავლესობის დადგენილებებს და აღმართეს გათიშვის დროშა. იმათ მიიღეს სახელწოდება „მენშევიკების" (ე. ი. უმცირესობაში დარჩენილნი). მეორე ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამა მენშევიკებმა ფაქტიურად ფეხქვეშ გათელეს. იმათი პოლიტიკური პლატფორმა არსებითად ეკონომიზმის ხელახალი გამოცემა იყო. მენშევიკების შემდეგ ევოლიუციაზე აღარ შევჩერდებით.

ვიტყვი კიდევ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას მეორე ყრილობის დასახასიათებლად. **მეორე ყრილობამ ჩაუყარა საფუძველი ბოლშევიზმს.** ამიტომ სრულიად სამართლიანად **მას შეიძლება ვუწოდოთ ბოლშევიკური კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობა.** ამასთანავე მისი ერთად ერთი უბადლო **ბელადი იყო ლენინი**, და ამიტომ სრულიად სამართლიანად **ლენინიზმი** ითვლება ბოლშევიზმის სინონიმათ.

მეორე ყრილობამ რამდენიმე ათეული წლით განსაზღვრა წინასწარ რუსეთის რევოლიუციის გზა და მიმართულება. მან იწინასწარმეტყველა რუსეთის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება.

უკანასკნელ ანგარიშში მან განსაზღვრა აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის გზა და მიმართულება, და მისი საბოლოო გამარჯვება.

ასეთია ზოგადათ მეორე ყრილობის მნიშვნელობა. მაგრამ ამ ყრილობის დიდმნიშვნელოვანი როლი მუშათა მოძრაობის ისტორიაში რომ სავსებით გავითვალისწინოთ, ამისათვის საჭიროა მისი გაცნობა და შესწავლა უფრო საფუძვლიანად.

ფ. მახარაძე.

ჩინეთსა და ამერიკას შორის დადებულია ახალი ხელშეკრულება

იაპონელების თავდასხმა ქ. ფანცზოზე.--დაპატიმრებულია მრავალი ჩინელი

ვოლდემარასის ნოტა ერთა ლიგისადმი

„პოლონეთის ჯარის თავმოყრამ სადემარკაციო ხაზზე შეიძლება გამოიწვიოს „მშვიდობიანობისათვის სახიფათო ინციდენტები"

ჩინეთი და იმპერიალისტები

იაპონელების თავდასხმა

პეკინი, 27 ივლისი. ქალაქ ფანცზოს თავს დაესხენ იაპონელები, რომლებმაც მოახდინეს მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება. (ადს)

ამერიკა-ჩინეთის ხელშეკრულების პირველი მუხლი

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულების პირველი მუხლი აუქმებს წინანდელ ხელშეკრულებებს და აყენებს ჩინეთის საბაჟო ავტონომიისა და უპირატესობის პრინციპებს. გარდა ამისა, ამ მუხლში ნათქვამია:

„ორივე მხრის ქვეშევრდომნი, რომელნიც სცხოვრობენ მეორე მხრის ტერიტორიაზე, არ შეიძლება იხდიდნენ რაიმე გადასახადს ან გამოსაღებს იმაზე მეტი განკვეთით, რომლითაც იხდიან ამ გადასახადს ან გამოსაღებს ამ ქვეყნის ქვეშევრდომნი ან სხვა უცხოელნი".

ხელშეკრულების ტექსტში პეკინი ყველგან მოხსენებულია ბეიპინად.

ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების ნოტის კომენტარიები

ლონდონი, 27 ივლისი. მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი ჰერალდის" დიპლომატიური მიმომხილველი კომენტარიებს უკეთებს ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობის ნოტას ჩინეთისადმი ,რომელშიაც გამოთქმულია თანხმობა, რომ გადათვალიერებულ იქნას ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულება; მიმომხილველი სწერს:

კაცს თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ნოტა გადაცემულია იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის უდიდესი გამწვავების დროს. უეჭველია, ნოტას ნანკინსა და პეკინში აღტაცებით შეხვდებიან და იგი ამერიკას შეუქმნის უდიდეს პოპულიარობას. ნოტა ამერიკას ორგვარ სარგებლობას მოუტანს. პირველი სარგებლობა—ეკონომიურია. ნოტა საუცხოო „სარეკომენდაციო ბარათს" წარმოადგენს იმ ამერიკელებისათვის, რომელნიც ჩინეთში მოდიან სავაჭრო მიზნით.

მეორე სარგებლობა—პოლიტიკურია, შესაძლებელია, ნოტას მოჰყვეს ჩინეთ-ამერიკის შეთანხმება, რაც ამერიკას გაამაგრებს მსოფლიო სარბიელზე. ეს შეთანხმება ამერიკას მიანიჭებს უდავო ბატონობას წყნარ ოკეანეზე. (ადს).

ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების გარეშე საქმეთა მინისტრის ცნობა

ვაშინგტონი, 27 ივლისი. ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ 25 ივლისს პეკინში ხელმოწერილია ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულება; ეს ხელშეკრულება ჩინეთს ანიჭებს „სრულ ნაციონ[illegible], სატარიფო ავტონომიას" 1929 წლის 1 იანვრიდან იმ პირობით, რომ აღნიშნულ ვადისათვის

უთანასწორო ხელშეკრულებების გადასინჯვის გარშემო

შანხაი, 27 ივლისი. ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაავალა თავის ელჩს იაპონიაში—ვან-იუ-ბას სასტიკი პროტესტი განუცხადოს იაპონიის მთავრობას ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო.

ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ბრალს სდებს იაპონიის კონსულს მუკდენში რომ მან სცადა დაებრკოლებია ჩინეთის გაერთიანება და ამიტომ მოითხოვს კონსულის გაწვევას მუკდენიდან.

პრესის ცნობით, პორტუგალიის ელჩმა პეკინში შეატყობინა ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ პორტუგალიის მთავრობამ მიანდო მას შეუდგეს მოლაპარაკებას ჩინეთთან ხელახალი კომერციული ხელშეკრულების დასადებათ.

„ჰონ-ვან-ბაო" იტყობინება, რომ საფრანგეთის შანხაელი კონსულის ცნობით, საფრანგეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გამოიწვიოს უკან ჩინეთში მყოფ საფრანგეთის ჯარის ერთი მეოთხედი ნაწილი, ხოლო ჯარის დანარჩენი ნაწილები გამოძახებულ იქნებიან უკან სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ.

„შუნ-ბაო"-სათვის მიცემულ ინტერვიუში საგარეო საქმეთა მინისტრი ვან-ჩჟენ-ტინი იტყობინება, რომ დანიამ და იტალიამ ოფიციალურად განაცხადეს, რომ ისინი დადებითად უყურებენ ხელშეკრულებების გადასინჯვას. უახლოეს ხანში დაიწყება მოლაპარაკებანი ბელგიასთან და ესპანეთთან (ადს).

იაპონიის პრესა ამერიკის ნოტის შესახებ

ტოკიო, 27 ივლისი. იაპონიის პრესას ის ნოტა, რომელიც ამერიკამ გაუგზავნა. მიაჩნია ერთგვარ მანევრად. ამით შეერთებული შტატების მთავრობას უნდა დაასწროს სხვა სახელმწიფოებს. უმთავრესად იაპონიას და უზრუნველჰყოს თავისი უპირატესი გავლენა ჩინეთში. გაზეთებს საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ამერიკამ შესძლოს ნანკინის მთავრობასთან მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება (ადს).

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

„გერმანია" უარყოფს

ბერლინი, 27 ივლისი. ზოგიერთი ცნობების საწინააღმდეგოდ, ცენტრის ორგანო „გერმანია" სწერს, რომ გერმანიის მთავრობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ლიტვის მთავრობისადმი სახელმწიფოების კოლექტიურ მიმართვაში, მაგრამ გერმანიის ელჩი კოვნოში არა ერთხელ შეეკითხა ლიტვის მთავრობის წარმომადგენლებს იმის შესახებ, თუ რა პოზიცია უკავია პოლონეთ-ლიტვის საკითხში, ამასთან ელჩი ყოველთვის ატყობინებდა მათ გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს (ადს).

ლიტვის ნოტა ერთა ლიგისადმი

პარიზი, 27 ივლისი. გამოქვეყნდა ლატვის ნოტა, რომელიც ერთა ლიგის სამდივნოს გაეგზავნა. პოლონეთის მთავრობის მიერ სადემარკაციო ხაზის მახლობლად განზრახული მანევრების შესახებ ვალდემარასი სწერს:

„პოლონეთის ჯარის თავმოყრა სადემარკაციო ხაზზე მნიშვნელოვანი რაოდენობით შექმნის ისეთ საფრთხეს ლიტვისათვის, რომ მისი მთავრობა იძულებული გახდება გაადიდოს ლიტვის არმია იმ პუნქტების დასაცავად, საიდანაც საფრთხეა მოსალოდნელი. ასეთ პირობებში შესაძლებელია მოხდეს მშვიდობიანობისათვის სახიფათო ინციდენტები".

დასასრულ, ვალდემარასი წინადადებას იძლევა შეამოწმონ მის მიერ მოყვანილი ფაქტები და სთხოვს ერთა ლიგას, მიიღოს ზომები პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზზე მოსალოდნელი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად (ადს).

საფრანგეთის პრესის გამოძახილი ვოლდემარასის ნოტაზე

პარიზი, 27 ივლისი. ვოლდემარასის ნოტას ერთა ლიგისადმი საფრანგეთის პრესაც გამოეხმაურა.

„ტან"-ი აღნიშნავს რა ლიტვის საჩივრის უსაფუძვლობას, **მთელ პასუხისმგებლობას ლიტვას აკისრებს.**

„ჟურნალ დე დება" მოითხოვს ერთა ლიგის ენერგიულ ჩარევას, ვინაიდან პოლონეთ- ლიტვის უშუალო მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდება.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ორგანო „პეპლ"-ი აღნიშნავს. რომ რადგან ვოლდემარასის ნოტა ომის საფრთხეზე მიუთითებს, ამიტომ ეს გარემოება საშუალებას აძლევს ერთა ლიგას მხარეებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი მიიღოს ხმის უბრალო უმრავლესობით. (ადს)

პოლონეთი განმარტებას იძლევა

ვარშავა, 27 ივლისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

იმ ნოტის გამო, რომელიც ლიტვის მთავრობამ ამას წინად ერთა ლიგის სამდივნოს გადასცა და რომელიც იუწყებოდა, თითქოს ვილნოს რაიონში უნდა მოხდეს პოლონეთის მანევრები, პოლონეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში სოკალმა 26 ივლისს ლიგის სამდივნოს წარუდგინა პოლონეთის მთავრობის განმარტება ამის შესახებ.

გერმანიისათვის მიუღებელი წინადადება

ბერლინი, 27 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი ეხება რა პარიზის „ერ ნუველ"-ში მოთავსებულ წერილს, რომელშიაც განმეორებულია დე-ჟუვენელის წინადადება რეინის ოლქის დაცლის შესახებ იმ პირობით, თუ გერმანია თანხმობას განაცხადებს „აღმოსავლეთ ლოკარნოზე", სწერს: „ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს წინადადება სრულიად მიუღებელია გერმანიის ხალხისათვის" (ადს).

ამერიკა საპრეზიდენტო არჩევნების წინ

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. ამ ბოლო დროს საარჩევნო კამპანიაში თავი იჩინა ახალმა მომენტებმა, რომელნიც გაურკვევლად ხდიან ამ კამპანიის შედეგებს. ორივე მხარე გვერდს უხვევს ძირითად ეკონომიურ საკითხებს, კამპანია ღებულობს ორ ბუმბერაზ პოლიტიკურ ორგანიზაციის ბრძოლის ხასიათს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ორგანიზაციებს არა აქვთ არავითარი პრინციპები, არავითარი პლატფორმა, გარდა უდიდესი ფინანსიური რესურსებისა. ისეთი საკითხები, როგორიც არის უმუშევრობა, გაფიცვები ქვანახშირის რაიონში და საგარეო ურთიერთობა—სრულებით არ სჩანს საგიტაციო კამპანიაში. პოლიტიკური დისკუსიის მთავარ თემად გადაიქცა მაგარი სასმელების პრობლემა. რადგანაც სმითმა აშკარად განაცხადა, რომ იგი მაგარი სასმელების აკრძალვის მომხრეა. კამპანიის შედეგი მით უმეტეს გაურკვეველია რომ უკვე დაიწყო ერთი კანდიდატის ბანაკიდან მეორე კანდიდატის ბანაკში გადასვლა. შეუძლებელია იმის გათვალისწინება თუ როგორ გავლენას მოახდენენ ამომრჩეველთა მასებზე სპირტისა და რელიგიური ლოზუნგები რომლებიც პირველ რიგში არიან წამოყენებული.

კამპანია თანდათან მწვავდება მიუხედავად იმისა, რომ უმთავრეს საკითხებს გვერდს უვლიან გუვერის უდიდესი უპირატესობა იმაშია, რომ მას მხარს უჭერს ხელისუფლების სათავეში მდგომი პარტიის უმრავლესობა. გამოცდილი პოლიტიკური მიმომხილველები მაინც თავს იკავებენ წინასწარმეტყველებიდან, ვინაიდან ეხლა დემოკრატებს ხელთ აქვთ განუსაზღვრელი თანხები, რაც უწინ არ მოეპოვებოდათ. ორივე პარტია დაახლოვებით 10 მილიონ დოლარს დახარჯავს არჩევნების მოსამზადებლად (ადს).

სახიფათო სტაბილიზაცია

ვენა, 27 ივლისი. 27 ივლისს გაიხსნება რუმინეთის პარლამენტის საგანგებო, სესია, რომელიც მოწვეულია ვალიუტის სტაბილიზაციის შესახებ შემუშავებულ კანონპროექტის განხილვის მიზნით.

ეროვნულ - გლეხურმა პარტიამ, რომელიც ბოიკოტს უცხადებს პარლამენტს, ბუქარესტში მოიწვია თავისი საპარლამენტო ფრაქციის წევრთა კონფერენცია, კონფერენცია განიხილავს ვალიუტის სტაბილიზაციისა და სესხის საკითხს.

ეროვნულ - გლეხური პარტიის მიერ მოწვეული კონფერენცია, პოლიტიკურ წრეებში აფასებენ, როგორც დემონსტრაციას და კონფერენციის დაპირისპირებას პარლამენტის საგანგებო სესიისათვის.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ ბრძანება გასცა, რომ პრესაში არ გამოქვეყნდეს ცნობები ეროვნულ-გლეხური პარტიის კონფერენციის შესახებ. (ადს)

კელოგის პროექტი ხელმოწერილი იქნება 27 აგვისტოს

პარიზი, 27 ივლისი. კელოგის პროექტზე ხელის მოწერა დანიშნულია პარიზში 27 აგვისტოსათვის. ამ დროისთვის პარიზში მოელიან კელოგს, ჩემბერლენს, შტრეზემანს, და ბელგიის, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის, კანადის და ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრებს. იტალია პარიზში გაგზავნის **გრანდის**; იაპონია —ადაცის, ხოლო აფრიკა და ინდოეთი—თავიანთ ლონდონელ წარმომადგენლებს. ისპანიის მოწვევის საკითხი ავტორიტეტულ წრეებს გადაჭრილათ მიაჩნიათ (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა ურთიერთობა

საუბარი საბჭოთა კავშირის სავაჭ-რო. წარმომადგენლის მოადგილესთან სპარსეთში

თეირანი, 24 ივლისი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილემ სპარსეთში ამხ. **მიხაილოვმა** ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა სპარსეთის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ:

„უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში სპარსეთში ისეთი ამბები მოხდა, რომლებსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ექნებათ არა მარტო სპარსეთისათვის, არამედ მთელი აღმოსავლეთისათვის კაპიტულიაციის გაუქმება, ავტონომიური ტარიფის დაწესება და მანამდე მომქმედ საბაჟო შეთანხმებათა გაუქმება. ტრანსპარსეთის რკინის გზისა და ბენდერგიაზში ნავთსადგურის აგება, ნაციონალური ბანკის წესდების შემუშავება და ამ ბანკის დაარსება ახლო მომავალში,—ყველა ეს, ეჭვს გარეშეა, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, ყველა ეს მოწმობს, რომ სპარსეთი საბოლოოდ დაადგა იმ ეკონომიური და ფინანსიური მონობისაგან განთავისუფლების გზას, რომელიც მას იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მოახვიეს თავზე.

ავტონომიური ტარიფი ორი ნაწილისაგან შესდგება—ტარიფი მინიმუმი და ტარიფი მაქსიმუმი. ტარიფ მაქსიმუმს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი სპარსეთის დამოუკიდებლობის სიმბოლოა და მისი გამოყენება სპარსეთს ყოველ წუთს შეუძლია იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც არ მოისურვებენ მასთან სათანადო შეთანხმების ხელმოწერას. ნორმალურ დროს კი მოქმედებს ტარიფი მინიმუმი. ეს ტარიფი სპარსეთისთვის ბევრათ უფრო ხელსაყრელია და იგი გაცილებით მეტ შემოსავალს მისცემს მას, ვიდრე წინანდელი ტარიფები. ამ ტარიფს მხედველობაში აქვს სპარსეთის სახალხო მეურნეობის ინტერესების გაძლიერება. ტარიფით დაკლებულია ბაჟი პირველი მოხმარების საგნებზე—შაქარზე, რკინეულზე, მანქანებზე, ცემენტზე, სააფთიაქო საქონელზე და სხ. მომატებულია ბაჟი ჩაიზე, მარცვლეულზე ბრინჯზე (სპარსეთის სასოფლო-მეურნეობის განვითარების მიზნით), მატყლის ქსოვილზე, ხელოვნურ აბრეშუმზე, ტანისამოსზე, ასანთზე თამბაქოზე, კონსერვებზე, სასმელებზე და სხ.

ჩვენს ინტერესებს ტარიფი მაქსიმუმი არ ეხება, რადგან სპარსეთთან მთელი ჩვენი ვაჭრობის ხაზი სავსებით და მთლიანათ შეესაბამება სპარსეთის მეურნეობის ინტერესებს.

ტრანსპარსეთის რკინის გზის აგება მოწმობს იმას, რომ სპარსეთმა საბოლოოდ აიღო დამოუკიდებლობის კურსი.

დასასრულ, გთხოვთ გადასცეთ მთელ ამიერ კავკასიის პრესას და მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას, რომ ყოველგვარ საქმეში და ყოველგვარ გარემოებაში ამიერ-კავკასიის ინტერესები სავსებით დაცული იქნებიან საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ. ეს ინტერესები სავსებით შეესაბამებიან სპარსეთის ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნილებებს (ადს).

იაპონია-საბჭოთა კულტურული დაახლოვება

მოსკოვი, 28 ივლისი. უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ, იაპონიის კაბუკის თეატრის ჩამოსვლის გამო, მოაწყო იაპონია - საბჭოთა კავშირის კულტურული დაახლოვების საღამო. საღამოს დაესწრენ: კაბუკის თეატრის დასის მთელი შემადგენლობა, იაპონიის საელჩოს და იაპონელთა კოლონიის წარმომადგენლები, გარეშე საქმეთა და განათლების სახალხო კომისარიატების, უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების და სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის პასუხისმგებელი თანამშრომელნი, მოსკოვის თეატრის წარმომადგენლები და სხვ. უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. კამენევამ აღნიშნა, რომ კაბუკის თეატრის ჩამოსვლას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. განათლების სახალხო კომისარიატის სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. სვიდერსკი.

იაპონიის საქმეთა რწმუნებულმა საკომ განაცხადა შემდეგი: „უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების წყალობით, ჩვენ შევსძელით გვეჩვენებია საბჭოთა საზოგადოებისათვის იაპონიის ხელოვნების ყვავილი—კაბუკის თეატრი, იაპონიის საუკეთესო არტისტის სადანძის მეთაურობით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამის შემდეგ საბჭოთა თეატრიც ესტუმრება იაპონიაში". საკომ მხურვალე სურვილი გამოსთქვა, რომ საბჭოთა კავშირის და იაპონიის შორის გაიბას მტკიცე კულტურული კავშირი იმ პოლიტიკურ კავშირთან ერთად, რომელიც მყარდება ამჟამად ამ ორ ქვეყნის შორის. ამის შემდეგ ილაპარაკა სადანძიმ, რომელსაც მხურვალე ოვაციები გაუმართეს. (ადს)

„კრასინ"-ის ექსპედიციის მუშაობა

რადიო „კრასინი"-დან

ყინულისმჭრელი „კრასინი"-ი. 28 ივლისი „კრასინ"-ის ტექნიკური ნაწილი ფიქრობს დროებით შეაკეთოს „მონტე სერვანტეს"-ის დაზიანებული ნაწილები. ამ მუშაობას ასრულებენ „კრასინ"-ის წყალმყვინთავები. მუშაობას 2 დღე მოუნდება, რის შემდეგ „კრასინ"-მა უნდა ალბათ მიაცილოს უახლოეს ნავთსადგურამდე „მონტე სერვანტეს"-ი. „მონტე სერვანტეს"-ის მგზავრები სავსებით დამშვიდდნენ. მგზავრები შემოდიან „კრასინ"-ზე და ათვალიერებენ ყინულისმჭრელს.

„კრასინი" მუშაობს „მონტე სერვანტესის" გადასარჩენათ

მოსკოვი, 28 ივლისი. სამოილოვიჩმა შეატყობინა „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტს, რომ კრასინმა უკვე დაამთავრა „მონტე სერვანტესის" ფსკერის შეკეთება და დაიწყო წყლის ამოქაჩვა. (ადს)

ყინულისმჭრელი „სედოვი"

მოსკოვი, 28 ივლისი. „იტალიის" დამხმარე კომიტეტმა გადასწყვიტა სთხოვს „სოვტორგფლოტს" წინადადება მისცეს ყინულის მჭრელ „სედოვს" გამოიკვლიოს ფრანც იოსების მიწის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილი.

ამუნდსენისა და ალესანდრის ძებნის ხელმძღვანელობა დაეკისრა „სედოვის" უფროსს —ვორონინს.

პრესა „კრასინი"-ს მუშაობის შესახებ

„დეილი ნიუზ"-ი

ლონდონი, 27 ივლისი. ლიბერალური „დეილი ნიუზ"-ი მოწინავე წერილში კომენტარიებს უკეთებს „კრასინ"-ის მუშაობას.

„გადასარჩენ მუშაობის პროცესში, — სწერს გაზეთი, — რუსებმა მთელ ქვეყანას უჩვენეს გმირობა, მოხერხებისა, გამბედაობის და, რაც მთავარია, საქმიანობის მაგალითი. საბჭოთა ექსპედიცია, რომ არ ყოფილიყო, „იტალია"-ს ექსპედიციის ცოცხლად დარჩენილი მონაწილეთა გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა". (ადს)

სამხრეთ-სლავიის პრესა

ვენა, 27 ივლისი. მთელი სამხრეთ-სლავიის პრესა აღფრთოვანებით იხსენიებს „კრასინ"-ის მუშაობას.

რადიჩის ორგანო „ნაროდნი ვალ"-ი სწერს: „ახალი რუსეთი, რომელმაც დაამსხვრია მტარვალის უღელი, გაუგებარი დარჩა ზოგიერთი ხალხისათვის. ეს გაუგებრობა ეპიდემიასავით გავრცელდა. „კრასინი"-ს მეზღვაურებისა და მფრინავების უანგარო გმირობამ შესცვალა ეს ურთიერთობა: „რუსეთი უფრო დაუახლოვდა სხვა ხალხებს". (ადს)

ბრატიანუს განცხადება

ვენა, 27 ივლისი. ბუქარესტიდან იუწყებიან: მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პრემიერმა ბრატიანუმ ვალიუტის მომავალი სტაბილიზაციის საკითხის გამო განაცხადა—რუმინეთს ერთა ლიგის მონაწილეობით არავითარი სესხი არ აუღია, ვინაიდან ასეთი სესხის პირობები „სრულებით არ იღებდნენ მხედველობაში რუმინეთის პრესტიჟს და დამოუკიდებლობას". (ადს).

მეზღვაურთა გაფიცვა

პარიზი, 27 ივლისი. **საგაფიცვო მოძრაობა მეზღვაურთა შორის ძლიერდება.** დიუნკირხენში 15 გემის რაზმმა დასტოვა გემები, გაფიცულებს კავშირი აქვთ ჰავრისა და რუანის მეზღვაურებთან. **ჰავრის ავტონომიურმა პროფკავშირებმა**, რომლებიც აერთიანებენ 1,500 მეზღვაურზე მეტს, **გამოაცხადეს გაფიცვა და მოითხოვეს ხელფასის 150 ფრანკ. გადიდება თვეში.** მეზღვაურებს შეუერთდნენ საბარგო ავტომობილების შოფერები— რიცხვით 800 კაცი. (ადს)

დაპატიმრებანი

ბელგიის პარლამენტში

პარიზი, 28 ივლისი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, ბელგიის პალატაში მთავრობის სამხედრო კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა კომუნისტების დეპუტატი ჟაკმოტი. სიტყვის დროს ჟაკმოტმა დარბაზში გადაყარა ფურცლები. ასეთივე ფურცლები გადმოყარეს ქანდარებიდან. დამსწრეთა შორის დააპატიმრეს 5 კაცი. (ადს)

რადიოლოგების ყრილობა

სტოკჰოლმი, 27 ივლისი. რადიოლოგების საერთაშორისო კონგრესის მიერ მოწყობილ ბანკეტს დაესწრო 700 მონაწილე. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საფრანგეთის, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, გერმანიის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

რადიოლოგების შემდეგი საერთაშორისო კონგრესი მოწვეული იქნება პარიზში. 1931 წელს. მომავალი კონგრესის თავმჯდომარეთ არჩეულია საფრანგეთის პროფესორი ბეკლერი. (ადს).

„ინდუსტან-ტაიმს"-ის წერილი

ქაბული, 27 ივლისი. ინდოეთის ნაციონალისტების ორგანო „ინდუსტან ტაიმსი" ინდოეთის არმიის შესანახად გაღებულ ახალი ასიგნობების შესახებ შემდეგს სწერს: „ინდოეთს არა ერთხელ მოუთხოვნია, რომ ინდოეთის არმია იყოს თავდაცვის საშუალება და არ უნდა იქნეს გამოყენებული მთავრობის გეგმების გამტარებელ იარაღად საერთაშორისო მდგომარეობის გართულების შემთხვევაში. თუ ამ მოთხოვნილებას უწევენ ანგარიშს, ჩვენის აზრით, საჭირო აღარ არის დამატებითი ასიგნობები, მით უმეტეს, რომ ინდოეთის არმია გაცილებით უფრო ძლიერი და უზრუნველყოფილია, ვიდრე მისი უშუალო მეზობლების არმიები. მთავრობას სურს მეტი თანხები ხარჯოს ინდოეთის არმიაში მომსახურე ინგლისელ ოფიცრების უზრუნველყოფაზე. ჩვენის აზრით, საეჭვოა, რომ ინდოეთი დასთანხმდეს გაიღოს ახალი თანხები ამ ოფიცრების შენახვაზე". (ადს).

პროფკავშირების დევნა

რიგა, 27 ივლისი. რიგის საოლქო სასამართლოს განკარგულება მემარცხენე პროფკავშირების რიგის ბიუროს დახურვის შესახებ სისრულეში მოიყვანეს. სულ ლიტვაში დახურეს 19 ორგანიზაცია. ბიუროს შენობასა და პროფკავშირების წევრების კერძო ბინებში მოახდინეს ჩხრეკა, რომელიც დღესაც გრძელდება ბიუროს მთელი არქივი დაბეჭდეს. დააპატიმრეს ბიუროს 6 წევრი და ტრანსპორტის მუშათა კავშირის ორი წევრი.

პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანებამ (სოციალ-დემოკრატიულმა) გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც გმობს ასეთ ღონისძიებას და პასუხისმგებლობას ამ მოქმედებისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრს ლაიმინშს აკისრებს (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაფიცვების ტალღა საფრანგეთში

მოსკოვი, 28 ივლისი. „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი, გაბრიელ პერი იუწყება, რომ რუანში ჟანდარმებმა გარეკეს გემების შემკეთებელ სახელოსნოების მუშათა დემონსტრაცია. მრავალი დემონსტრანტი დააპატიმრეს, მაგრამ მასების ზეგავლენით ჩქარა იძულებული იქნენ ისევ გაენთავისუფლებიათ ყველანი. გავრში გაფიცულნი არიან 20 მსხვილი გემის მეზღვაურები, დიუნკირხენშიაც გრძელდება მეზღვაურთა გაფიცვა. მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება. რეფორმისტულ პროფკავშირების ბელადები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ არ დაუშვან საყოველთაო გაფიცვა.

პირველ აგვისტოსთვის მოსალოდნელია აგრეთვე საარის ოლქის მაღაროს მუშათა გაფიცვა.

მოსკოვის პრესა „სახკინმრეწვის" სურათის შესახებ

მოსკოვი, 28 ივლისი. მოსკოვის გაზეთები ილაშქრებენ სახკინმრეწვის სურათის „გაფლანგვის" წინააღმდეგ. ისინი აღნიშნავენ, რომ სურათი იდეოლოგიურად ვერ არის დამაკმაყოფილებელი. „ვეჩერნი მოსკვა" მოითხოვს სასწრაფოთ ჩარევას „სახკინმრეწვის" საქმეებში მისი მუშაობის გაჯანსაღების მიზნით.

მექრთამე მოსამართლის და მიკიტნების გასამართლება

მოსკოვი, 28 ივლისი. გუშინ, მოსკოვში, ბაუმანის რაიონში დაიწყო მექრთამე მოსამართლისა და მიკიტნების გასამართლება. პირველად დაკითხულ იქნენ მიკიტნები გორგიძე და კიყინაძე. როგორც დაკითხვიდან გამოირკვა, მათ მოსკოვში ჰქონდათ კაფე, სადაც მალულად აწარმოებდენ სპირტით ვაჭრობას; რამოდენიმე ხნის წინ გორგიძეს და კიყინაძეს აღმოუჩინეს სპირტი კაფეში და ისინი პასუხისგებაში იქნენ მიცემული. მაგრამ მიკიტნებმა მოსამართლეს დვორნინს ათასი მანეთი ქრთამი მისცეს. ქრთამის მიღების შემდეგ დვორნინმა საქმე მიაფუჩეჩა. საქმე რამოდენიმე დღეს გასტანს. მექრთამე მოსამართლის პროცესი გაცხოველებულ ინტერესს იწვევს მუშებში.

უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა და პედაგოგიურ ძალების მდგომარეობის გაუმჯობესება

მოსკოვი, 28 ივლისი. საკავშირო ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი მომავალ სამოსწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებისა და პედაგოგიურ ძალთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გადაწყვეტილია უმაღლეს სასწავლებლებისათვის მთელი რიგი ახალი შენობების აგება და ძველ შენობათა კაპიტალური შეკეთება. გადიდებულ იქნეს პედაგოგიურ პერსონალის ხელფასი და სტუდენტთა სტიპენდიები ამ მიზნისათვის გადადებულია [illegible] მილიონი მანეთი სტიპენდიები და ხელფასი გადიდებულ იქნება მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

მოსკოვი, 28 ივლისი. მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში გაცხოველებულ ინტერესს იწვევს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი. სახელმწიფო ბანკს მოსდის მოთხოვნილებანი მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებიდან სესხის ობლიგაციებზე. წინასწარი ვარაუდით ფაბრიკა „ბოლშევიკი"-ს მუშები შეიძენენ ხუთმეტი ათას, ხოლო „დუკატი"-ს ოცი ათას ობლიგაციას.

ღამის ცნობები

მუშათა მღელვარება ინდოეთში

ქაბული, 28 ივლისი. ინდოეთიდან მიღებული ცნობებით ბოურის რაიონის ფაბრიკებში იფეთქა აჯანყებამ. პოლიციასა და მუშებს შორის მომხდარ შეტაკების დროს დაიჭრა 28 მუშა, 1 ოფიცერი და 12 პოლიციელი. ნიშნად პროტესტისა პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ გაფიცვა გამოაცხადა 20.000 მუშამ.

ფინელ კომუნისტების პროცესი

ჰელსინგფორსი, 28 ივლისი. აბოს სასამართლოში დაიწყო აპრილში დაპატიმრებულ ფინელი კომუნისტების გასამართლება. პასუხისგებაშია მიცემული 47 კაცი, მათ შორის 5 ქალია. ბრალდებულთა შორის არის სეიმის 2 დეპუტატი, ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანების მდივანი, მუშათა ჟურნალის რედაქტორი და მუშათა მოძრაობის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. მათ ბრალდებათ „დანაშაული სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ“.

გარდა ფინელი დამცველებისა, ბრალდებულებს იცავენ შვედი სოციალ-დემოკრატი ბრანტინგი და გერმანელი ვექილი კომუნისტი ჰერცფელდი. პროცესს მეთვალყურის სახით ესწრება ლენსბერი.

დამცველთა განცხადებებიდან გამოირკვა, რომ მათ არ მისცეს საშუალება გასცნობოდენ ბრალმდებლის ოქმს, რომლის შინაარსი მათ გაიგეს გაზეთებიდან, ამის გამო დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს საქმის მოსმენის გადადების შესახებ 1 დღით, მაგრამ მათ ამ შუამდგომლობაზე უარი უთხრეს. დაკითხული ბრალდებულები აცხადებენ, რომ პოლიციელის მიერ შედგენილ ოქმებში უხეშადაა დამახინჯებული ის ცნობები, რომლებიც მათ მისცეს წინასწარი გამოძიების დროს. ორმა ბრალდებულმა განაცხადა, რომ პოლიცია წინადადებას აძლევდა მათ მიეცათ საჭირო ცნობები, რისთვისაც ჯილდოს ჰპირდებოდა. ერთმა ბრალდებულმა განაცხადა, რომ პროცესი მოწყობილია პროვოკატორისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე. (ადს)

ამხ. სოკოლნიკოვის განცხადება

მოსკოვი, 28 ივლისი. უკანასკნელი კვირების განმავლობაში ევროპის პრესა ავრცელებს ცნობებს ინგლის-ჰოლანდიის და ამერიკის ნავთის მრეწველთა შორის მიღწეული შეთანხმების შესახებ.

ამ საკითხის შესახებ ნავთის სინდიკატის თავმჯდომარემ ამხ. სოკოლნიკოვმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს შემდეგი გადასცა:

„—გავრცელებული ხმების თანახმად, აღნიშნულ შეთანხმებაში თითქოს შეტანილი უნდა იყოს (დეტერდინგის მოთხოვნილებითა და ინიციატივით), ისეთი პუნქტები, რომლებიც შეეხება საბჭოთა ნავთსაც. ეს შეთანხმებები, თითქოს, გულისხმობენ კომპენსაციების მიცემას ყოფილ რუსეთის იმ სანავთო კომპანიებისათვის, რომელთა ქონება ამჟამად ნაციონალიზაციაქმნილია. ამასთანავე არის ცნობები თითქოს ყოფ. რუს მესაკუთრეთა გაუქმებულ აქციების მნიშვნელოვან ნაწილს იძენდენ იაფ ფასებში შეთანხმების დამდები ნავთის მრეწველები.

ჩვენ არ უარვყოფთ შესაძლებლობას, რომ ეს ხმები არ შეეფერება სინამდვილეს. იმ შემთხვევაშიაც კი, რომ ეს ხმები დადასტურდეს, საბჭოთა ნავთის ექსპორტის განვითარებას არავითარი საფრთხე არ მოელის. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცნობთ ინგლისელ ნავთის მრეწველებს და ძალიან ცოტა გვწამს მათი ფილანტროპობა. ამიტომ ჩვენ არ ვფიქრობთ რომ მათ განზრახვა ჰქონდეთ ფული მისცენ ყოფ. რუს მესაკუთრეთა გაუქმებულ აქციებში, რომელთაც ფაქტიურათ არავითარი ფასი არა აქვს.

შესაძლოა, რომ რუს თეთრგვარდიელთა წრეები, რომლებიც მთელ თავის იმედებს ამყარებენ შეიარაღებულ ინტერვენციაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცდილობენ ჩაითრიონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის სამზადისში ნავთის მრეწველობის კომპანიებიც და ამ მიზნით ისინი მათ ხიბლავდენ „იაფად ნაყიდი“ სამრეწველოებით გროზნოში და ბაქოში. ჩვენ ერთის წუთითაც ეჭვი არ შეგვაქვს, რომ ასეთი ხასიათის სპეკულაცია მათთვის, ვინც ამ სპეკულაციაში ჩაებმება, ძალიან სამწუხარო შედეგებს მოიტანს და დიდ ზარალსაც მიაყენებს.

საბჭოთა კავშირი კარგათ გრძნობს საბჭოთა ნავთის ექსპორტის ხვედრითი წონას საერთაშორისო ბაზარზე. მაგრამ მიუხედავად ამისა მას მაინც არა აქვს პრეტენზია უკარნახოს საერთაშორისო ბაზარს თავისი ნება. ამასთანავე იგი არავის ნებას არ მისცემს ანგარიში არ გაუწიონ საბჭოთა მეურნეობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგის ინტერესებს.

1927—28 საოპერაციო წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნავთის ექსპორტი გაიზარდა სამჯერ ომის წინადროინდელ დონესთან შედარებით. მთელი რიგი უკვე დადებული ხელშეკრულებები ნავთის სინდიკატისათვის წარმოადგენენ გარანტიას იმისას, რომ უახლოესი წლების განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება ნავთის მრეწველობის პროდუქციის დაუბრკოლებლივ გასაღება.

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო

27 ივლისის დილის სხდომა

მოსკოვი, 28 ივლისი. კომინტერნის კონგრესის 27 ივლისის დილის სხდომა გახსნა ამხ. სიკარდერის (ინდოეთი) თავმჯდომარეობით. სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო.

ამხ. ლენგლის სიტყვა

საყოველთაო გაფიცვა,—სთქვა ამხ. ლენგლიმ (ინგლისი),—უმნიშვნელოვანესი მომენტთაგანია ინგლისის მუშათა მოძრაობაში. მან გამოააშკარავა ნამდვილი სახე რეფორმისტლიდერებისა, რომლებიც არ ებრძოდნენ პროფკავშირების შესახებ გამოცემულ კანონს, მაგრამ მუდამ დაბრკოლებებს უქმნიდნენ მუშათა კლასის ბრძოლას. ინგლისის მუშათა კლასის ბრძოლის უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ტრედიუნიონების გენერალური საბჭო, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს კაპიტალისტების კლასთან. „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ დამყარების ლოზუნგის აზრს საუკეთესოდ ააშკარავებს ის გარემოება, რომ კაპიტალისტები ყველაზე მეტად სდევნიან მემაღაროებს და სდევნიან სწორედ ახლა. რეფორმისტები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ კომუნისტები პროფკავშირებიდან განდევნონ. მაგრამ მასები გაერთიანებულნი არიან მუშათა პარტიასა და პროფკავშირებში; პროფკავშირებიდან გამორიცხვის პოლიტიკის მიუხედავად, რომელსაც რეფორმისტები აწარმოებენ, ჩვენ უნდა ვეცადოთ გავამაგროთ იქ პოზიციები და მასებთან ერთად ვებრძოლოთ კაპიტალისტებსა და რეფორმისტებს.

ამხ. კოშჩევის სიტყვა

პოლონეთის სექციის მნიშვნელობა,—სთქვა ამხ. კოშჩევმა, (პოლონეთი)—ფრიად დიდია მთელი კომინტერნისათვის, ვინაიდან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული იმპერიალისტური ბურჟუაზიის ცდების სარბიელს პოლონეთი წარმოადგენს. პოლონეთის კომპარტიის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რანაირად შეუძლია არალეგალურ პარტიას გავლენის მოპოვება ყოველ დარგში. პოლონეთისა და ლიტვის ომის მუდმივი საფრთხე შეიძლება გამოსავალ წერტილად გადაიქცეს უდიდეს მსოფლიო მოვლენებისათვის.

დიდი ოპორტუნისტული შეცდომების შემდეგ,—მეტადრე პილსუდსკის გადატრიალებასთან დაკავშირებით,—პოლონეთის კომპარტიას სწორი პოლიტიკური ხაზი აქვს, რომელიც დაფუძნებულია სწორ ანალიზზე. პოლონეთის ფაშისტური რეჟიმი ნიშნავს ბურჟუაზიის კონსოლიდაციას ფინანსიური კაპიტალის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გეზის აღებას ინგლისის ხელმძღვანელობით. პოლონეთის კომპარტიის მთავარი ამოცანაა—ებრძოლოს საბჭოთა კავშირზე თავდასხმას პროლეტარული სახელმწიფოს ყველა მიღწევების პოპულიარიზაციის გზით, ომის წინააღმდეგ ბრძოლა და უკავშირო მუშათა ყოველდღიურ მოთხოვნილებებისათვის ბრძოლას და საგანგებოდ აღნიშნოს მომავალი ომის კლასობრივი ხასიათი. ომის საფრთხის მოლოდინში უნდა შემოვიკრიბოთ მასები ფართო პოლიტიკურ გაფიცვებში მონაწილეობის მისაღებად. პოლონეთის კომპარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა პარტიის მუშაობაში და აგრეთვე ფრაქციული ბრძოლის ლიკვიდაცია. საჭიროა ბრძოლა მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ, ბრძოლა ბოლშევიკური დისციპლინის აღდგენისათვის.

პოლონეთის კომკავშირი გმირულად იბრძვის, მაგრამ იგი იარაღად იქნა გამოყენებული ფრაქციულ ბრძოლაში სწორი პარტიული ხაზის წინააღმდეგ. ოპოზიცია გააფთრებით უტევს აგრეთვე სეიმის ფრაქციას, რომელიც მუდმივ რეპრესიებს განიცდის. სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა შესაძლებელია არა ხანგრძლივ ბრძოლაში გაკაჟებული პარტიული ხელმძღვანელების ჩამოშორების გზით, არამედ მთლიანობის აღდგენით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს პარტიის სწორი პოლიტიკა და უმცირესობის მორჩილება უმრავლესობის წინაშე.

ამხ. ევერტის სიტყვა

გერმანიის დელეგაციაში,—ამბობს ამხ. ევერტი (გერმანია)—არავითარი არსებითი უთანხმოება არ არსებობს ამხ. ბუხარინის თეზისების გარშემო, თუმცა ზოგიერთ ამხანაგს თეზისების პერსპექტივები მეტის-მეტად პესიმისტურად მიაჩნია. რასაკვირველია, ძალიან ადვილი იქნებოდა პერსპექტივის დასახვა და მოკლე ვადის დანიშვნა, მაგრამ ყოველგვარი რევოლუციონური ტაქტიკის პირველ წინასწარ პირობას წარმოადგენს რეალური სწორი პერსპექტივა ყოველგვარი ლამაზი ფრაზების გარეშე. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ პროცესის ორივე მხარე. უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის სისტემა აფერხებს განსაზღვრულ საფეხურზე რევოლუციონურ განვითარებას, რადგან ეს განსაკუთრებული და დიდი ძალა უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მუშათა კლასზე, მეტადრე მუშათა მასების ჯერ კიდევ შეუგნებელ ელემენტებზე. მაგრამ, ამავე დროს ეს სისტემა ამწვავებს, როგორც შინაგან, ისე გარეშე წინააღმდეგობებს. ამ პირობებში უფრო ძნელია ბრძოლის დაწყება, მაგრამ სამაგიეროდ ყოველ ბრძოლას ახასიათებს დიდი ძლიერება, რევოლუციონური შინაარსი და სიმტკიცე. საერთაშორისო კარტელების ორგანიზაცია კი არ ანელებს, არამედ, პირიქით, უფრო აძლიერებს ბრძოლას გასაღებელი ბაზრებისათვის და იმპერიალისტური პოლიტიკის აგრესივობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ადვილად შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში ზოგიერთ ქვეყანაში ბრძოლა დაიწყოს, რაც გამოიწვევს მუშათა კლასის უშუალო ბრძოლას ხელისუფლებისათვის, თუმცა იმ კონსოლიდაციის დონეზე, რომელსაც ბურჟუაზიამ მიაღწია, ძნელი წარმოსადგენია, რომ კომპარტიებმა მოახერხონ გამარჯვების მოპოვება ერთის დაკვრით.

მუშათა კლასისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ბურჟუაზიის გაძლიერებული აგრესივობა—ამბობს დასასრულ ევერტი—ჩვენს პარტიას უდიდეს ამოცანებს უსახავს. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება მოითხოვს კომპარტიებისა და კომინტერნის ერთობა მთლიანობას.

ამხ. სტრახოვის სიტყვა

ამხ. ბუხარინის თეზისებში,—ამბობს ამხ. სტრახოვი (ჩინეთი),—გლეხთა საკითხი საკმაო სისრულით არ არის დამუშავებული. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გლეხობის როლის უფრო ზედმიწევნით ჩამოყალიბება თეზისებში. ამჟამად სამხრეთ ჩინეთში ხდება გლეხთა აჯანყებანი, რომლებსაც ხშირად კომპარტია ხელმძღვანელობს და რომლებსაც ბევრ ადგილას მოჰყვა მემამულეების გაძევება და საბჭოების მოწყობა. ჩვენი ტაქტიკა გლეხობის მიმართ ყოველთვის წმინდა ბოლშევიკური ტაქტიკა არ იყო, ჩვენ უნდა მივდიოთ სწორ ბოლშევიკურ ხაზს და მებრძოლ გლეხთა მასებს სათავეში ჩაუდგეთ. ჩვენს ძირითად ხაზს უნდა წარმოადგენდეს ბრძოლა მასსებისათვის და მზადება ახალი რევოლუციონური ბრძოლებისათვის, რომლებიც შეიარაღებული აჯანყების გზით მიგვიყვანენ ძლევამოსილ რევოლუციამდე.

მემარცხენე გადახრებთან ერთად ჩვენს პარტიაში არსებობს მემარჯვენე გადახრებიც. ამ უკანასკნელთა მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს გომინდანის ნაციონალური კრების მოწვევის ლოზუნგი; ახლა, როდესაც რევოლუციით დაშინებული ბურჟუაზია ცდილობს გომინდანის გამოცოცხლებას, ამ ლოზუნგს შეუძლია მხოლოდ ჩვენი მუშაობის არევ-დარევა. ჩინეთში აუცილებლად შეეჯახებიან ერთმანეთს იმპერიალისტები; ამიტომ ჩვენ ვთხოვთ კონგრესს—დიდი ყურადღება მიაქციოს შორეულ აღმოსავლეთს და უზრუნველჰყოს უფრო მჭიდრო კავშირი ჩინეთის კომპარტიასა და დანარჩენ სექციებს შორის.

27 ივლისის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 28 ივლისი. კომინტერნის კონ-
ვიდა ამხ. ლოზოვსკი, რომელსაც კონგრესი
გრესის საღამოს სხდომაზე 27 ივლისს გამო-
ტაშით შეხვდა.

ამხ. ლოზოვსკის სიტყვა

„პროფინტერნის მეოთხე კონგრესმა,—ამბობს ამხ. ლოზოვსკი, — რომელიც რამდენიმე თვის წინად დაიხურა, ანალიზი გაუკეთა რევოლუციონური პროფმოძრაობის ყველა დარგს ყველა მისი თავისებურობით. ამ მუშაობის შედეგად მივიღეთ მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებსაც გამოუკლებლივ ხმა მისცა კონგრესის ყველა დელეგატმა, როგორც კომუნისტმა, ისე უპარტიომ. მიუხედავად ამისა, კონგრესის დახურვის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მიღებულ რეზოლუციებს ოპოზიცია გაუჩნდა, განსაკუთრებით გერმანიაში და შეერთებულ შტატებში. ამ ოპოზიციის აზრისა და მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა მოკლედ დავახასიათოთ ეს ახალი იდეები, რომლებიც ჩამოყალიბებულია პროფინტერნის მეოთხე კონგრესის რეზოლუციებში.

ამ ახალ მომენტების რიცხვს ეკუთვნის: რეფორმიზმთან და ამსტერდამის ინტერნაციონალთან ბრძოლის გამწვავება, მთლიანი ფრონტის ტაქტიკის გატარება, უმთავრესად ქვევიდან ხელმძღვანელობა პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლისთვის, ამავე დროს, პროფკავშირთა აპარატის წინააღმდეგ, იმ შემთხვევებში, როცა ეს აპარატი საბოტაჟს უცხადებს ბრძოლას, რევოლუციონურ პროფგაერთიანებათა განმტკიცება არა მთლიან პროფმოძრაობის ქვეყნებში, არა მარტო წევრების ინდივიდუალური მიზიდვის, არამედ რეფორმისტული ორგანიზაციების დაპყრობის გზითაც, ორგანიზაციულად გაუერთიანებელი მუშების ჩაბმა ახალ პროფკავშირებში იმ ქვეყნებში, სადაც პროლეტარიატის ახალი ფენები ჯერ კიდევ პროფკავშირების გარეთ იმყოფებიან, და, ბოლოს, ენერგიული ბრძოლა მთლიანი ფრონტის ტაქტიკის დამახინჯებასთან, როცა მის გატარებას ყოველი ღონით ცდილობენ. ამ რეზოლუციების წინააღმდეგ გაილაშქრეს გერმანიის კომპარტიის მარჯვენა ფრთის წარმომადგენლებმა. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ყველა ამ არასწორი შეფასების წყაროდ უნდა ჩაითვალოს სრულიად შემცდარი წარმოდგენა სოციალ - დემოკრატიულ პარტიაზე, რომელიც მუშათა პარტიად მიაჩნიათ მხოლოდ იმიტომ, რომ მას კიდევ აქვს გავლენა პროლეტარიატის ზოგიერთ ფენებში, აგრეთვე ტენდენცია მთლიანობის მიღწევისა, რადაც არ უნდა დაჯდეს ეს, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს კაპიტულიაცია პროფკავშირთა ბიუროკრატიის და სოციალდემოკრატიის წინაშე. მიუხედავად ამისა, გერმანიის კომპარტიის ცეკა გადაჭრით უჭერს მხარს პროფინტერნის რეზოლუციას. შედარებით უფრო სხვაგვარი მდგომარეობაა შეერთებულ შტატებში, სადაც თვით კომპარტიის ცეკა მტრულად უყურებს კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასე, მაგალითად, პეპერმა წამოაყენა საკუთარი თეორია ამერიკის შრომის ფედერაციის შემდგომი ზრდის შესაძლებლობის შესახებ. ამ თეორიაში სრულიად დაჩრდილულია კომუნისტების ეხლანდელი მთავარი ამოცანა პროფმოძრაობაში — დაურაზმავი მუშების მიზიდვა ახალ პროფკავშირებში. საფრანგეთსა და ჩეხო - სლოვაკიაში არ არსებობს ოპოზიცია რეზოლუციების მიმართ, მაგრამ ამ რეზოლუციების ცხოვრებაში გატარება მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. გერმანიის კომპარტიის მარჯვენა ფრთის წარმომადგენლები განსაკუთრებით წინააღმდეგობას უწევენ პროფინტერნის დადგენილებებს საგაფიცვო სტრატეგიის შესახებ. ისინი აყენებენ ლოზუნგს: „აიძულეთ ბიუროკრატები იბრძოლონ“, თითქოს შესაძლებელი იყოს ზეგავლენით სოციალ - დემოკრატის ნამდვილ მებრძოლად გარდაქმნა.

ჩვენ, პირიქით, მიზნად უნდა დავისახოთ რეფორმისტი ბელადების ჩამოგდება მათ მიერ დაკავებულ პოსტებიდან და პროლეტარიატის რევოლუციონურ ფენებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ცალკე გაფიცვებში, რათა შემდეგ გამოვიყვანოთ ისინი ბურჟუაზიისა და პროფბიუროკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველად იმ შემთხვევებში, როცა პროფბიუროკრატია საბოტაჟს უცხადებს ამ გაფიცვებს. გერმანიის კომპარტიის მარჯვენა ფრთის წარმომადგენლები ამ საკითხში დგანან იმ თვალსაზრისზე, რომ ჩვენ არ უნდა დავიწყოთ ბრძოლა პროფმოძრაობის რეფორმისტული აპარატის წინააღმდეგ, არამედ უნდა შევეცადოთ, რომ ხელში ჩავიგდოთ ეს აპარატი. ასეთი ტაქტიკა დამღუპველი იქნება კომინტერნის სექციებისათვის. პროფინტერნის მეოთხე კონგრესს უსაყვედურებდენ აგრეთვე, თითქოს მას კურსი გათიშვისაკენ ჰქონდეს აღებული. ეს სრული უგნურებაა. მაგრამ, რასაკვირველია, არაფერი ასეთი არ ყოფილა კომინტერნის გადაწყვეტილებებში. ჩვენ კურსი ავიღეთ არა გათიშვისა და განხეთქილებისაკენ, არამედ პროფბიუროკრატიის წარმომადგენლები ამ საკითხში დგანან იმსტული გამთიშველ პოლიტიკის წინააღმდეგ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთლიანობის ჯგუფების მუშაობას. უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ-ჯერობით ხსენებული ჯგუფები მეტად სუსტნი არიან და მათ არავითარი წარმატება არ ემჩნევათ პროფკავშირებიდან გამორიცხვის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთლიანობის ჯგუფებმა გერმანიაში რამდენიმე აშკარად ოპორტუნისტული შეცდომა ჩაიდინეს.

პროფინტერნის კონგრესმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის არასაკმაოდ შეგნებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩინეთის დაცვის კამპანია ვერ ჩატარდა ისე წარმატებით, როგორც საჭირო იყო.

პროფინტერნის კონგრესმა აღნიშნა, რომ რეფორმიზმი საერთაშორისო მასშტაბით ჯერ კიდევ ძლიერია, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ძლიერია საერთაშორისო კაპიტალიზმი. კომინტერნის მეხუთე კონგრესის შემდეგ პროფინტერნის ძალები გაიზარდნენ და გაძლიერდა პროფინტერნის ბრძოლა კაპიტალიზმისა და მისი ლაქიების წინააღმდეგ“ (მქუხარე ტაში).

ამხ. ლენსკის სიტყვა

ლენსკი (პოლონეთი). პოლონეთის კომპარტიის ცეკას უმრავლესობამ, — ამბობს ორატორი, — მრავალი მნიშვნელოვანი შეცდომა ჩაიდინა. ეს შეცდომები მდგომარეობს იმაში, რომ ცეკას უმრავლესობა საკმაოდ ვერ აფასებდა პოლონეთის კაპიტალიზმის ექსპანსიურ მისწრაფებებს და პოლონეთის ფაშიზმის აგრესიულ ტენდენციებს საბჭოთა კავშირის მიმართ, არ სწარმოებდა საკმაოდ ენერგიული ბრძოლა დასავლეთ უკრაინის კომპარტიის ყოფილ ხელმძღვანელი ჯგუფის, შოვინიზმის წინააღმდეგ, სათანადოთ არ იყო შეფასებული სოციალ - დემოკრატიის მემარცხენე ფრთის რეფორმისტული პოლიტიკა, და, ბოლოს, არ იყო სწორი გაფიცვების მთლიანი ფრონტის ტაქტიკა. გარდა ამისა, ცეკას უმრავლესობა არღვევდა დისციპლინას, კომინტერნის მიმართ; ასე მოხდა მაგალითად, პოლონეთის კომკავშირის ვარშავის კომიტეტისა და ცეკას დაშლის დროს კომინტერნის აღმასკომთან შეუთანხმებლად. კომინტერნის დახმარებით უნდა გამოვასწოროთ ეს შეცდომები. ამჟამად ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ შევქმენით სწორი ხელმძღვანელობა, რომელიც უზრუნველყოფს პოლონეთის კომპარტიის მეოთხე ყრილობის დადგენილებათა სისწორით გატარებას. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა შევასუსტოთ ბრძოლა პოლონეთის ფაშიზმის ყაჩაღურ გეგმებთან, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

შემდეგი სხდომა მოხდება 28 ივლისს დილით.

კონგრესის პრეზიდიუმს განუწყვეტლივ მოსდის სხვადასხვა ორგანიზაციების მისასალმებელი დეპეშები საზღვარ-გარეთიდან და საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. (ადს).

კონგრესზე.—დელეგატები რადიო-ტელეფონით უსმენენ ორატორს

პარტიული ცხოვრება

კორნიუშინის საქმე

მოსკოვი, 28 ივლისი. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ 1928 წლის ივლისის 10-ის სხდომაზე განიხილა კორნიუშინის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი კიევიდან წასვლის შემდეგ კიევის ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა კორნიუშინს წამოუყენეს ბრალდება, ვითომდაც იგი არ ახმაურებდა და ხელს აფარებდა არანორმალურ მოვლენებს. ეს ბრალდება გამოქვეყნებული იყო კიევის პარტიულ პრესაში როგორც სავსებით დამტკიცებული, და მან ცაკის „იზვესტიაშიაც“ ჰპოვა გამოძახილი. საოლქო საკონტროლო კომისიამ და პარტიულმა კომიტეტმა თავიანთი დადგენილება გამოიტანეს კორნიუშინის დაუსწრებლივ და არც მოუთხოვიათ მისგან ახსნა-განმარტება. აღნიშნულის გამო პარტიული კოლეგიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთვლის რომ კიევის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს არ ჰქონდათ საფუძველი კორნიუშინისათვის პრესაში ბრალი დაედოთ კიევის ორგანიზაციის ავადმყოფურ მოვლენების გამოუმჟღავნებლობასა და დაფარვაში.

ც. ს. კ. კომისიის პარტკოლეგიის მდივანი იაროსლავსკი (ადს).

მეორე ყრილობის 25 წლისთავისათვის

მოსკოვი, 28 ივლისი. ივლისის 31-ს საბჭოთა კავშირის რევოლუციის მუზეუმი ხსნის გამოფენას პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავის აღსანიშნავად. გამოფენის უაღრესად საინტერესო მასალა ნათელს ჰფენს ბოლშევიზმის ჩასახვის ისტორიულ საფეხურებს. გამოფენა ასურათებს ბოლშევიზმის ბრძოლას ყველა ოპორტუნისტულ მოძრაობასთან, კერძოდ მენშევიზმთან და ტროცკიზმთან. გამოფენის მასალებიდან ნათელი ხდება მენშევიკების და ტროცკის მარქსიზმის საფუძვლებიდან აცდენის სარჩული (ადს).

კომუნისტების მიღება უმ. ტეხნ. სასწავლებლებში

მოსკოვი, 28 ივლისი. თანახმად საკ. კ. პ (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის დადგენილებისა 1.000 კომუნისტის მიღების შესახებ ტეხნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში, საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ და მოსკოვის კომიტეტმა გამოჰყვეს მოსკოვში სამი კომისია, რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას. ტეხნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე კომუნისტები მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებიან. რაც თავის მხრივ უზრუნველჰყოფს სწავლის ნორმალურ პირობებს აღნიშნული ამხანაგების სოციალური შემადგენლობა უმთავრესად მუშური უნდა იყოს. (ადს).

ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის საკითხები

(ამიერ-კავკასიის თათბირისათვის)

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ეროვნებათა მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების ძირიანფესვიანად გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომელნიც მიმართულია მთელი სოციალ-ეკონომიური წყობის გარდაქმნისაკენ, ჩამორჩენილ ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესებიც სათანადო გამოძახილს ჰპოვებს.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მჭიდროდ არის შეკავშირებული გლეხობასთან; საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობათა ძირითადი მასა გლეხობისაგან შესდგება. ასე, რომ ამ შემთხვევაში გლეხთა საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალური საკითხთან; აქედან დასკვნა თავისთავად ნათელია—გლეხობის საკითხების გადაჭრის დროს ეროვნულ უმცირესობათა მიმართ საჭიროა ანგარიში გაეწიოს ამ უკანასკნელთა სპეციფიურ ნაციონალურ თავისებურებებს.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ნაციონალური შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია და რომ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში სხვებთან ერთად უნდა ჩაიბას ნაციონალური უმცირესობანიც. ამ ამოცანის სწორი გადაჭრა კი მეტად რთული საქმეა, თუ მივიღებთ მხედველობაში ნაციონალურ უმცირესობათა კულტურულ და პოლიტიკურ ჩამორჩენილობას.

თუ დიდ სამრეწველო რაიონებშიაც სოციალისტური მშენებლობის ამოცანას წინ ეღობება მასების დაბალი კულტურული დონე, ცხადია ეს მოვლენა გაცილებით უფრო მწვავე იქნება ჩამორჩენილ ნაციონალურ რაიონებში. ასეთი რაიონები მოიპოვება არა მარტო მიყრუებულ ადგილებში, არამედ თვით თბილისის მაზრაშიაც. აქ ხშირად წერა-კითხვის უცოდინარობა ეპიდემიურ ხასიათს ატარებს. (მაგ. თურქებისა და ბერძნების მოსახლეობა). ცხადია, რომ ტეხნიკური უვიცობის ლიკვიდაციის გარეშე, ჩამორჩენილ ეროვნებათა საერთო კულტურულ-პოლიტიკურ დონის ამაღლების შესახებ, ლაპარაკი შეუძლებელია. ამიტომაც პირველ ყოვლისა საჭიროა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების ქსელის გაფართოვება ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში.

მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არა გვყავს ეროვნულ უმცირესობათაგან გამოსულ ორგანიზაციებისა და კულტურულ მუშაკების კადრები ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით მთავარი ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს მოზარდ თაობას. ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებმა გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ კულტურულ მუშაკთა კადრების მომზადებაში.

ნაციონალურ უმცირესობათა უღარიბეს მასების მშრომელი ნაწილისა და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა და ნებაყოფლობით ორგანიზაციებში ჩაბმით. ჩვენ უეჭველია საგრძნობ შედეგებს მივაღწევთ ნაციონალურ უმცირესობათა კულტურულ და პოლიტიკურ დონის ამაღლების მხრივ.

ერთ ერთ უდიდეს დაბრკოლებას ნაციონალურ უმცირესობათა კულტურულ აღორძინების საქმეში ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები წარმოადგენს. ამ ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას ფრთხილი მეთოდებით უნდა მივუდგეთ—ერთი დაკვრით აქ ვერაფერი გაკეთდება, საჭიროა პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციების სისტემატიური და ბეჯითი მუშაობა ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში, რადგანაც ჩამორჩენილ ხალხთა ყოფა-ცხოვრება უმთავრესად რელიგიურ-ფეტიშისტურ და ტრადიციულ ცრუმორწმუნეობათა საფუძველზე დამყარებული.

ყოფა-ცხოვრების ტრადიციებთან ბრძოლა გაცილებით ადვილი იქნება იმ შემთხვევაში თუ აქ ამოცანის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი კულტურული ძალები—ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები და სხვ.

ცხადია, მარტოოდენ ზეპირი პროპაგანდით ჩვენ დიდ შედეგებს ვერ მივაღწევთ. აქ საჭიროა მატერიალური ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის ზომების მიღება: სახელდობრ: ნაციონალური უმცირესობათა რაიონების უზრუნველყოფა სამკურნალო პუნქტებით, საავადმყოფოებით, სკოლებით, მათი კეთილმოწყობა და სხვ.

ცხადია, რომ კულტურული ყოფა-ცხოვრებითი რევოლუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს დადებით შედეგებს, თუ მასთან ერთად ტეხნიკურ-ეკონომიური რევოლუციის პროცესიც იწარმოებს. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მიწათმოწყობის, მელიორაციის, გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირების, მაშინიზაციის და კოლექტივიზაციის საკითხები.

ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობის დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ძალთა მაქსიმალურ დაძაბვით უნდა შესძლონ მთელი ამ ჩამორჩენილი მასის სოციალიზმის აქტიურ შემოქმედ ძალად გადაქცევა.

შახდინი.

ა.-კ. თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ

ამხ. იზმაილოვის მოხსენება

27 ივლისის საღამოს სხდომაზე უპარტიო გლეხობის აქტივთან მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. იზმაილოვმა.

სოფლის სოციალ-ეკონომიური გარდაქმნისა—სთქვა მომხსენებელმა—და კულტურული რევოლუციის ამოცანებს ვერ გადასჭრის კომუნისტების ის მცირე ჯგუფი, რომელიც სოფელშია. ამ საქმეში საჭიროა გამოყენებულ იქნეს უპარტიო გლეხობის აქტივი, რომელიც სოფლის საბჭოებისა და კოოპერაციის წევრებისაგან შესდგება. ჩვენმა ქვედა საფეხურის ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ არ იციან როგორ უნდა აწარმოონ მუშაობა უპარტიო აქტივთან და როგორ შეიძლება ამ აქტივის უკეთ გამოყენება.

ჩვენი სოფლის უჯრედების მდივნები, იმის ნაცვლად, რომ გლეხობის აქტივის დახმარებით გაატარონ ესა თუ ის დირექტივა და აღზარდონ ახალი აქტივი,—მუშაობის 90 პროც. პირადათ თვითონ ასრულებენ; ეს გარემოება ცუდ გავლენას ახდენს მუშაობის ღირსებაზე.

მიუხედავად სუსტი მუშაობისა, გლეხობის აქტივი მნიშვნელოვნად იზრდება: მარტო სოფლის საბჭოების წევრებად 58.590 კაცი გვყავს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გამგეობებსა და სარევიზიო კომისიებში—5000 წევრი. გლეხობის შედარებით ძალიან დიდი აქტივი მოითხოვს [illegible] ხელმძღვანელობას. ამ მხრივ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ უპარტიო აქტივთან მუშაობის შინაარსის გაუმჯობესებას და ახალ კადრების პოლიტიკურ მომზადება-დაწინაურებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე უპარტიო აქტივში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ამხ. იზმაილოვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვართანოვმა, ალიევმა, მამიკონიანმა, პაპუამ, ემინბეიმ და სხვ. თითქმის ყველა ორატორს მოჰყავდა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სუსტ მუშაობას უპარტიო აქტივთან. ჯერ კიდევ სასოფლო თათბირის წარსულ პლენუმზე იყო აღნიშნული, რომ სოფლის უჯრედები სუსტ მუშაობას აწარმოებდენ უპარტიო აქტივთან; ამ დარგში დღემდე ცოტა რამ გაკეთებულა.

სოფლის უჯრედების გამოცოცხლებასთან ერთად, საჭიროა სოფლის საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებაც, უპარტიო აქტივის თათბირების მოწვევა, ნებაყოფლობით საზოგადოებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველება.

კამათის დამთავრების შემდეგ ამხ. იზმაილოვი გამოვიდა საბოლოო სიტყვით.

ამხ. ჩხენკელის მოხსენება

27 ივლისის დილის სხდომაზე ამხ. ჩხენკელმა გააკეთა მოხსენება კოლმეურნეობათა მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის მე-15 ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობათა მშენებლობას და დასახა ამ მშენებლობის გზა. ყრილობის დირექტივებმა აამოძრავეს არა მარტო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, არამედ საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციებიც. კოლმეურნეობათა მშენებლობას მე-15 ყრილობის შემდეგ მტკიცე ორგანიზაციული ხასიათი ეძლევა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ამიერ-კავკასიაში მიწით სარგებლობის განსაზოგადოებას და კომუნებისა და ეგრეწოდებულ შრომის არტელების დაარსებას სტიქიური ხასიათი ჰქონდა რის გამოც ისინი ორი წელიწადიც კი ვერ ძლებდენ. ამჟამად გლეხობის მისწრაფება მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ არის ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის შედეგი. თუ წინად კომუნები და არტელები ზოგჯერ 5 წევრისაგან შესდგებოდა დღეს კოლმეურნეობებში წევრებიც გაცილებით უფრო მეტია და ინვენტარიც. საჭიროა შემდეგისათვის აღებულ იქნეს კურსი კიდევ უფრო მსხვილ კოლექტიურ მეურნეობების შექმნისაკენ.

სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციის დირექტივასთან ერთად, მე-15 პარტიულმა ყრილობამ მოგვცა დირექტივა კოლმეურნეობათა პროდუქტების გასაღების უზრუნველყოფის, ე. ი. კონტრაქტაციის შესახებაც, უწინარეს ყოვლისა საჭირო კონტრაქტების დადება კოლმეურნეობებთან და არა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებთან.

კოლმეურნეობათა მატერიალური დახმარება მნიშვნელოვნად იზრდება. მაგალითად 1925—26 წ. კრედიტების სახით გაიცა 124.000 მან., 1926—27 წ.—152.000 მან. 1927—28 წ. 1 მილიონ მან მეტი. ორი კვარტალის განმავლობაში გაცემულია უკვე —1.085.000 მ. და წლის ბოლომდე კიდევ 151.000 მან. გაიცემა. გარდა საბიუჯეტო ასიგნობებისა, რომლებიც 360.000 მან. შეადგენენ. იზრდება აგრეთვე კოლმეურნეობათა რაოდენობაც: საქართველოში კოლმეურნეობანი მეურნეობათა საერთო რიცხვის 1,5 პროც. შეადგენენ, სომხეთში— 1 პროც., აზერბეიჯანში—0,8 პროც., მთელ ამიერ-კავკასიაში—1,1 პროც., საბჭოთა კავშირში კი—1 პროც. კოლმეურნეობათა სოციალური შემადგენლობა სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვაგვარია; ღარიბ გლეხების რაოდენობა კოლმეურნეობებში უდრის 67 პროც., საშუალო გლეხების—30,6 პროც., შეძლებულ გლეხების—2,3 პროც., კოლმეურნეობათა საერთო მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში ისეთია, რომ იგი მოითხოვს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებისა და კვალიფიციური მუშაკების სერიოზულ ყურადღებას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ბაბლუმიანმა, ჯატიევმა, ცაგარელმა, ვალტერმა, ვართანიანმა და სხ. რესპუბლიკანურ კოლმეურნეობათა ცენტრების მუშაკები აღნიშნავდენ, რომ ცენტრი საკმაო დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობებს, ცენტრს არა აქვს იმდენი საშუალება, რომ დაიქირაოს თანამშრომელთა საჭირო შტატი. გაცხოველებული კამათი გამოიწვია სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის საჭირო მუშაკების კადრის საკითხმა. გამოითქვა აზრი მუშაკების მოსამზადებელ სპეციალური კურსების გახსნის შესახებ, აღნიშნავდენ კოლმეურნეობების ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით დაჩქარებით მომარაგების აუცილებლობას.

საღამოს სხდომაზე ამხ. ჩხენკელი გამოვიდა საბოლოო სიტყვით.

რეზოლუციების თეზისების დამტკიცების შემდეგ თათბირი დაიხურა (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკა ჩინეთში.—ისევ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის შესახებ.—ინგლისი და რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი.—დაუესის გეგმის გადასინჯვის გარშემო.—მარინკოვიჩის დიპლომატიური სიბრძნე.

25 ივნისს ჩრდ.-ამ. შ. შტატების მთავრობამ ნოტით მიმართა ნანკინის სატარიფო ხელშეკრულების გადასასინჯავად მოლაპარაკების დაწყების შესახებ. იმავე დღესვე დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლითაც ამერიკა აღიარებს ჩინეთის საბაჟო ავტონომიას. რით აიხსნება მოქმედების ასეთი სისწრაფე ვაშინგტონის დიპლომატიის მხრით, რომელიც სულ უკანასკნელ მომენტამდე ჩინეთის საკითხში დიდ მერყეობას იჩენდა და ლოდინის ტაქტიკას ატარებდა. ესაა პასუხი იაპონიის პოლიტიკაზე ჩინეთში.

იაპონელი იმპერიალისტები ბოლო დროს განსაკუთრებულ აგრესიულობას იჩენენ ჩინეთის მიმართ. შანდუნის ოკუპაციით მათ მაგრათ მოიკიდეს ფეხი ამ ქვეყანაში. ამავე დროს ისინი სულ უფრო ეუფლებიან მანჯურიას და ნანკინს მის შემოერთების საშუალებას უპობენ. ამერიკის მთავრობას არა ერთხელ გაუფრთხილებია იაპონია, რომ ის არ სცნობს უკანასკნელის რაიმე განსაკუთრებულ ინტერესებს და უფლებებს საერთოდ ჩინეთში და კერძოდ მანჯურიაში. როგორც სჩანს, ამ გაფრთხილებამ არ გასჭრა, რის შემდეგ ამერიკამ გადასდგა ხსენებული ნაბიჯი.

უნდა ითქვას, რომ ამერიკის მთავრობამ თავისთვის მეტად ხელსაყრელი მომენტი აირჩია ჩინეთში იაპონიის პოზიციების შესარყევად. ჩინეთ - იაპონიის ურთიერთობა ამჟამად უკიდურესობამდე გამწვავებულია უთანასწორო ხელშეკრულებათა საკითხთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, ნანკინმა გააუქმა იაპონიასთან დადებული ასეთი ხელშეკრულებები. ტოკიოს მთავრობა კი იმუქრება რეპრესიულ ზომების მიღებით, თუ ნანკინი გაბედავს აქედან პრაქტიკულ დასკვნების გამოყვანას, ე. ი. იაპონიის პრივილეგიების მოსპობას, და თავის ელჩის იასიზავას პირით აცხადებს, რომ ჩინეთთან „თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მოლაპარაკება უაზრობაა“. ასეთ პირობებში ამერიკა თანხმდება ჩინეთის საბაჟო ეკონომიის აღდგენაზე და ახდენს ჩინელ ხალხის მიმართ თავის „კეთილგანწყობილების“ დემონსტრაციას. აქ აშკარად მოჩანს ამერიკა-იაპონიის ინტერესთა წინააღმდეგობა. ამერიკა ჩინეთში უპირდაპირდება იაპონიას, ვითომ გამოდის ჩინეთის მეგობრის როლში, ამ გზით ცდილობს მიაღწიოს იაპონიის გარიყვას და მის ხარჯზე თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის გაძლიერებას ამ ქვეყანაში.

თავისთავად ცხადია, რომ ამერიკის მეგობრობა ჩინეთის მიმართ მეტად საეჭვო ხასიათისაა. თვალთმაქცობაა კელოგის ნოტის განცხადება, რომ ამერიკის მთავრობა თითქო თანაუგრძნობდეს ჩინეთის ხალხის მისწრაფებას სუვერენიტეტისაკენ, რომ მას განზრახვა არ ჰქონდეს ჩაერიოს ჩინეთის შინაურ საქმეებში და სხვ. თვით ამ ნოტაში ვკითხულობთ, რომ ჩინეთის სუვერენიტეტი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეზღუდული არ უნდა იქნეს განსაკუთრებული ხასიათის ვალდებულებებითო. რას ნიშნავს ეს „რამდენად შესაძლებელია“? ცხადია, რომ ეს შენიშვნა აბათილებს ჩინეთის სუვერენიტეტის აღიარებას, მიტომ რომ იმპერიალისტები ყოველთვის გამონახავენ „მიზეზებს“, რომელთა გამო ისინი შეუძლებლად მიიჩნევენ ჩინეთის სრული დამოუკიდებლობის აღიარებას. შემდეგ ნოტაში ნათქვამია: „ჩვენ მოვითხოვთ ამერიკელ მოქალაქეთა კანონიერ უფლებების უზრუნველყოფას“-ო. ამ „კანონიერ უფლებებზე“ მითითებაც არანაკლებ საგულისხმოა, მით უფრო, რომ ნოტა სრულებით არაფერს ლაპარაკობს იმ უთანასწორო ხელშეკრულებაზე, რომლებიც ამერიკას ჩინეთთან აქვს დადებული. ამ ხელშეკრულებებში კი ჩამოყალიბებულია ამერიკელთა „კანონიერი უფლებები“, ე. ი. მათთვის მინიჭებული პრივილეგიები. და თუ ნოტას მხედველობაში აქვს ამ „კანონიერ უფლებების“ უზრუნველყოფა, და ეს ასე უნდა ვიგულისხმოთ,—მაშინ ჩინეთის მიმართ ამერიკის იმპერიალიზმის უკანასკნელი აქტის ნამდვილი ღირებულება აშკარა გახდება.

ამერიკა მხოლოდ ჩინეთის საბაჟო ავტონომიას აღიარებს. ამით ოდნავადაც არ ამოიწურება ჩინეთის განთავისუფლების საკითხი. თვით საბაჟო ავტონომიის შესახებ დადებულ ხელშეკრულებით ამერიკას ეძლევა შეღავათები ჩინეთთან აღებ-მიცემობაში (მასში შეტანილია მუხლი ამერიკისათვის ამ მხრივ უპირატესი უფლებების მინიჭების შესახებ). უფრო აღსანიშნავი ის არის, რომ ეს ავტონომია აღდგენილ იქნება მხოლოდ 1929 წლის 1 იანვრიდან, ისიც მაშინ, თუ ხელშეკრულება დამტკიცებულ იქნება ორივე მხარის მიერ. ამერიკის მთავრობა ფიქრობს: შეიძლება მანამდე მდგომარეობა შეიცვალოს იმ მხრივ, რომ ამერიკამ მოახერხოს უფრო ხელსაყრელ პირობების მიღწევა ჩინეთთან დამოკიდებულებაში. ამავე დროს ამერიკას განზრახვა აქვს ამ ხელშეკრულების დაუმტკიცებლობა გამოიყენოს ნანკინზე ზეგავლენის მოსახდენად სხვა და სხვა მოლაპარაკებათა დროს.

მთავარი აზრი ვაშინგტონის ნაბიჯისა, ამგვარად, მდგომარეობს არა ჩინეთის უფლებებისადმი პატივისცემაში, არამედ თავის მოქიშპე იაპონიის იმპერიალიზმთან ბრძოლაში. შორეულ აღმოსავლეთში ღრმავდება ამერიკა-იაპონიის წინააღმდეგობანი, რომლებმაც ადრე თუ გვიან არ შეიძლება ომი არ გამოიწვიონ. ვაშინგტონის ეხლანდელი მოქმედება ჩინეთში ამ წინააღმდეგობათა გამოხატულებაა.

⁂

პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობა კვლავ დაძაბულია. ამას წინად მათ საზღვარზე მოხდა შეტაკება: მოკლულ იქნა ერთი პოლონელი ჯარისკაცი და ერთიც დაჭრილი. პოლონეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს ინციდენტი გამოიწვიეს ლიტველმა ჯარისკაცებმა, რომლებმაც სადემარკაციო ხაზი გადმოლახეს და პოლონეთის რაზმს სროლა აუტეხეს, ლიტვის მთავრობა კი საწინააღმდეგო ვერსიას იცავს. როგორადაც არ უნდა იყოს, ამგვარ შემთხვევების შესაძლებლობა გვიუბნება იმ საფრთხეზე, რომელსაც მშვიდობიანობისათვის წარმოადგენს პოლონეთ-ლიტვის ეხლანდელი დამოკიდებულება.

უფრო საგულისხმოა, რომ პოლონეთის მთავრობა აპირებს ვილნოს რაიონში სამხედრო მანევრების მოწყობას. ამასთან დაკავშირებით ვოლდემარასმა ერთა ლიგის საბჭოს მიმართა ნოტით, სადაც ის აღნიშნავს, რომ პოლონეთის ჯარების თავმოყრა სადემარკაციო ხაზთან ისეთ საშიშროებას შექმნის ლიტვისათვის, რომ იძულებული ხდის ლიტვის მთავრობას გააძლიეროს არმია და პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზის დაცვა.

აღსანიშნავია: ლიტვის მთავრობას, როგორც სჩანს, კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ ლიგა არ დაუშვებს ლიტვაზე პოლონეთის თავდასხმას და დაიცავს მის კანონიერ უფლებებს. ამით აიხსნება, რომ იგი ამ დაწესებულებას დროგამოშვებით ამცნევს პოლონეთის სამხედრო მზადებას და იმ საფრთხეს, რომელიც ლიტვას პოლონეთისაგან მოელის. ნუ თუ ვოლდემარასისათვის უშედეგოდ ჩაიარა უკანასკნელ დროის გაკვეთილებმა, სახელდობრ იმან, რომ ერთა ლიგის საბჭო აშკარად უჭერს მხარს პოლონეთის იმპერიალისტების მტაცებლობას ლიტვის მიმართ და საერთოდ უფრო სუსტ ხალხების დამონების იარაღის როლს ასრულებს!

ამ მხრივ საყურადღებოა ჩემბერლენის უკანასკნელი გამოსვლაც. მან განაცხადა, რომ ინგლისის ელჩს რიგაში წინადადება მიეცა მიმართოს ლიგას „არაოფიციალურად“ და მიუთითოს ერთა ლიგის საბჭოს იმ წინადადებების განხორციელების სასურველობაზე, რომლებიც პოლონეთ-ლიტვის უთანხმოებას შეეხება. მან ამასთან დასძინა, რომ ასეთივე ნაბიჯებს გადასდგამენ საფრანგეთი და გერმანიაცო. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ იმპერიალისტების მთლიან ფრონტს პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულების საკითხში, ფრონტს რომლის მოწმე უკვე ვიყავით ერთა ლიგის საბჭოს ივლისის სესიაზე. პირველ შეხედვით ისე გამოდის, რომ ჩემბერლენები თითქო მშვიდობიანობის დაცვაზე ზრუნავენო. ნამდვილად კი, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ერთა ლიგის საბჭოს წინადადებები, რომლებსაც ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ახსენებს, იმაში მდგომარეობს, რომ პოლონეთმა და ლიტვამ ურთიერთი მოლაპარაკების გზით მიაღწიონ შეთანხმებას. მაგრამ როგორ შეიძლება ეს, როცა პოლონეთი ამ მოლაპარაკების დროს ამა თუ იმ სახით მოითხოვს მის მიერ ვილნოს დაპყრობის დაკანონებას ლიტვის მხრით. რომ ჩემბერლენს მართლა სწადდეს მშვიდობიანობის განმტკიცება, ის პირველყოვლისა პოლონეთის მთავრობას მისცემდა რჩევას ასეთ მოთხოვნაზე ხელი აეღო. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ლიტვის მთავრობა ყველაფერს შესაძლებელს აკეთებს პოლონეთთან თუ გინდ დროებით და ტეხნიკურ შეთანხმების მისაღწევად: იგი თავისი ზოგიერთი გამოსვლებით (ვილნოს გამოცხადება ლიტვის დედაქალაქად და სხვ), თავისთავად როგორიც კანონიერიც არ უნდა იყვენ ისინი, იმპერიალისტებს საბაბს აძლევს ლიტვის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. მაგრამ კონფლიქტის გამწვავებისათვის მთავარი დამნაშავე, აშკარაა, არის პოლონეთის მთავრობა, რომელიც ლიტვის მიმართ აშკარა ყაჩაღურ ზრახვებს ატარებს. ჩემბერლენი კი პოლონელ იმპერიალისტებს ზურგს უმაგრებს, ისინი მშვიდობიანობის მოყვარე ხალხად გამოყავს და ამით აქეზებს მათ ლიტვაზე თავდასხმისათვის. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ გერმანელ მენშევიკების „ფორვერტსი“ ჩემბერლენებთან ერთად სასტიკად ილაშქრებს ლიტვის მთავრობის წინააღმდეგ, მას ბრალს სდებს მშვიდობიანობის დარღვევაში, ხოლო არაფერს ამბობს პოლონეთის პოზიციაზე. ლიტვის მოდრეკა, ცხადია, მას საჭიროდ მიაჩნია იმისთვის, რომ გაადვილდეს მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა.

მდგომარეობა რთულია. თუ კონფერენციაზე, რომლის მოწვევის შესახებ ლიტვის მთავრობამ წინადადება მისცა პოლონეთის მთავრობას, არ იქნა მიღწეული შეთანხმება, მოსალოდნელია, რომ ერთა ლიგის საბჭოს სექტემბრის სესია პოლონეთის იმპერიალისტებს „ნებას დართავს“ იარაღით გადასჭრან სადაო საკითხი. ეს შეთანხმება კი პოლონეთის მთავრობას და მასთან ერთად მის მფარველებს—ინგლის-საფრანგეთის მმართველთ ესმით, როგორც ლიტვის მხრით ვილნოზე ხელის აღება.

მხოლოდ მსოფლიო მუშათა კლასის ენერგიული გამოსვლითა და საბჭოთა მთავრობის მტკიცე სამშვიდობო ნაბიჯებით, როგორც ვარშავაში, ისე კოვნოში, შეიძლება აცილებულ იქნას ლიტვის დამონება და ომის საფრთხე აღმოსავლეთ-ევროპაში.

⁂

ჩემბერლენის განცხადებამ რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ დღის წესრიგში დასვა გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი.

ჩემბერლენი თვალთმაქცურად აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა ვითომ და თანაუგრძნობს გერმანიის თვალსაზრისს რეინის ოლქის ვადამდე დაცლის შესახებ. მაგრამ ამასთანავე ის ამბობს, რომ ამ ოლქის დაცლა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა დაინტერესებულ მხარეებს შორის იქნება მიღწეული შეთანხმება, თვითონ ინგლისი კი ვერ იკისრებს ამ საკითხის გადაჭრის ინიციატივასო.

ეს განცხადება საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ის გამოხატავს ინგლისის მთავრობის შიშს საფრანგეთ-გერმანიის შესაძლებელ დაახლოვების გამო. ამ ქვეყნებს შორის არსებულ უთანხმოებას (რომელთა მთავარი ობიექტებია რეინის ოლქის და რეპარაციების საკითხი) ინგლისი ყოველთვის იყენებდა მათზე გასაბატონებლად, მათ თავის გავლენის ქვეშ მოსაქცევად და დასავლეთ ევროპაში თავის ჰეგემონიის განსამტკიცებლად. ამ მიზნით იგი, შექმნილ პირობების მიხედვით, ხან ერთს უჭერდა მხარს, ხან მეორეს, საერთოდ კი თამაშობდა არბიტრის როლს ამ ქვეყნების ურთიერთობაში.

მაგრამ გერმანიის და საფრანგეთის ეკონომიკის ინტერესები მოითხოვენ ამ ქვეყნების ასე თუ ისე დაკავშირებას. ამას საფუძველი ჩაეყარა ტუარში. ინგლისი ყოველნაირად შეეცადა ტუარის შედეგების გაქარწყლებას. როცა ეხლა კვლავ იჩინეს თავი გერმანია-საფრანგეთის „თანამშრომლობის“ ერთგვარმა ტენდენციებმა, ინგლისი შიშობს, რომ არ იქნეს გარიყული და არ დაკარგოს „შუამავლის“ როლი. ამით აიხსნება ჩემბერლენის განცხადება, რომ რეინის დაცლა მოსახერხებელია მხოლოდ ყველა დაინტერესებულ მხარეების შეთანხმების შემდეგო. ამით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ინგლისისათვის გვერდის ავლა ამ საკითხში შეუძლებელია, რომ ინგლისის მონაწილეობის გარეშე იგი ვერ გადაიჭრება.

მაშასადამე, ლონდონი კვლავ ცდილობს შუამავლის როლი შეინარჩუნოს, რომ საფრანგეთი და გერმანია ამ გზით ისევ დამოკიდებული იყვენ მისგან. და თუ აუცილებელი გახდება რეინის საკითხში მათი შეთანხმება, ინგლისი ყოველ ზომას იხმარს, რომ აქედან მან მაქსიმალური სარგებლობა მიიღოს და გერმანია-საფრანგეთის დაახლოვებამ არ შეარყიოს მისი პოზიციები ევროპაში.

⁂

მეორე ძირითადი საკითხი, რომელიც საფრანგეთსა და გერმანიას ყოფს, ესაა, როგორც ვსთქვით, რეპარაციების პრობლემა. ამის შესახებ ეხლა რეპარაციების აგენტი ჯილბერტი საფრანგეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. საბოლოოდ გარკვეულია, რომ დაუესის გეგმა გაკოტრდა. მასში იმთავითვე ჩამარხული იყო დაუძლეველი წინააღმდეგობა: ამ გეგმით დაწესებულ გადასახადების გალება გერმანიას შეუძლია უმთავრესად თავის ექსპორტის გაძლიერებით, ხოლო უკანასკნელი ნიშნავს დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნების, პირველ ყოვლისა, დაუესის გეგმაზე ხელმომწერ სახელმწიფოების პოზიციების შესუსტებას მსოფლიო ბაზარზე. გერმანიას არ აძლევენ ამ ბაზარზე გასვლის საშუალებას. აქედან მას არ შეუძლია ვალები იხადოს, მით უფრო, რომ ამ გადასახადების ყოველწლიური ნორმა საგრძნობლად დიდდება, ე. წ. ნორმალურ საგადასახადო პერიოდის დაწყების შემდეგ. აქედან წამოიჭრა საკითხი დაუესის გეგმის გადასინჯვის შესახებ.

რეპარაციების საერთო რაოდენობა უნდა იქნეს განსაზღვრული (დაუესის გეგმით ეს არ არის გათვალისწინებული, იქ მხოლოდ ნაჩვენებია, თუ რამდენი უნდა იხადოს ყოველ წლიურად გერმანიამ). უნდა იქნეს გამოცემული ამ რაოდენობით სესხის ობლიგაციები, რომელთა ნახევარს უზრუნველყოფს გერმანიის რკინისგზის და მრეწველობის შემოსავალი. ამ უზრუნველყოფილ ნაწილს სათანადო სახელმწიფოების მთავრობათა ვალების ანგარიშში დაეუფლება ამერიკა, მეორე, საეჭვო ნაწილი უმთავრესად გადაეცემა საფრანგეთს და ბელგიას. ამასთან ისპობა ყოველგვარი კონტროლი დაუესის გეგმის შესრულებაზე და უქმდება სამისო აპარატი. ასეთია დაახლოვებით ამერიკის მთავრობას შეხედულებები.

უეჭველია, რომ ეს თვალსაზრისი შეხლა-შემოხლას გამოიწვევს სახელმწიფოთა შორის. თუმცა საფრანგეთს შეგნებული აქვს დაუესის გეგმის რევიზიის აუცილებლობა, მაგრამ იგი ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ აქედან ყველაზე მეტად ამერიკამ ისარგებლოს. საფრანგეთის ბიუჯეტის ერთ მესამედს რეპარაციები შეადგენენ, ხოლო ჯილბერტის გეგმის გატარების შემდეგ საფრანგეთს გაცილებით ნაკლების მიღების იმედი შეიძლება ჰქონდეს, ინგლისი კი შეეცდება ამ ნიადაგზე გერმანია-საფრანგეთის დამოკიდებულების გართულებას.

რაც შეეხება გერმანიის მშრომელ ხალხს, მისი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ შემსუბუქდება დაუესის გეგმის გადასინჯვით, როგორც ეს ამერიკელ ბანკირებს აქვთ წარმოდგენილი. მისთვის სულ ერთია—ამერიკელი თუ ფრანგი კაპიტალისტები აწარმოებენ მის ექსპლოატაციას. გერმანიის ბურჟუაზია გააგრძელებს მშრომელ მასებიდან წვენის ამოწოვას, როგორც რეპარაციების გასასტუმრებლად, ისე თავის ჯიბის გასასქელებლად. აქედან აუცილებლად გაძლიერდება გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლა „მშობლიურ“ კაპიტალისტების და უცხოელ მძალადეთა წინააღმდეგ.

⁂

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრის, მარინკოვიჩის გამოსვლაზე საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ. მან განაცხადა:

„ამჟამად სამხრეთ-სლავიას და საბჭოთა რუსეთ შორის არ არსებობს არავითარი დამოკიდებულება. მაგრამ ამაში არა მარტო ჩვენ ვართ დამნაშავენი; ჩვენ დღემდე არ ვიცით — სურს თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენთან რაიმე ურთიერთობა და თუ სურს, სახელდობრ — როგორი“.

კიდევ კარგი, რომ მარინკოვიჩი მარტო საბჭოთა მთავრობას არ სდებს ბრალს ჩვენსა და სამხრეთ-სლავიას შორის დამოკიდებულობის უქონლობისათვის და სიტყვიერად მაინც პასუხისმგებლობას თუნდაც ნაწილობრივ თავის ქვეყნის მმართველთ აკისრებს. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი მდგომარეობისათვის მთლიანად სამხრეთ-სლავიის მთავრობა დამნაშავე, მაგრამ მარინკოვიჩს ხომ ვერ მოვსთხოვთ სრული სიმართლის აღიარებას!

უფრო საყურადღებოა ის, რომ მარინკოვიჩს თურმე არ სცოდნია, გვსურს თუ არა ჩვენ ურთიერთობა სამხრეთ-სლავიასთან და, თუ გვსურს, რანაირი ურთიერთობა. ასეთი „უვიცი“ კაცი გარეშე საქმეთა მინისტრად ვერ გამოდგება, მეტი რომ არ ვსთქვათ, განა ცხადი არ არის ბრმათათვისაც კი, რომ საბჭოთა მთავრობა ცდილობს ყველა ქვეყანასთან, დაამყაროს მშვიდობიანი და საქმიანი დამოკიდებულება თანასწორობის და ურთიერთი ინტერესების აღიარების ნიადაგზე.

მარინკოვიჩი შემდეგ იწყებს „თეორიულ“ მსჯელობას. ის სვამს კითხვას: „როგორ უყურებს საბჭოთა მთავრობა სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობათა ბუნებას“?. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რასაც ქადაგებს რუსეთის მმართველი კომუნისტური პარტია, ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა დე-იურე არ სცნობს მსოფლიოში არსებულ არც ერთ სახელმწიფოს. აქედან აშკარაა, რომ საბჭოთა მთავრობასაც არ შეუძლია მოლოდინი იქონიოს, რომ სხვა სახელმწიფოები „სცნობენ მას“. რად ესაჭიროება მარინკოვიჩს ეს „განყენებული ფილოსოფია“, როცა სინამდვილე გვეუბნება, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის განსაზღვრულ პირობებში, ძალთა გარკვეულ შეფარდების არსებობის დროს, შესაძლებელია დიპლომატიურ - პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა. ამას ხომ თვითონაც აღიარებს, როცა ამბობს: „შეიძლება გამონახულ იქნეს მოდუს ვივენდი ფაქტიურ მდგომარეობის აღიარების ნიადაგზე“-ო.

სამხრეთ-სლავიის „ფილოსოფოსი“ მინისტრი დასძენს: „იგულისხმება, ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ ისეთი მოდუსი, რომელიც დამყარებული იქნებოდა ურთიერთი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. შეიძლება თუ არა ასეთი მოდუსის გამონახვა—არ ვიცი. არ ვიცი იმიტომ, რომ ამ მხრივ ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია. ამაში დამნაშავეა გაურკვევლობა (?) საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აწარმოებს“. აბდა-უბდის იშვიათი ნიმუშია! ჯერ თქვა, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების დასამყარებლად არაფერი არ გაგვიკეთებიაო და შემდეგ საბჭოთა მთავრობის ვითომდა გაურკვეველი საგარეო პოლიტიკა გამოაცხადა მიზეზად, რომ მარინკოვიჩმა საჭირო „მოდუს ვივენდი“ ვერ გამონახა — ესაა სრული აბნეულობა. რაც შეეხება ჩვენი საგარეო პოლიტიკის „გაურკვევლობას“, ამაზე ლაპარაკი ალბად მარინკოვიჩის გონების საიდუმლოებას შეადგენს.

გაცილებით აჯობებდა სამხრეთ-სლავიისათვის, რომელიც იმპერიალისტების პოლიტიკის ობიექტს წარმოადგენს, რომ მის მესვეურებს ასეთი აბირეაული მსჯელობის ნაცვლად გადაედგათ ნაბიჯი საბჭოთა მთავრობასთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად. ამით სამხრეთ - სლავია აუცილებლად განიმტკიცებდა თავის საერთაშორისო მდგომარეობას.

გ. კ—ლი.

პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავისათვის

1903—1928

1903 წელს მე ვმუშაობდი ბაქოში, რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალურ სტამბაში.

ამ სტამბაში ვმუშაობდით ამხ. სილვა თოდრია, ვანო ბოლქვაძე, ყარამან ჯაში, სვიმონ და აბელ ენუქიძეები და მე. ზოგჯერ სხვა ამხანაგებიც მუშაობდენ, როგორც ამიერ-კავკასიიდან, ისე ცენტრიდან გამოგზავნილებიც.

ამხ. სვიმონ ენუქიძის მეშვეობით ჩვენ დაკავშირებული ვიყავით ამხ. ლ. ბ. კრასინთან, ხოლო უკანასკნელის მეშვეობით—ცენტრთან.

1903 წლის ივლისში ამხ. კრასინმა განაცხადა — უცხოეთში მივდივარ მივლინებაში და ორ თვეს აღარ ვიქნები ბაქოშიო. წასვლის წინ სათანადო განკარგულებები და დირექტივები მოგვცა, დაგვიტოვა სტამბისათვის საჭირო სახსარიც. იმავე 1903 წლის აგვისტოში ამხ. ს. ენუქიძემ გვაცნობა, რომ საზღვარ გარეთ ხდება რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა და ამხ. კრასინი იქ დელეგატად წავიდაო.

სექტემბრის დამდეგს ამხ. კრასინი დაბრუნდა, საინფორმაციო მოხსენება გაგვიკეთა სტამბის მუშებს ყრილობის შესახებ და გადმოგვცა დასაბეჭდი მასალა: უწყება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის შესახებ და პარტიის პროგრამა, მიღებული ყრილობის მიერ. ყოველივე ეს ჩვენ დავბეჭდეთ ბროშურად (10.000 ცალი) და გავგზავნეთ რამოდენიმე მისამართით ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა ქალაქებსა და მუშურ რაიონებში.

შემდეგ ჩვენ გავიგეთ ამხ. ლ. ბ. კრასინისაგან, რომ ყრილობაზე დიდი უთანხმოება იყო წესდებისა და პროგრამის საკითხების გარშემო ერთის მხრივ ლენინისა და ლენინელების, ხოლო მეორეს მხრივ „რაბოჩეე დელო"-ს ჯგუფის — მარტოვის, მარტინოვის ნ. ჟორდანიას და სხვ. შორის. ამხ. კრასინი გვეუბნებოდა — ყრილობა ორ ბანაკად გაიყოო — უმრავლესობა ლენინს გაჰყვა, ხოლო უმცირესობა მარტოვს და მის კომპანიას და ყრილობამ მიიღო უმრავლესობის რეზოლუციებიო.

ამხ. კრასინის სიტყვებში მოსჩანდა იმის შიში, რომ უმცირესობა უღალატებდა მეორე ყრილობის დადგენილებებს,დაიწყებდა დეზორგანიზატორულ მუშაობას და შეეცდებოდა მოეხვია პარტიისათვის ის თავისი შეხედულებები პროგრამის და წესდების საკითხებზე, რომლებიც ყრილობამ არ მიიღო.

ამხ. კრასინი ყოველთვის სცდილობდა შეემოწმებია არალეგალური სტამბის მუშაკები იმის გამოსარკვევად, რომ ეჭვი ხომ არ შეგვეპარებოდა ყრილობის უმრავლესობის სიმართლეში და თუ ბრძოლა გაიმართებოდა, საითკენ წავიდოდით, ვის მივემხრობოდით? ვის დარჩებოდა პარტიის მნიშვნელოვანი იარაღი — არალეგალური სტამბა?

ჩვენ მაშინვე მიუხვდით ამხ. კრასინს, განუფანტეთ ეჭვები და განვაცხადეთ, რომ ჩვენ ლენინელები ვართ და ლენინთან, ლენინის პარტიაში ვიქნებით. ამხ. კრასინმა გაიცინა, ეტყობოდა — ესიამოვნა ჩვენი განცხადება და გვითხრა: „მე ეჭვი არა მქონდა, რომ ლენინთან იქნებოდით"-ო.

როგორც ეტყობა, ამხ. კრასინმა ეს ამბავი ამხ. ლენინს მისწერა: 1904 წლის პირველ ნახევარში ამხ. კრასინმა წაგვიკითხა მის სახელზე გამოგზავნილი ლენინის წერილი, რომელშიაც იგი გვიწოდებდა „რევოლიუციის თხუნელებს", რადგან ჩვენ ვმუშაობდით რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ცენტრალურ არალეგალურ სტამბაში; ამხ. ლენინი სწერდა ამხ. კრასინს, რომ საჭიროა სტამბის მატერიალური უზრუნველყოფა, მათში მომუშავე ამხანაგების ფიზიკური დაცვაო.

ეს პერიოდი მე-II ყრილობის დადგენილებათა აშკარა დარღვევის დასაწყისი იყო უმცირესობის მიერ.

საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში, გამოჩნდა ნ. ჟორდანია, რომელიც ყრილობას დაესწრო. რუსეთში გამოჩნდენ მარტოვები, გლებოვები, ლიბერ - დანები და სხვები, რომლებიც პროპაგანდა - აგიტაციას ეწეოდნენ პარტიულ მასაში, რომ იგი არ დამორჩილებოდა მე-II ყრილობის დადგენილებებს. გაჩაღდა ბრძოლა, ჩაისახა გათიშვა.

შემდეგ ბოლშევიკებს ორ ფრონტზე მოუხდათ ბრძოლა: პარტიის შიგნით—მენშევიზმის წინააღმდეგ და პარტიის გარეთ — ცარიზმის, ბურჟუაზიულ - თავად - აზნაურული მთავრობის წინააღმდეგ. მენშევიკებს გათიშვის პირველ ხანებში თითქოს რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდათ წვრილი ბურჟუაზიის, ხუცების და ვაჭრების წყალობით. ღირსების მხრით კი უპირატესობა ბოლშევიკებს ჰქონდათ: პროლეტარიატი და ყველა ისინი, ვისაც რევოლიუციონური მოქმედების, თავგანწირვის უნარი ჰქონდათ, ბოლშევიკებს, ლენინს მისდევდნენ.

ИСКРА
Центральный Органъ Россійской Соціалдемократической Рабочей Партіи
№ 1
2
3
7
8

„ისკრა"-ს რედაქცია

1) ლენინი, 2) პლეხანოვი, 3) მარტოვი, 4) ზასულიჩ, 5) აქსელროდი, 6) პოტრესოვი, 7) დეიჩი, 8) კრუპსკაია.

დაიწყო 1905 წლის რევოლიუცია, რომელიც დამარცხებით დამთავრდა. დადგა შავ-ბნელი რეაქცია. უკან-უკან დაიხიეს მენშევიკებმა, დაჰკარგეს რევოლიუციონური ბრძოლისა და ტაქტიკის უნარი. ისინი ჩადაიქცნენ ლიკვიდატორებად და თვითმპყრობელობასთან, ბურჟუაზიულ - თავადაზნაურულ მთავრობასთან შეთანხმების გზას დაადგნენ.

ოდესღაც „მართლმორწმუნე" მარქსისტი გ. ვ. პლეხანოვი უსაყვედურებდა რუსეთის პროლეტარიატს 1905 წლის მოსკოვის აჯანყებისათვის: „თუ ძალა-უფლების დაპყრობის იმედი არა გქონდათ, არც იარაღისათვის უნდა მოგეკიდათ ხელიო" და სხვ.

აი მე-II ყრილობის უმცირესობის ტაქტიკა. მან მენშევიკები ლოღიკურ დასასრულამდე მიიყვანა. მათ უღალატეს პროლეტარიატს, ხელი აიღეს რევოლიუციონურ ბრძოლაზე, გადავიდნენ ბურჟუაზიულ ბანაკში, მე-II ინტერნაციონალი გადააქციეს მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების იარაღად მსოფლიო პროლეტარიატის, მსოფლიო რევოლიუციის წინააღმდეგ.

რას ამბობდა ამხ. ლენინი 1906—1907 წლებში, გაჩაღებული შავ-ბნელი რეაქციის დროს? ლენინი უპასუხებდა ყველა ლიკვიდატორს, ლაჩრებს, მოღალატეებს, ყალბ სოციალისტებს, ცრუ-რევოლიუციონერებს და ამბობდა: „ეს არის დროებითი, მრისხანე მყუდროება. წელში გასწორდება დარბეული პროლეტარიატი, ძალღონეს მოიკრებს, თავს მოუყრის ყოველსავე რევოლიუციონურს, მხედველობაში მიიღებს 1905 წლის მთელ გამოცდილებასა და შეცდომებს და ბოლომდე მიიყვანს რევოლიუციის საქმეს". დიდი ბელადის სიტყვები გამართლდა.

12 წლის შემდეგ,1917 წელს ოქტომბრის რევოლიუციამ გამარჯვება მიანიჭა პროლეტარიატს.

1903 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეII ყრილობაზე ლენინი და ლენინელები უმრავლესობას შეადგენდნენ და უმცირესობა დაამარცხეს.

საუკუნის ერთი მეოთხედის მანძილზე ბოლშევიკები ამარცხებენ თავის კლასობრივ მტრებს და იდეურ მოწინააღმდეგეებს: ესერებს, მენშევიკებს და მათ მე-II ინტერნაციონალს, რომელიც ბურჟუაზიულ — მენშევიკურ პარლამენტად გადაიქცა. რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-II ყრილობის 25 წლისთავმა მოუსწრო ოქტომბრის რევოლიუციის ღვიძლი შვილის — მე-III კომუნისტური ინტერნაციონალის მე-VI კონგრესს, იმ კომუნისტური ინტერნაციონალისა, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატს გაუძღვება მსოფლიო ოქტომბრისაკენ, მსოფლიო სოციალური რევოლიუციისაკენ.

ვანო სტურუა.

მეორე ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი

მარცხნივ ამხ. რადჩენკო, შუაში— ამხ. სტოპანი, მარჯვნივ— ამხ. კრასიკოვი

მეორე ყრილობის გამოძახილი კავკასიაში

(ზოგიერთი დოკუმენტები)

რედაქციისაგან

ქვემოთ მოთავსებული მიმოწერა შეეხება იმ დროს, როდესაც მეორე ყრილობაზე ჩამოყალიბებული მეუმცირესეთა (მენშევიკური) ოპოზიცია, ი. ო. მარტოვის მეთაურობით, მობილიზაციას უკეთებდა მთელ თავის ძალებს ყრილობაზე არჩეული ცენტრალური დაწესებულებების და ადგილობრივ ორგანიზაციების დასაპყრობად. მენშევიკების ეს ცდა ვრცელდებოდა კავკასიაზეც. წერილების შინაარსსაც შეადგენს კავკასიის საქმეები.

მოგვყავს ეს წერილები, ამას წინად გამოსულ „Ленинский сборник"-ის მე-7 წიგნიდან.

კომენტარიები ამ კრებულის რედაქციას ეკუთვნის.

გ. ვ. პლეხანოვის წერილი ვ. ი. ლენინს

კვირა (1903 წ. 18 ოქტომბერი, ჟენევა)

ძვირფასო ვლადიმირ ილიჩ!

დღეს ღამით მე ბევრს ვფიქრობდი კავკასიის საქმეების შესახებ და გადავწყვიტე, რომ საჭირო იქნებოდა აქედან კაცის გაგზავნა, რომელსაც ც. კ. წარმომადგენლობა დაევალებოდა. კურცის (ფ. ვ. ლენგნიკი) ამბობდა, რომ ამ შემთხვევაში ამ კაცს დასჭირდებოდა შევლა კიევში კლერთან (კრჟიჟანოვსკისთან) მოსალაპარაკებლად. ეს, რასაკვირველია, შეიძლება მოეწყოს, თუ მოიძებნა ასეთი მისიისათვის გამოსადეგი კაცი.

მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს —ვიპოვით თუ არა კაცს, რომელსაც პასპორტი ექნება. ამის გამო მე კვლავ მოგაგონებთ სვობოდინის შესახებ. მას შეუძლია გაემგზავროს, სადაც მოესურვება, ლეგალური და საიმედო კაცია. რას ფიქრობთ თქვენ ამის შესახებ?

მოელაპარაკეთ კურცს და მომწერეთ. მეშინია, რომ კავკასია დაგვეკარგება ჩვენ. საჭიროა მოქმედება, კიევში ჩასვლაც არ ღირს ძვირი, გასაგზავნს ფულს ვიშოვით. ვიმეორებ, სვობოდინი საიმედო, სავსებით ჩვენი კაცია, სამწუხაროა, რომ გუშინ უხერხული იყო მოლაპარაკება ყველაფერ ამის შესახებ.

გულითადი სალამი. გ. პლეხანოვი.

—

წერილის მომტანმა შინაარსის შესახებ არაფერი იცის.

ლენინისა და პლეხანოვის წერილი რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტს

კავკასიაში
(20 ოქტ. 1903 წ. ჟენევა)

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ თქვენი საქმეების შესახებ მივიღეთ ცნობა რუბენისაგანაც (ბ. მ. კნუნიანცი) პირადად და რაშიდ-ბეგისგან (ა. გ. ზურაბოვი) წერილობით. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ თქვენს გადაწყვეტილებას — ისარის (თოფურიძე[1]) საქმეებისგან ჩამოშორების შესახებ საქმის (გადაწყვეტამდე) გარჩევამდე. მთელი მისი ყოფაქცევა ყრილობაზე უსათუოდ მის წინააღმდეგ მეტყველებს. ყრილობამ გვიჩვენა მისი სრული მერყეობა; ერთნაირი რყევის შემდეგ ისარმა გადამწყვეტ მომენტში მაინც უმრავლესობას მისცა ხმა და ხელი შეუწყო ცენტრალურ ორგანოს რედაქციის და ც. კ. ეხლანდელი შემადგენლობის გაყვანას[2]), მაგრამ უცებ ისარი გადავიდა მეორე მხარეზე და ეხლა უმრავლესობის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ ისეთი საშუალებებით, რომლებიც საეჭვოა, რომ ლოიალურად ჩაითვალოს! ეს ღმერთმა უწყის რა არის. ასეთი მოღვაწე არ არის პოლიტიკური ნდობის ღირსი. ყოველ შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა ერთგვარი სიფრთხილე მასთან დამოკიდებულებაში, საპასუხისმგებლო პოსტებზე არ დაშვება,— ასეთია ჩვენი ღრმა რწმენა ჩემიცა (ლენინის) და პლეხანოვის.

დეე, კავკასიელი ამხანაგები მტკიცედ იდგენ იმ გზაზე, რომელსაც დაადგენ. დეე, ნუ დაუჯერებენ ისინი ჭორებს უმრავლესობის შესახებ. ჩქარა გამოვა ყრილობის ოქმები და მაშინ საქმის ვითარება ნათელი იქნება ყველასათვის. დეე, განაგრძონ მათ ერთსულოვანი მუშაობა ცეკასადმი ამხანაგური ნდობით, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლანდელი პარტიული „ალიაქოთი" ჩქარა გაქრება.

ჩვენ ახლა ბევრს ვფიქრობთ აქ ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემის ორგანიზაციაზე; ამას ხელი მოჰკიდეს კომპეტენტურმა ამხანაგებმა; იმედი გვაქვს, რომ ფულს ვიშოვით. საჭიროა დახმარება ლიტერატურითა და თანხებით.

ლენინი,—პლეხანოვი*).

ნ. კ. კრუპსკაიას მინაწერი

ცეკას ჩვენ ვსწერთ, რომ გამოგზავნოს თქვენთან კაცი ყრილობაზე[3]), ვაძლევთ სონიას (გ. მ. კრჟიჟანოვსკის) მისამართს.

---

* ხელის მოწერა ისე, როგორც წერილის ტექსტი, ლენინის ხელითაა დაწერილი.

[1]) აქ ნახსენები სამი პირი—რ. ს.-დ. მ. პ. მეორე ყრილობის დელეგატები კავკასიის კავშირის კომიტეტებისაგან არიან: ბ. მ. კნუნიანცი—ბაქოს კომიტეტისგან, ა. გ. ზურაბოვი—ბათომის, თოფურიძე—თბილისის ორი პირველი ყრილობაზე და ყრილობის შემდეგ უმრავლესობის მომხრე იყო; უკანასკნელი—ყრილობაზეც მერყეობდა, ყრილობის შემდეგ კი უმცირესობის მხარეზე გადავიდა. გადაწყვეტილება თოფურიძის დროებით ჩამოშორების შესახებ საქმეებისაგან კავკასიის კავშირის კომიტეტმა მიიღო კავკასიის ყრილობის წინ.

[2]) თოფურიძის მერყეობა ყრილობაზე გამოიხატა: 1) „ენების თანასწორუფლებიანობის" საკითხში და 2) პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის საკითხში. ც. ო. რედაქციის და ც. კ. არჩევნების დროს თოფურიძემ უმრავლესობასთან ერთად მისცა ხმა.

[3]) კავკასიის კავშირის ყრილობა შესდგა 1903 წ. ოქტომბერში. ყრილობაზე, კავშირის კომიტეტის წევრებისა და ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს გარდა მონაწილეობას იღებდა მეორე ყრილობის სამი დელეგატი: ბ. მ. კნუნიანცი, ა. გ. ზურაბოვი და თოფურიძე.

ა. ზურაბოვის წერილი პლეხანოვს

(დაწერილია 1908 წ. 20 ოქტომბრის შემდეგ)

ღრმად პატივცემულო გიორგი ვალენტინის-ძევ!

მივიღე თქვენი დეპეშა, თუმცა ნამდვილი ცნობა ჯერ კიდევ არ გვაქვს. თქვენი წერილი სწორად რომ დროზე მოგვისწრებს. ყრილობა უკვე შესდგა და ბევრი რამ მოხდა იქ, რის შესახებ მე უკვე გწერდით,მაგრამ რაც მოხდა იმან ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. დაწვრილებითი ცნობებს გადმოგცემს ჩვენი ამხანაგი — ამ წერილის მომტანი, რომელსაც შეგიძლიათ სავსებით ენდოთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყრილობამ საკმაოდ გამოააშკარავა კავკასიური ბუნდიზმი და აღმოჩნდა, რომ მას ღრმა ფესვები აქვს გადგმული და მომავალში ბევრი დავიდარაბა დაგვეჭირდება მასთან, თუ განსაკუთრებით მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სამოქმედო რაიონი აქ დიდია და ამ ბუნდიზმს უფრო ავადმყოფური ხასიათი ექნება, ვიდრე ნამდვილ ბუნდიზმს. ისარმა (თოფურიძემ), როგორც ნამდვილმა ავანტიურისტმა გამოიყენა ეს განწყობილება და განუწყვეტლივ ცდილობდა გაეღრმავებია და გაეფართოვებია იგი. ამით აიხსნება ყრილობის ნაუცბათევობა. ამ მიზნით ის, რასაკვირველია, უნდა წასულიყო ცენტრალიზმის წინააღმდეგ. და აი ის, საგრძნობლად და უმრავლესობის შეუგნებლობით, გულში იცემდა ხელს, ვითომ იცავდა ცენტრალიზმსა და ორტოდოქსიას, სინამდვილეში კი ყველა მისი წინადადებები იმაში მდგომარეობდა, რომ ძირი გამოეთხარა ცენტრალიზმისათვის. ამხანაგებში „შოვინიზმის" კიდევ უფრო განსავითარებლად ის ჭორებსაც არ მოერიდა და სთქვა, რომ იქ გადაწყდა მოისპოს საგიტაციო ლიტერატურა ადგილობრივ ენებზე, რისთვისაც „პროლეტარიატის ბრძოლა"-ც თითქო „გაუქმებულია" (მისი ნამდვილი სიტყვაა[1]). ეს უკვე უტიფრობისა და ცინიზმის საზღვრების გადალახვა იყო და მე იძულებული შევიქენი პროტესტი განმეცხადებია, მეწოდებია მისთვის „ცილისმწამებელი" და კაცი, რომელსაც „სინიდისი გაუხუნდა". ჩემი მიზანი იყო გამომეწვია ის ამხანაგურ სასამართლოში, მაგრამ სამწუხაროდ ის არ წამოეგო ამ ანკესზე.

ბევრ რამეს, თუმცა არა საფხებით ნათლად, თქვენ დაინახავთ ოქმებიდან, მაგრამ მთელ სურათს უკეთ დაგიხატავთ ამხანაგი.

შედეგები: ყრილობამ გაამართლა ისარი და აირჩია ის კავშირის კომიტეტში, მაგრამ ვინაიდან ამხანაგებმა უარი სთქვეს მასთან მუშაობაზე, თვითონ მან „სულგრძელად" უარი სთქვა, რამაც კიდევ უფრო ასწია მისი პრესტიჟი მისი მომხრეების თვალში. თქვენი მონამორჩილი არ იქნა ამორჩეული, კოოპტაციის დროს კი უარი სთქვა და განაცხადა, რომ საქმისათვის უფრო მიზანშეწონილად თვლის დანიშნულ იქნეს ც. კომიტეტისაგან. არჩეულთა შორის „ჩვენები", ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, აქ არ არის, არის ორი, მაგრამ ისინი სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ და, მაშასადამე, გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებენ კავშირის კომიტეტის საქმეებში, ერთი კი, აქ დარჩენილი, თუმცა ისარი ვერ ახერხებს მასზე გავლენის მოხდენას, მაგრამ საშიშროებას წარმოადგენს მეორე მხრივ, სახელდობრ: იხრება ესერებისაკენ (ის ყოფ., ურალის კავშირიდანაა), აღიარებს ტერორს, საშინლად სანტიმენტალურია, ჯიუტია, საჭირო შემთხვევაში მზად არის გასწიოს პოლიტიკური კომბინაცია ეთიურ ნიადაგზე გადასვლით აბსტრაქტული სამართლიანობის და „სულიერი სიწმინდის" გულისათვის. ის შეიძლება გამოვიყენოთ, მაგრამ ის ხელში ხელმძღვანელობის გადაცემა პირადად მე სრულიად შეუძლებლად და საქმისათვის უსათუოდ საზიანოდ მიმაჩნია. ახლა კი ის ერთია, და ხელმძღვანელობა ნაწილობრივ ფაქტიურად, მაგრამ სავსებით იურიდიულად მის ხელშია. აი, როგორია საქმის ვითარება. ჩემის აზრით, ის უსაძაგლესი ყველა საძაგელთაგან. მივაქცევ ამას თქვენსა და ჩვენი საერთო ამხანაგების ყურადღებას.

მხურვალე სალამი.

---

[1]) რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა" პარტიის მეორე ყრილობაზე კი არ „გაუუქმებიათ", არამედ მხოლოდ მისი რედაქცია არ შეუტანიათ იმ ცალკე პარტიულ ჯგუფების სიაში, რომლებიც დასამტკიცებელი იყვენ. „პროლეტარიატის ბრძოლა"-ს რედაქციის საკითხი ყრილობაზე თოფურიძემ წამოაყენა და მას მხარი დაუჭირა ჟორდანიამ (კოსტროვმა).

მეორე ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი

მარცხნივ—ამხ. კრჟიჟანოვსკი, შუაში —ამხ. ლეპეშინსკი, მარჯვნივ—ამხ. ლენგნიკი

მეორე ყრილობა

„რუს სოციალ-დემოკრატების იდეური მთლიანობა,—სწერდა „ისკრა" თავის სარედაქციო განცხადებაში, რომელიც 1900 წ. ნოემბერში გამოვიდა,—ჯერ კიდევ გამოსამუშავებელია, რისთვისაც, ჩვენის აზრით, საჭიროა თანამედროვე „ეკონომისტების" ბერნშტეინის მომხრეების და „კრიტიკოსების" მიერ აღძრულ ძირითად პრინციპიალურ და ტაქტიკურ საკითხების საჯარო და ყოველმხრივ განხილვა. სანამ გავერთიანდებოდეთ და იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ მტკიცედ და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გაერთიანება იქნებოდა მხოლოდ ფიქცია, რომელიც დაფარავდა არსებულ არევ-დარევას და ხელს შეუშლიდა მის რადიკალურად აღმოფხვრას".

ეს იყო საკითხის ლენინური დაყენება. გაერთიანება მათთან, ვინც „ქაოსისკენ იცქირება" უაზრო და მავნებელი იყო. საჭირო იყო გამორკვევა იმის, თუ ვინ იზიარებს რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის მიზნებსა და ამოცანებს, ვინ არის მზად ბოლომდი იაროს თვითმპყრობელობასთან და სოციალიზმისათვის ბრძოლის მძიმე გზით და შემდეგ—გაერთიანება.

აი ამ პრინციპის ერთგული დარჩა ბოლომდე ლენინი.

„ისკრა" მიზნად ისახავდა ამ იდეური გამიჯვნის მოხდენას, რომ შემდეგ უფრო ადვილი ყოფილიყო ნამდვილად რევოლიუციონური, აზრთა მთლიანობით მტკიცე, მონოლიტური პარტიის შექმნა. „ისკრამ" მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ამ მიმართულებით. „ეკონომიზმი" დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა.

⁂

მაგრამ „ეკონომიზმი", დამარცხებული იდეურად, დამარცხებული ორგანიზაციულად (მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც წინად „ეკონომიზმის" გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ, „ისკრა"-ს მიემხრენ), არ აპირებდა თავისი პოზიციების ასე ადვილად დათმობას. 1902 წ. მან განიზრახა „დაესწრო" „ისკრასთვის" და ხელში ჩაეგდო პარტიის მთლიანობის აღდგენის თაოსნობა. „ბუნდისა" და „რუს სოციალ-დემოკრატების კავშირის" („ეკონომისტების" ორგანიზაცია) ინიციატივით*) 1902 წ. მარტში ბელოსტოკში მოწვეულ იქნენ ბუნდის ც. კ., ბუნდის საზღვარგარეთის კომიტეტის, „რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის", „ისკრა-"ს რედაქციის, პეტერბურგის კომიტეტის და „სამხრეთის მუშა"-ს ჯგუფის წარმომადგენლები. მომწვევთა აზრით, ეს ფაქტიურად უნდა ყოფილიყო მეორე ყრილობა, მაგრამ „ისკრა"-ს წარმომადგენლებმა მიაღწიეს იმას, რომ „ყრილობა" კონფერენციად გამოცხადდა.

„ისკრა"-ს წინადადებით კონფერენციამ აირჩია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც დაევალა მეორე ყრილობის მოწვევის მომზადება. მაგრამ ბელოსტოკის კონფერენციაზე არჩეულ საორგანიზაციო კომიტეტის წევრები (გარდა ერთისა) ჩქარა დააპატიმრეს. „ისკრა"-ს ორგანიზაციული კავშირის განმტკიცებამ ადგილებთან ხელი შეუწყო იმ გარემოებას,რომ მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა სთხოვეს „ისკრა"-ს განეახლებია საორგანიზაციო კომიტეტი. ნოემბერში პსკოვში შესდგა ახალი კონფერენცია, რომელზედაც აირჩიეს მეორე საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც ისკრელები სჭარბობდენ. საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა შეასრულა. მან მიიღო ზომები, რომ ყრილობაზე რაც შეიძლება ფართოდ ყოფილიყვნენ წარმოდგენილი ყველა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები. ამ მუშაობის შედეგი იყო პარტიის მეორე ყრილობის მოწვევა. (ყრილობა ჯერ ბრიუსელში შეიკრიბა, შემდეგ იძულებული გახდა ლონდონში გადასულიყო).

⁂

ყრილობაზე მონაწილეობას იღებდენ შემდეგი ორგანიზაციები: 1) „შრომის განთავისუფლების ჯგუფი", 2) „ისკრა"-ს ორგანიზაცია, 3) ბუნდის უცხოეთის კომიტეტი, 4) ბუნდის ცეკა, 5) რუს სოც.-დემოკრატების უცხოეთის კავშირი, 6) რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ლიგა, 7) ჯგუფი „სამხრეთის მუშა", 8) პეტერბურგის კომიტეტი, 9) პეტერბურგის მუშათა ორგანიზაცია, 10) მოსკოვის კომიტეტი, 11) ხარკოვის კომიტეტი, 12) კიევის კომიტეტი, 13) ოდესის კომიტეტი, 14) ნიკოლაევის კომიტეტი, 15) ყირიმის კომიტეტი, 16) დონის კომიტეტი, 17) სამთამადნო მუშათა კავშირი, 18) ეკატერინოსლავის კომიტეტი, 19) თბილისის კომიტეტი, 20) ბაქოს კომიტეტი, 21) სარატოვის კომიტეტი, 22) ბათომის კომიტეტი, 23) უფის კომიტეტი, 24) ჩრდილოეთის კავშირი, 25) ციმბირის კავშირი, 26) ტულის კომიტეტი.

ლენინის მიერ ყრილობის დასრულების შემდეგ შედგენილ ცხრილის მიხედვით*), ყრილობას სულ დაესწრო 43 დელეგატი, 51 გადამწყვეტი ხმით და 14 დელეგატი სათათბირო ხმით.

ისკრელები უმრავლესობიდან (ბოლშევიკები)

1) ნ. ე. ბაუმანი (სოროკინი), მოსკოვის კომიტეტისაგან, 2) ლენინი (ვ. ი. ულიანოვი), რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ლიგისაგან, 3) გ. ვ. პლეხანოვი, „შრომის განთავისუფლების ჯგუფისგან", 4) დ. ი. ულიანოვი (გერცი), ტულის კომიტეტისაგან, 5) ვ. ფ. გალკინი (გორინი) სარატოვის კომიტეტისგან, 6) პ. ა. კრასიკოვი (პაველოვიჩი), კიევის კომიტეტისაგან, 7) ა. მ. სტოპანი—ჩრდილოეთის კავშირისგან.

ლენინმა იცოდა, რომ ყრილობაზე სასტიკი ბრძოლა გაიმართებოდა ოპორტუნისტული და რევოლიუციონურ ფრთას შორის და ამიტომ უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ძალთა განწყობილების გამორკვევას.

ლენინის ვარაუდით (ყრილობის წინ), ძალთა განწყობილება ყრილობაზე ასეთი უნდა ყოფილიყო: ისკრელები და მათი მომხრეები—26 ხმა, ცენტრი („ჭაობი")—13 ხმა და ანტი-ისკრელები—8.

მაგრამ ყრილობის მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ ისკრელების ნაწილი ზოგ საკითხებში ოპორტუნისტების მხარეზეა. ყრილობაზე სხვადასხვა საკითხებისათვის კენჭისყრის შედეგების ანალიზიდან ლენინს ასეთი ძალთა განწყობილება გამოჰყავს: ისკრელების უმრავლესობა—20 კაცი (24 ხმით), ისკრელების უმცირესობა—7 კაცი (9 ხმით), ცენტრი („ჭაობი")—8 კაცი (10 ხმით), ანტი-ისკრელები—8 კაცი (8 ხმით).

⁂

ყრილობა გაიხსნა პლეხანოვის შესავალი სიტყვით. უკვე პრეზიდიუმის არჩევნების დროს წარმოიშვა უთანხმოება ლენინსა და მარტოვს შორის. ლენინი წინადადებას იძლეოდა, რომ პრეზიდიუმში აერჩიათ სამი კაცი. ლენინი მხედველობაში იღებდა იმას, რომ მეორე ყრილობა ფაქტიურად წარმოადგენდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობას და მის ჩატარებას შესაფერის წესრიგითა და გეგმით უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. მცირე-რიცხოვანი, მტკიცე ისკრელებისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, რასაკვირველია, უკეთ შესძლებდა ამ ამოცანის შესრულებას, ვიდრე ცხრა კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, როგორც ამას მარტოვი მოითხოვდა. გაიმარჯვა ლენინის თვალსაზრისმა:ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს პლეხანოვი, თავმჯდომარის ამხანაგებად—ლენინი და პაველოვიჩი (პ. ა. კრასიკოვი).

⁂

ყოველ ეჭვს გარეშეა,რომ „ისკრა"-ს ხაზის, „ისკრას" ორგანიზაციული პრინციპების გასამარჯვებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისკრელების ერთსულოვნებას.

„ყრილობა,—გვიამბობს ამხ. ლენინი*).
—დაიწყო ყველა ისკრელების მშვიდობიანი და მეგობრული მუშაობით.. ისკრელებს შორის რასაკვირველია, ყოველთვის იყო აზრთა ერთგვარი სხვადასხვაობა, მაგრამ ეს გარეთ, პოლიტიკურ უთანხმოებათა სახით, არ გამოდიოდა".

მაგრამ ჩქარა დაიწყო გამოცდის მომენტები. ლენინი თავის „მოთხრობაში მეორე ყრილობის შესახებ" და ბროშურაში „ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან", აღნიშნავს 4 მომენტს, რომლებმაც განხეთქილება გამოიწვია ისკრელებში. ეს საკითხები იყო: 1) ინციდენტი საორგანიზაციო კომიტეტის გარშემო, 2) კამათი ენების თანასწორუფლებიანობის შესახებ, 3) კამათი წესდების პირველი მუხლის შესახებ, 4) ბრძოლა პარტიული ცენტრების გარშემო**).

ჩვენც ყრილობის მუშაობის ამ მომენტებს მივაქცევთ მთავარ ყურადღებას.

საორგანიზაციო კომიტეტის გარშემო მომხდარი ინციდენტი საინტერესოა იმის დასახასიათებლად, თუ როგორ ცდილობდა უმცირესობაში დარჩენილი „ჭაობი" თავისი ძალების გამრავლებას სხვადასხვა მახინაციებით***).

პირველ ყოვლისა საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ე. მ. ალექსანდროვა (მეორე ყრილობის ანგარიშებით—შტეინ) შეეცადა დაეთანხმებია საორგანიზაციო კომიტეტი ერთი პირის მოწვევაზე, რომელსაც მარტოვი, ამხ. ლენინის სიტყვით, ახასიათებდა, როგორც მერყევს.(ლენინის „მოთხრობაში მე-II ყრილობის შესახებ" შესაფერ ადგილას ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია „ბორბა"-ს ჯგუფის წევრზე —ი. მ. სტეკლოვზე", იხ. „Лен. сб." VI, 235, შენიშვნა 15). საორგანიზაციო კომიტეტმა ამხ. კრასიკოვის (პავლოვიჩის) წინადადებით უარჰყო ეს.ალექსანდროვას(რომელიც ისკრელს უწოდებდა თავის თავს) ასეთმა უტაქტიკობამ და უდისციპლინობამ ისეთი აღშფოთება გამოიწვია ისკრელებში, რომ მას (ალექსანდროვას) უნდობლად დაუწყეს ცქერა და უკანასკნელი ბოლოს გამოვიდა „ისკრა"-ს ჯგუფიდან.

ის იყო, რომ ისკრელებმა მოიგერიეს ოპორტიუნისტების ერთი იერიში, როცა განმეორდა მეორე.

ყრილობაზე არ იყო გამოწვეული „ბორბა"-ს ჯგუფი. ეს დადგენილება დადასტურებულ იქნა სამანდატო კომისიაშიც ზემოხსენებულ ალექსანდროვას მონაწილეობით. მაგრამ „სამხრეთელ მუშის" ჯგუფის წარმომადგენელმა ეგოროვმა (საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა) განაცხადა, რომ ეს საკითხი მისთვის „ახალია" და, „ბორბა"-ს მიწვევით საკითხი კვლავ ხდება განხილვის საგნად. ე. მ. ალექსანდროვა, რომელმაც ვერ მოახერხა მისთვის სასურველი პირის გაყვანა ყრილობაზე,ახლა მხარს უჭერს „ბორბა"-ს მიწვევას, რის წინააღმდეგაც წინად ილაშქრებდა. ამ საკითხის გარშემო გაცხოველებული და მკაცრი კამათი გაიმართა ყრილობაზე და ოპორტიუნისტების არალეგალური „გათრევის" ინიციატორები დამარცხდენ.

„ასეთი იყო ინციდენტი საორგანიზაციო კომიტეტის გარშემო,—სწერს ლენინი თავის „მოთხრობაში".—მან არა თუ დაამტკიცა, არამედ ნათლადაც გვიჩვენა (ხაზი ლენინისაა), თუ რამდენად მერყევია „ისკრა"-ს მდგომარეობა ისკრელების ასეთ ცენტრალურ , მძლავრ დაწესებულებაში, როგორიცაა საორგანიზაციო კომიტეტი.

მეორე ინციდენტი მოხდა ენების თანასწორუფლებიანობის საკითხის გარშემო.

„ისკრა"-ს მიერ შედგენილ პროგრამის მეექვსე მუხლში ეს საკითხი ასეა ჩამოყალიბებული: „წოდებათა გაუქმება და ყველა მოქალაქეთა სრული თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად სქესისა, სარწმუნოებისა და რასისა".საპროგრამო კომისიამ ამ მუხლს ბოლოში დაუმატა: „ეროვნებისა და ენისა".ოპოზიციამ,რომელსაც„ბუნდი" მეთაურობდა, მოითხოვა, რომ ენების თანასწორუფლებიანობის საკითხი ცალკე მუხლად შეეტანათ პროგრამაში. რასაკვირველია, ოპოზიციისათვის ნათელი იყო, რომ ენების თანასწორუფლებიანობის საკითხი პროგრამაში ფაქტიურად გადაჭრილიყო მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის აღიარებიდან, როგორც ლენინი ამბობს [illegible] ბობს ეროვნებათა უთანასწორობა, [illegible] სხვათა შორის იმაშიც გამოიხატ[illegible] რომ ხალხი, რომელიც განსაზღვრუ[illegible] ეროვნებას ეკუთვნის, მოკლებულია [illegible] შობლიური ენით სარგებლობის საშუალ[illegible] ბას. მარტოვი, რომელმაც გაილაშქრა ოპოზიციის წინააღმდეგ ამ საკითხში, ეჭვს გამოსთქვამდა, რომ ოპოზიცია მხოლოდ საპროგრამო კომისიის დამხობის სურვილი ამოქმედებს და ამიტომ ბრძოლა ვითომ პრინციპიალურ ნიადაგზე გადააქვსო. მარტოვის ეჭვები, მაშინ ჭეშმარიტებასთან ახლო იყო, ოპორტიუნისტული ოპოზიცია ყოველი საშუალებებით ცდილობდა დეზორგანიზაციის შეტანას ისკრელების რიგებში, რამდენიმე ისკრელის მაინც გადაბირებას, რომ დაემარცხებია მტკიცე ისკრელები, დაბოლოს საკითხი გადაეცა საპროგრამო კომისიას და გადაწყდა უკანასკნელის ფორმულის ერთხმად მიღებით.

ინციდენტმა საორგანიზაციო კომიტეტისა და ენების თანასწორუფლებიანობათა შესახებ, თითქო ხელი შეუწყო უთანხმოების კიდევ უფრო გამწვავებას ისკრელებს შორის პარტიის წესდების განხილვის დროს. მთელი ბრძოლა გაიმართა წესდების პირველი მუხლის გარშემო.

რომ უფრო ნათელი შეიქნეს, თუ რამდენათ მნიშვნელოვანი იყო ამ მუხლის ლენინის მიერ მოცემული რე[illegible] ცია, გავიხსენოთ, თუ რა თვალსა[illegible] იდგა პარტიის შექმნის საკითხში [illegible] თის სოციალ-დემოკრატებს შორის [illegible] პერიოდში არსებული ორი მთავა[illegible] მიმდინარეობა („ეკონომიზმი"—„[illegible] ჩეე დელო" და რევოლიუცი[illegible] სოციალ-დემოკრატია—„ისკრა". „რაბოჩეე დელო"-ს გარშემო [illegible] ებილი ეკონომისტები პრინცი[illegible] [illegible] არ უარჰყოფდენ პოლიტ[illegible] პარტიის შექმნის საჭიროებას, მათის აზრით რუსეთის მუშათა [illegible] ობა ისეთ სტადიაში იმყოფებოდ

ისკრელები უმრავლესობიდან

1) გუსევი (ს. ი. დრაბკინი), დონის კომიტეტისაგან, 2) ლიადოვი (მ. ი. მენდელშტამი) სარატოვის კომიტეტისაგან, 3) ა. შოტმანი (გორკი) პეტერბურგის კომიტეტისაგან, მუშა, 4) ლ. ვილენსკი (ლეონოვი), ეკატერინოსლავის კომიტეტისაგან, 5) ს. ი. სტეპანოვი (ბრაუნი) ტულის კომიტეტისაგან, მუშა, 6) ბ. მ. კნუნიანცი, ბაქოს კომიტეტისაგან, 7) ზემლიაჩკა, ოდესის კომიტეტისაგან.

---

*) შემთხვევითი როდი იყო, რომ ამ საქმეში ერთად გამოვიდნენ „რუს სოციალ-დემოკრატების კავშირი" და «ბუნდი». „ისკრა" ორივეს სასტიკად ებრძოდა, როგორც ოპორტიუნისტულ ორგანიზაციებს (ბუნდი „ეკონომისტებისაკენ" იხრებოდა). კერძოდ კი „ბუნდს" მაგრად მოხვდა „ისკრა"-ში (მარტოვისგან) ნაციონალისტურ გადახრისათვის.

*) «Ленинский сборник» VI, გვ. 190.

*) „მოთხრობა მეორე ყრილობის შესახებ", «Ленинский сборник», VI, გვ. 221.

**) უთანხმოებათა ეს აღნუსხვა შეეხება, როგორც აღვნიშნეთ, იმ საკითხებს,რომელიც სადაო შეიქნა თვით ისკრელებს შორის. მაგრამ იყო აგრეთვე ისეთი სადაო საკითხები, როცა ისკრელების მთლიან ფრონტს უპირისპირდებოდა „ჭაობი" და ანტიისკრელთა ჯგუფი (ბუნდის საკითხი, პროგრამა და სხვ.)

***) ამ მახინაციებთან დაკავშირებით ლენინი თავის წიგნში „ერთი ნაბიჯი წინ ორი უკან" მოგვითხრობს მხოლოდ ერთ ისტორიის შესახებ—სახელდობრ „ბორბა"-ს ჯგუფის წარმომადგენლის რიაზანოვის მიწვევის ცდის შესახებ ყრილობაზე. ასევე მოგვითხრობს ამხ. პ. ლეპეშინსკი თავის ახლად გამოსულ ბროშურაში „ბოლშევიზმის სათავეებთან" (გვ. 29), მაგრამ მოთხრობაში „მეორე ყრილობის შესახებ" ამხ. ლენინი აღნიშნავს ყრილობაზე ოპორტიუნისტების რიცხვის გამრავლების მეორე ცდას, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტის წევრის ე. მ. ალექსანდროვას მხრიდან გამომდინარეობდა. ამას ადასტურებს აგრეთვე ამხ. პავლოვიჩის (კრასიკოვი) წერილი, რომელიც დართული აქვს ლენინის ნაწერების V ტომს.

*) ლენინი, ტ. V, „ნაბიჯი [illegible] უკან", გვ. 327.

პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავისათვის

ტროცკიზმის სათავეებთან

მენშევიზმის საკმაოდ მწყობრი თეორიული დასაბუთება მოგვცა ლ. დ. ტროცკიმ თავის ბროშურაში „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები", რომელიც წარმოადგენდა პასუხს ლენინის წიგნზე „ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან". ამ მომენტიდან ტროცკი მენშევიზმის ხელისჩამდებლად და ტრუბადურად გადაიქცა.

ლ. დ. ტროცკი პარტიის მეორე ყრილობის წინ დაბრუნდა ციმბირიდან (გადასახლებიდან), სადაც იგი წამოსვლამდე ვ. ი. ლენინის თვალსაზრისს იცავდა საორგანიზაციო საკითხებში; ამიტომ ვ. ი. ლენინმა ყურადღება მიაქცია მას, ლენინს ტროცკი მიაჩნდა პარტიისათვის გამოსადეგ ამხანაგად; ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰქონდა ტროცკის პუბლიცისტური, ლიტერატურული ნიჭი. მან სახელიც შესაფერი უწოდა ტროცკის — „კალამი". ლენინმა ტროცკი, როგორც „კალამს", პლეხანოვის წინაშეც გაუკეთა რეკომენდაცია. მაგრამ პლეხანოვი ქედმაღლურად მოექცა ტროცკის, ისე, როგორც, საზოგადოდ, ის ექცეოდა სულ ახალგაზრდა ამხანაგებს და მუშებსაც კი.

პარტიის ყრილობის წინ ტროცკი უფრო დაახლოვებული იყო ლენინთან. ლენინი, დ. ბ. რიაზანოვის თქმით, სარგებლობდა ტროცკით, როგორც „კეტით" „ისკრა"-ს რედაქციის დანარჩენი წევრების მიმართ, — ამ დროისათვის ტროცკი „ისკრა"-ს უკვე მახლობელი თანამშრომელი იყო. მაგრამ პარტიის მე-2 ყრილობაზე ტროცკი ისეთი ფორმულებით გამოვიდა ლენინის წინააღმდეგ, რომლებიც შემთხვევით ფორმულებად ვერ ჩაითვლებოდნენ და რომლებიც ტროცკიმ შემდეგში ბევრ თავის ლიტერატურულ ნაწარმოებში გააღრმავა. ტროცკიზმს ამრიგად, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, და სრული უფლებით შეგვიძლია მისი დასაწყისი პარტიის მეორე ყრილობის დროს მივაკუთვნოთ.

ტროცკი გამოვიდა წესდების პირველი პარაგრაფის იმ ფორმის დამცველად, რომელიც მარტოვმა ჩამოაყალიბა. ის დასცინოდა პლეხანოვსა და ლენინს, თითქოს მათ უნდოდათ წესდების საშუალებით ოპორტუნიზმის ალაგმვა. პლეხანოვის იმ მითითებაზე, რომ მარტოვის თვალსაზრისის მოხრეები იცავენ ინტელიგენტურ ინდივიდუალიზმს, ტროცკიმ განაცხადა, რომ ლენინის ფორმულა მიმართულია არა იმდენად ინტელიგენციის, რამდენადაც მუშების წინააღმდეგო. მაგრამ შემდეგში მან სწორედ წინააღმდეგი დაამტკიცა. სახელდობრ დაამტკიცა ის, რომ მას ყველაზე მეტად ეს საკითხი აინტერესებს იმიტომ, რომ ნის ფორმულას შეუძლია „შეზღუდოს ნმარტოვებული ინტელიგენტების უფლება, რომლებიც პარტიული პროგრამის ნიადაგზე დგანან და თავიანთი განმარტოვებული მოქმედებით სამსახურს უწევენ პარტიას მისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით". ტროცკი კითხულობდა:

„ნუთუ ც. კ.-ის წევრმა ყოველ ასეთ განმარტოვებულად მდგომ და ქალაქ პენზაში მცხოვრებ სოციალ-დემოკრატს უნდა უპასუხოს: „ვიდრე შენი, როგორც წევრის, მინიმალური უფლებების რეალიზაციას მოვახდენთ, შენ უნდა შეუკავშირდე ასევე განმარტოვებულად მყოფ სოციალ-დემოკრატებს სამარასა და კალუგაში, ვინაიდან ამჟამად გამოგონილია ფორმულა შენი ინტელიგენტური ინდივიდუალიზმის ჩასახრჩობად". (მე-2 ყრილობის ოქმები).

ჩვენ უკვე დავინახეთ, რამდენად შორს არის იმისაგან, რასაც ვ. ი. ლენინი ამბობდა ურჩევდა პარტიას.

ლენინის მიერ ვითომ დაჩაგრული ინტელიგენციის ეს დაცვა ტროცკიმ უფრო მეტი მაჩანჩალური (ХВОСТИСТСКИЙ) ფორმით განაახლა ყრილობის შემდეგ თავის ბროშურაში „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები".

როდესაც ლენინმა თავის წიგნში: „ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან" დაახასიათა განსხვავება ინტელიგენციასა და პროლეტარიატს შორის და სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ „ინტელიგენცია, როგორც თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების სრულიად განსაკუთრებული ფენა, საერთოდ და მთლიანად ხასიათდება სწორეთ ინდივიდუალიზმით და უუნარობით დისციპლინისა და ორგანიზაციისადმი",—ეს სავსებით საკმაო იყო, რომ ლ. დ. ტროცკი აღშფოთებულიყო, მაშინ უწოდა ტროცკიმ ლენინს „ჩვენი პარტიის რეაქციონური ფრთის ბელადი"

„[illegible],—სწერდა ლ. დ. ტროცკი,— [illegible] ახალი ფილოსოფიით,—ლენინის [illegible] „რა ვაკეთოთ?" დაწერის შემ[illegible] მოასწრო 1 წყვილი ფეხსაცმელის [illegible],— პროლეტარიატისთვის საკმაოა [illegible] „ფაბრიკის სკოლა", რომ პოლიტი[illegible] დისციპლინის გაკვეთილები აძლიოს ტელიგენციას, რომელიც მის პარტიაში ერ-ჯერობით ხელმძღვანელ როლს თამაშობს. ამ ახალი ფილოსოფიის მიხედვით ყველა ის, ვისაც იდეალური პარტია „უზარმაზარ ფაბრიკად" არ ესახება, ვისაც, პირიქით, ასეთი წარმოდგენა „საშინელებად" ეჩვენება, ყველა ის, ვისაც არა სწამს მანქანის პოლიტიკურად აღმზრდელი უშუალო ძალა,—ის „ერთბაშად აშკარავებს ბურჟუაზიული ინტელიგენტის ფსიქოლოგიას", ინტელიგენტის, რომელსაც დაბადებითვე არ შესწევს უნარი გაარჩიოს ფაბრიკის უარყოფითი მხარე—„შიმშილის შიშზე დამყარებული დისციპლინა", მის დადებით მხარისაგან—„გაერთიანებულ შრომაზე დამყარებულ დისციპლინისაგან, ისეთ შრომაზე, რომელსაც უმაღლესად განვითარებული ტექნიკური წარმოების პირობები აერთიანებენ".

„ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის პროლეტარიატს, რომლის პოლიტიკური თვითმოქმედების განვითარებასაც ეს არის ეხლა შეუდექით, თავის და საუბედუროდ და „დიქტატორის" კანდიდატთა საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი დისციპლინის გაკვეთილები აძლიოს თავის „ინტელიგენციას", არ შესწევს ეს, რამდენიც არ უნდა ავარჯიშოს იგი ფაბრიკამ „გაერთიანებულ შრომაში, ისეთ შრომაში, რომელსაც უმაღლესად განვითარებული ტექნიკური წარმოების პირობები აერთიანებენ". ჩვენ არ გვაშინებს „ბურჟუაზიული ინტელიგენტის ფსიქოლოგიის" გამომჟღავნება და ამიტომ სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ იმ აზრს, რომ „ტექნიკური დამორჩილება მუშებისა შრომის თარიღის ერთფეროვანი მსვლელობისადმი" (დისციპლინა, დამყარებული შრომის გაერთიანებაზე, შრომისა, რომელსაც უმაღლესად განვითარებული ტექნიკური წარმოების პირობები აერთიანებენ) და ფაბრიკისათვის დამახასიათებელი მთელი მუშური ორგანიზმის წარმოშობა ორივე სქესის და სხვადასხვა ასაკის ინდივიდუუმებისაგან—ჰქმნის ყაზარმულ (ყაზარმულ და არა შეგნებულად პოლიტიკურ) დისციპლინას რომელიც ნამდვილ საფაბრიკო რეჟიმად გადაიქცევა ხოლმე".

აქედან სჩანს რომ ლ. დ. ტროცკის არ ესმის პროლეტარიატის როლი დისციპლინიანი პარტიის შექმნის საქმეში; მეტიც: ტროცკი აქ გამოდის ისე, როგორც შეიძლო გამოსვლა ამა თუ იმ „ეკონომისტს" ისეთ საკითხებში, როგორიც არის სტიქიურობა და შეგნება პროლეტარულ მოძრაობაში.

„რა აღშფოთებას ეძლევით თქვენ,—ელავს ტროცკი,—როცა კითხულობთ ამ საზიზღარ, უზომოთ დემაგოგიურ სტრიქონებს! პროლეტარიატს, იმ პროლეტარიატს, რომელზედაც ჯერ კიდევ გუშინ ამბობდენ რომ „სტიქიურად მიისწრაფვის ტრედ-უნიონიზმისაკენო", დღეს უკვე მოუწოდებენ—პოლიტიკური დისციპლინის გაკვეთილები აძლიოს, მერე ვის? სწორედ იმ ინტელიგენციას, რომელსაც, გუშინდელი სქემით, ეკუთვნოდა სულ სხვა როლი: რომელსაც ავალებდნენ შეეტანა პროლეტარიატში როგორც მისი კლასობრივი, ისე მისი პოლიტიკური შეგნება. გუშინ პროლეტარიატი ჯერ ისევ მუცლით დაცოცავდა, დღეს კი მოულოდნელ სიმაღლეზეა აყვანილი. გუშინ ინტელიგენცია სოციალისტური შეგნების მატარებელი იყო, დღეს კი მას საფაბრიკო დისციპლინის მოწრუქებში აქცევენ.

და ამას მარქსიზმი ეწოდება. ამას სოც.-დემოკრატიული აზროვნებით ნათლავენ. ჭეშმარიტად შეუძლებელია მეტის ცინიზმით მოეპყრათ პროლეტარიატის საუკეთესო იდეურ განძს, ვიდრე ამას ლენინი სჩადის. მისთვის მარქსიზმი როდია მეცნიერული გამოკვლევის მეთოდი, რომელიც კაცს დიდ თეორიულ ვალდებულებას აკისრებს, არა ეს... ფატაკის საწმენდი ჩვარია, როცა საჭიროა საკუთარი კვალის წაშლა; თეთრი ეკრანია, როცა საჭიროა საკუთარი სიდიადის დემონსტრაცია; დასაკეცი აღლია, როცა საჭიროა საკუთარი პარტიული სინიდისის გამოაშკარავება". (ხაზგასმული ჩვენი).

ლენინს მაშინ ტროცკისთვის უნდა დაემტკიცება, რომ მან სრულებით ვერ გაიგო ის აზრები, რომლებიც გადმოცემულია წიგნში „რა ვაკეთოთ", ვერ გაიგო პარტიის აგებულება.

ტროცკისთვის უაღრესად უცხო იყო ის იდეა, რომ პროლეტარიატი თავის დიქტატურას ვერ განახორციელებს თავისი კლასობრივად შეგნებული, ერთგული და დისციპლინიანი ავანგარდის— პროლეტარული პარტიის („ძლიერი, მძლავრი პროლეტარული ორგანიზაცია") გარეშე. იმ თავში, რომელსაც ეწოდება „დიქტატურა პროლეტარიატზე", ტროცკის მოჰყავს ადგილები სამი ბოლშევიკური კომიტეტის წარმომადგენელთა წერილიდან.

„... და უნდა ითქვას არა მარტო რუსეთზე, არამედ მსოფლიო პროლეტარიატზედაც, რომ მან უნდა ამზადოს და თითონაც ემზადოს ძლიერი, მძლავრი ორგანიზაციის მისაღებად (!!!) პროლეტარიატის მომზადება დიქტატურისთვის— ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციული (!!!) ამოცანაა, რომ მას უნდა დაექვემდებაროს ყველა სხვა ამოცანა. მომზადება მდგომარეობს განწყობილების (!) შექმნაში ძლიერი, ძალოვანი ორგანიზაციის სასარგებლოდ, მთელი მისი მნიშვნელობის გამორკვევაში. შეიძლება მოგვიგონ, რომ დიქტატურები (!!!) ჩნდებოდნენ და ჩნდებიან თავის თავადო, მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა, და პროლეტარულ პარტიაში სტიქიურად, ოპორტიუნისტულად არაფერი არ უნდა ხდებოდეს (ხაზგასმული ტროცკისაა).

როგორც ვხედავთ, ტროცკი არ ერიდება ხაზგასმას და გაკვირვების ნიშნებს, როცა მოჰყავს ადგილები ბოლშევიკური კომიტეტების წერილიდან. წერილს მოსდევს ტროცკის ასეთი რეპლიკა:

„ყოველ შემთხვევაში წერილის ავტორებს შესწევთ გამბედაობა აშკარად განაცხადონ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა მათ ესახებათ, როგორც დიქტატურა პროლეტარიატზე: არა თვითმოქმედი მუშათა კლასი, რომელიც თავის ბედს საკუთარ ხელში იღებს, არამედ „ძლიერი, მძლავრი ორგანიზაცია, გაბატონებული პროლეტარიატზე, ხოლო მისი მეოხებით საზოგადოებაზე, უზრუნველყოფს გადასვლას სოციალიზმში".

ასეთ იდეას ტროცკი უთანაბრებს „დიქტატურას პროლეტარიატზე", ე. ი. აღიარებს მათ იგივეობას.

როგორღა ჰქონდა ტროცკის წარმოდგენილი პროლეტარიატის დიქტატურა და პარტიის როლი?

ტროცკის აზრით, „საზოგადოების ბედს" ხელში იღებს „თვითმოქმედი მუშათა კლასი", რომელსაც იგი „ძლიერ, ძალოვან პროლეტარულ ორგანიზაციას" უპირისპირებს. ჯერ კიდევ მე-2 ყრილობაზე ტროცკი ამბობდა:

„მას (აკიმოვს) აშინებს პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც იაკობინური აქტი. მას ავიწყდება, რომ დიქტატურა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტია და მუშათა კლასი.. ყველაზე უფრო ახლო იქნებიან გაერთიანებისათვის... (ხაზგასმული ჩვენია. რედ.).

მაშ ასე: 1) პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შესახებ ტროცკის მეტად მშვიდიანი, სრულიადაც არა რევოლიუციონური წარმოდგენა ჰქონდა ტყუილად კი არ აღელვა ასე ძლიერ ტროცკი ლენინის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ „იაკობინელი, რომელიც განუყოფელად შეკავშირებულია პროლეტარიატის ორგანიზაციასთან, რომელმაც შეიგნო თავისი კლასობრივი ინტერესები, — არის სწორედ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატი", 2) ტროცკის წარმოდგენა პროლეტარიატის პარტიის რაზმის შესახებ წმინდა „კუდისტურია".

გასაკვირველი არ არის, თუ აშკარა რევიზიონისტმა, „ეკონომისტმა" აკიმოვმა.. უმალვე სოლიდარობა გამოუცხადა ტროცკის.

პარტიის როლის საკითხის ამ „კუდისტურად" დაყენებიდან გამომდინარეობენ ტროცკის ორგანიზაციული შეხედულებანიც.

დავა ლენინის ორგანიზაციულ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომლებიც მიღებულ იქნენ პარტიის მე-2 ყრილობის უმრავლესობის მიერ, ტროცკიმ მე-2 ყრილობის შემდეგაც განაგრძო. ზემოდ დასახელებულ ბროშურაში — „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები" ტროცკი გამოდის მუშათა კლასის ბრძოლის ყველა ძირითადი საკითხის უკვე სავსებით გარკვეული მენშევიკური დასაბუთებით. იგი ბრალს სდებს ბოლშევიკებს იმაში, რომ ისინი პირშებრუნებული „ეკონომისტები" არიან, რომ მათი პარტიული ორგანიზაცია პარტიის „მაგიერობას" ეწევა, ც. კ.—პარტიული ორგანიზაციის მაგიერობას და, დასასრულ, „დიქტატორი" (ლაპარაკია ლენინზე. — რედ.)—ც. კ.-ს მაგიერობას. ტროცკი კი ბრალს სდებს ბოლშევიკურ კომიტეტებს იმაში, რომ ისინი თავიანთ საკუთარ გადაწყვეტილებებს ახალებენ მოწინავე ადგილების გადაწყვეტილებებად, „მაშინ, როდესაც ხალხი სდუმს". ტროცკი ილაშქრებს ვ. ი. ლენინის „ორგანიზაციული ფეტიშიზმის" წინააღმდეგ:

„მთელი ჩვენი ამოცანა მთლიანად მოქცეულია პოლიტიკური ტაქტიკის დარგში. ჩვენ, ეგრეთ წოდებული „უმცირესობა", არ ვისახავთ დამოუკიდებელ საორგანიზაციო ამოცანებს და ვფიქრობთ, რომ ყველაზე გადაუდებელი ამოცანები სწყდება გზადაგზა, პოლიტიკური ბრძოლის პროცესში. ამ მხრით, ჩვენ, მართლაც „ოპორტუნიზმს ვიჩენთ საორგანიზაციო საკითხში", მაგრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი ოპორტუნიზმის პირისპირ დაყენებული საორგანიზაციო რიგორიზმი პოლიტიკური გონებრივი სიღლუნგის მხოლოდ უკულმა შეტრიალებული სახეა.

ამგვარად, პროლეტარიატის მობილიზაცია რევოლიუციის ძირითადი ლოზუნგების გარშემო — ასეთია მომავალი ამბებისათვის ჩვენი უშუალო სამზადისის შინაარსი.

ამჟამად ამის გარდა მე სხვა სამზადისი არ ვიცი. სამაგიეროდ მე ეს სამზადისი ვიცი და ვხედავ მთელ მის სირთულეს, სიძნელეს კოლოსალობას, უფრო სწორედ, რომ ვსთქვათ: ყოველგვარი სხვა სამზადისი ამას თავისთავად მოჰყვება.

ამგვარად, ტროცკის ძირითადი საორგანიზაციო პრინციპი ის არის, რომ მოვლენათა დენას მიჰყვეს. ორგანიზაცია „თავისთავად მოჰყვება".. ამის შემდეგ გასაგებია ტროცკის დამოკიდებულება ლენინის ორგანიზაციული გეგმისადმი:

„Что делать?"-ის ავტორის მეტის-მეტად პრიმიტიული საორგანიზაციო „გეგმები", — რომლებსაც უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ „ისკრისა" და „ზარიას" უეჭველად პროგრესიული როლის შემსრულებელ იდეათა საერთო ჯამში, — სამი წლის შემდეგ თავს იჩენენ ეპიგონის («шаг вперед"-ის ავტორის) ხელში; ეს გეგმები გაფითრებულ ცდას წარმოადგენენ, რომ ხელი შეუშალონ სოციალ-დემოკრატიას იქცეს იგი სოციალ-დემოკრატიად"..

ჩვენ ქვემოთ კიდევ დავინახავთ, თუ რაში მდგომარეობდა ტროცკის „პოლიტიკური ტაქტიკაც".

ტროცკი გაალმასებით ესხმის თავს ლენინის ქადაგებას მკაცრი პარტიული დისციპლინის საჭიროების შესახებ: „შეუძლებელია რამე იყოს იმ „ბელადზე" საზრალო, რომელიც ცდილობს მოინადიროს იმათი გული, ვინც თანახმანი არ არიან, რომ დაიჭირონ მოპირდაპირეთა ჰორიზონტალური მდგომარეობა „დისციპლინის" „გამეორებით" ლაპარაკობს ის ვ. ი. ლენინის შესახებ.

„უმცირესობა" (მენშევიკები) აწყობს „გენერლების საყოველთაო გაფიცვას", „უმცირესობა" ბოლოს და ბოლოს არღვევს პარტიულ დისციპლინას და ტროცკი „საფუძვლს უძებნის", „თეორიულად ამართლებს" ამ დეზორგანიზატორულ მუშაობას.

ჯერ კიდევ მცირე ხანს წინათ ტროცკი „ეკონომისტების" კუსტარობის წინააღმდეგ ლენინთან ერთად იბრძოდა, ახლა კი „გამანადგურებელი" კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს ლენინის გეგმას ცენტრალიზაციაქმნილი პარტიის შექმნის შესახებ.. ცენტრალიზმის იდეა მენშევიკ — ტროცკისათვის —„უბადრუკი აზრია. „ჩვენი პარტიის ის ელემენტები, რომლებიც ალიზარდნენ „კუსტარობის" კრახის ეპოქაში, საოცრად უბადრუკ აზრს დაადგნენ — მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ცენტრალიზმის იდეაო".. „ისკრის" მოღვაწეობის შედეგად ტროცკის პარტიის მდგომარეობა ეჩვენება რაღაც დაუსრულებელ კოშმარად.. „სადღაც მაღლა, ძალიან, ძალიან მაღლა, ვიღაც ვიღასაც ამწყვდევს, სცვლის, ვიღასაც ახრჩობს, ვიღაც რაღაცად აცხადებს თავს, — ამის შედეგად კომიტეტის კოშკზე ჩნდება ზარიალი ზედ წარწერით: „ორთოდოქსია, ცენტრალიზმი, პოლიტიკური ბრძოლა"..

პარტია — პროლეტარიატის ავანგარდი, მონოლიტური უნდა იყოს, თუ არა და, იგი ვერ შეასრულებს ავანგარდის როლს.

„ტროცკისებურად" წარმოდგენილი პარტია კი ვითარდება „ყველაზე პროგრესიულ პროგრამულ, პოლიტიკურ და ოგანიზაციულ ელფერთა (ОТТЕНКОВ) და მიმდინარეობათა ალმოფხვრის გზით". „ელფერთა და მიმდინარეობათა" ასეთივე ბრძოლა სოციალიზმის შიგნით ტროცკის წარმოდგენილი აქვს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგაც.

ვნახოთ ახლა, თუ როგორ ესმის ტროცკის პოლიტიკური ტაქტიკის ამოცანები.

დიაღ, ვიმეორებთ ჩვენ, რაღა განსხვავებაა ასე ულმობელად დაგმობილი „ეკონომიზმის" პრაქტიკისაგან? უფრო უარესი — ხომ არ მივადექით ჩვენს პოლიტიკურ მუშაობაში „credo"-ს შერისხულ პროგრამას გაცილებით უფრო ახლოს, ვიდრე თვით „ეკონომისტები?" კომიტეტები „ხელმძღვანელობენ" (თუმცა, როგორც უკვე ვსთქვით, მათ უფრო და უფრო ავიწყდებათ ეს ხელოვნება) პროლეტარიატის ეკონომიური (გაფიცვები) და პოლიტიკური (ნახევრად სტიქიური დემონსტრაციები გაურკვეველი რევოლიუციონური ლოზუნგებით) ბრძოლის პრიმიტიულ სახეებს და, გარდა ამისა, ამა თუ იმ სახით „დადიან საზოგადოების ყველა კლასში" — უფრო ხშირად პროკლამაციების სახით... მორჩა და გათავდა"...

ასე გვისახავს ტროცკი ვ. ი. ლენინის ტაქტიკას. იგი ბოლშევიკებს ბრალად სდებს:

„საგარეო პოლიტიკაში ეს მეთოდები (ბოლშევიკური.) თავს იჩენენ იმის ცდაში, რომ გავლენა მოახდინონ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების განუყენებული ძალ-ღონით და არა თავისი კლასობრივი ინტერესების შეგნების პროლეტარიატის რეალური ძალ-ღონით".

რას გვირჩევს თავისი მხრით ტროცკი? თავში — Что же делать" — იგი პოლიტიკური კამპანიის ჭეშმარიტად შესანიშნავ სურათს გვიშლის.

„თუ ტეხნიკური განათლების მოღვაწეთა ყრილობას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, იგი, რასაკვირველია, უნდა გამოვიყენოთ... მაგრამ როგორ გამოვიყენოთ? დავრჩეთ პროლეტარიატის რიგებში, არ დავშორდეთ მას.

„...კომიტეტი ამუშავებს რეზოლიუციას, რომელიც აყალიბებს ყრილობისადმი წარგენილ პეტერბურგელი მუშების მოთხოვნილებებს. ამ რეზოლიუციას კომიტეტის ერთ - ერთი წევრი დაწვრილებით არჩევს პროპაგანდისტებთან და აგიტატორებთან. შემდეგ მათ გადააქვთ იგი ორგანიზაციის ყველა უჯრედში. სთვლიან ხმებს.

...ფურცლები შეგროვილი ჯვრებით, აწეული ხელების რიცხვი — ყველაფერი ეს კომიტეტს ეგზავნება.

...იწყება ყრილობა. პეტერბურგის კომიტეტი გადასცემს მას რეზოლიუციას, რომელშიაც ჩამოყალიბებულია 500, 1.000, 5.000 პეტერბურგელი მუშის შეგნებული მოთხოვნილებები.

...რანაირი პასუხიც არ უნდა გასცეს ყრილობამ შეგნებული პროლეტარიატის ხმას, კომიტეტის მეცადინეობამ მაინც ამაოდ არ ჩაიარა. ის მუშები, რომლებიც კამპანიის დროს ჩაბმულნი არიან რადიკალურ დემოკრატიაზე „ზედმოქმედების მოხდენის" საქმეში, უკვე ამით დაშორებულნი არიან მას". (გვ. 40).

აი მეორე „მაგალითი".

შიმშილის დროს მთავრობის საქციელის წინააღმდეგ მიმართული მუშების პროტესტი... პოლიტიკურ მნიშვნელობას მიიღებს თუ ადიდებულ ტალღად გადაივლის მთელ რუსეთზე და თავს მოუყრის ათას და ათი ათას საპროტესტო პროლეტარულ ხმებს..

ამ მასიური პროტესტისათვის სტუდენტობისა და „პატიოსანი მოქალაქეებისადმი" მიმართვა შემდგომი ნაბიჯი იქნება პოლიტიკურად მოაზროვნე და პოლიტიკურად ფხიზელი ცენტრისა, რომელსაც თავის გარშემო მოუყრია პარტიის ყველა ცოცხალი ძალა. შემდეგი ნაბიჯი იქნება რევოლიუციონური პროლეტარიატის პროტესტი იმ ლიბერალური პრესის მონური დუმილის წინააღმდეგ, რომელიც ხალხის დიდი უბედურების დროსაც კი ვერ ჰბედავს გადასცდეს საცენზურო ფარგლებს. შემდეგ შეიძლება მოჰყვეს მოწოდება გაბატონებული კლასების ყველა საზოგადოებრივ-დროებითი თუ მუდმივი ორგანიზაციებისადმი, რომ მათ ასე თუ ისე გამოხატონ თავისი დამოკიდებულება მთავრობის ტაქტიკის მიმართ, ბოლოს (!), რევოლიუციონური მასების პროტესტი, თუ ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პირველ ყოვლისა ერობები და ქალაქის საბჭოები, ხმას არ ამოიღებენ.

სწორედ ეს წარმოადგენს იმის საშუალებას, რომ პროლეტარიატის უფრო შეგნებული ფენები პოლიტიკურად დაუპირდაპირდნენ გაბატონებული კლასების ორგანიზაციებს ცარიზმთან საერთო დემოკრატიული ბრძოლის პროცესში. სწორედ ამ გზაზე შეგვიძლია მივცეთ კლასობრივი ხასიათი ჩვენს პოლიტიკურ ბრძოლას". («Наши политические задачи». «От педегогики к тактике», გვ. 48).

მაშ ასე, გაფიცვები და დემონსტრაციები—პროლეტარიატის ბრძოლის „პრიმიტიული სახეებია". უმაღლესი სახეებია — პეტიციები და პროტესტები ლიბერალური ბურჟუაზიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ. თვითმპყრობელობასთან უშუალო ბრძოლის ნაცვლად, სადაც პროლეტარიატი წინ უძღვება მოსახლეობის დანარჩენ ფენებს და ავანგარდად, ჰეგემონად გამოდის რევოლიუციონურ ბრძოლაში, ამის ნაცვლად—მუდარა და წახალისება ლიბერალების მისამართით.

ტროცკის აღგზნებულმა გეგმებმა მალე ხორცი შეისხეს და ჭეშმარიტად საუცხოო მენშევიკური „საერობო კამპანიის გეგმის" სახე მიიღეს. ეს გეგმა ღირსეულად შეაფასა ვლ. ილიჩმა.

ამგვარად, მეორე ყრილობის შემდეგ ტროცკიმ ლენინური ტაქტიკის რევოლიუციონური პრინციპები, ნაცადი საორგანიზაციო ხაზი გასცვალა მენშევიკური მსჯელობით შეფერადებულ „ეკონომისტების" თეორიებში.

აშკარა არარევოლიუციონური პოზიციების დაცვას შეუძლებელი იყო გავლენა არ მოეხდინა ტროცკიზმის შემდგომს ბედ-იღბალზე.

ე. იაროსლავსკი.

რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კომიტეტი 1903 წ.

ამხ. მიხა ცხაკაია

ამხ. სტალინ-ჯუღაშვილი

ამხ. ფ. მახარაძე


ამხ. ს. წულუკიძე

ამხ. ა. ზურაბოვი

ამხ. ბ. მ. კნუნიანცი

„ბრძოლა"-ს რედაქციის მუშაკების ერთი ჯგუფი

ლ. კეცხოველი


მ. ბოჭორიძე

ვ. ბოლქვაძე

გ. თელია

ჩვენი გამარჯვება

(პარტიის მე-2-ე ყრილობის 25 წლის თავზე)

თუ დღეს მიღწევებს ვიწერ დავთარში
და ვავსებ გეგმებს, პერსპექტივებით,
ვიგონებ თავსაც ყოფნის ავდარში
ოფლის, ცრემლის თუ სისხლის მძივებით!..

რას იქთ? ბრძოლის გზა, გამონათელი,
იყო იმ თავით ბურუსიანი...
დღეს ეს გზა არის ასე ნათელი
და ზედ სვლაც—ასე ხალისიანი!..

თუ ახსოვს ღამე, ბრძოლის წინარი,
სისხამი დილაც ჰქონდა ამ ბრძოლას,
ყოფნის ბერკეტი თუ ოწინარი
ზოგჯერ არმიის უდრიდა ყოლას!..

დღეს დავიკვეხნით ჩვენც ამ ბერკეტით!
დღეს თავი მოგვაქვს ოწინარებით!
ხან კი, თავს ვუვლით რა გზას გახედვით,
ვამაყობ რა რიგ, ო, წინაპრებით!..

არის პროცესი, შეუგნებელი,
მოვლინებული ყოფნის რაობათ.
კაცია მისი გზების მგნებელი
და მცნობიც მისი მკვიდრ მოძრაობათ!

მოსქდა, ვით ზვავი, ზამთრის გლოვიდან,
ანიაღვრებულ მარტის მეტოლე,
და ჩვენი კლასიც ასე მოვიდა.
რათა ეპოვნა თვისი მედოლე...

ბევრი ფრთოსანი მოსდევს გაზაფხულს,
ჩანგი სხვადასხვა სივრცეებს სერავს,
და ხვდება თესლი ყამირს გადახუნულს,
სადაც მზე ყოფნას შანთებით სწერავს!..

და მგავს ქვეყანა ერთ დიდ სამჭედლოს,
შიგ მიწის კუზიც გდია, ვით გრდემლი,
თითქოს,—მზემ ძალა რომ მოაცეცხლოს,—
მან შეაგებოს ოფლი და ცრემლი!..

ასე ედება ამ მიწას ჟანგი
და ასე შურავს ის ცასაც კვამლით.
მაგრამ თან ხსნისაც მოისმის შთანგი,
შეთანწყობილი ხევით თუ ტრამლით!..

და ვინც იმ თავით გადაჭკვეთს სივრცეს,
არ მიხედავს რა გზის სიცალფეხეს,
ვინც ყოველს ბგერას იქ ახსნას მისცემს
და მით დაიჭერს მომავალს მეხებს,—

ქვეყნის განმგებლის ძვირფას პორფირით
ისიც უცილოდ მოიკაზმება;
მზეც მას ეწვევა და, მღიმარ პირით,
იქ ურიცხვ სხივად დაირაზმება!..

ნ. ზომლეთელი.

ВПЕРЕДЪ

№ 1. ЖЕНЕВА, 4 ЯНВАРЯ (22 ДЕКАБРЯ) 1905 г.

„ვპერიოდ"-ის რედაქცია

1) ოლმინსკი, 2) ლენინი, 3) ვოროვსკი, 4) ლუნაჩარსკი.

პოლიტიკური ამოცანების დასმა მისთვის „ნაადრევი" იყო.

„ისკრა"-ს მიმართულება, პირიქით, თვლიდა რომ რუსეთის მუშათა მოძრაობას უკვე ისეთი ფართე ხასიათი აქვს მიღებული, რომ მის წინაშე უნდა დაისვას საერთო პოლიტიკური ამოცანები. მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მხოლოდ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. უკანასკნელმა თავის ამოცანის განხორციე[illegible] თვითმპყრობელურ პოლიციუ[illegible] ის პირობებში შესძლებს [illegible] მაშინ, როცა შეიქმნება [illegible] ცენტრალისტური, კონ[illegible] ტიული ორგანიზაცია, ორ[illegible] აცია პროფესიონალური რე[illegible] იუციონერების. თავისთავად ცხა[illegible], რომ ასეთი ორგანიზაცია ვერ შეიქმნება „დემოკრატიულ" ნიადაგზე, ქვევიდან ზევით, არამედ პირიქით, იგი უნდა მოეწყობილიყო ზევიდან ქვევით, რაც უზრუნველყოფდა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების შესაფერად შერჩევას და მათ მჭიდრო კავშირს ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანოსთან. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ასეთი სტრუქტურიდან და ხასიათიდან (თვითმპყრობელურ-პოლიციურ რეჟიმის პირობებში) ბუნებრივად გამომდინარეობდა ლენინური განსაზღვრა იმის, თუ ვინ შეიძლება იყოს პარტიის წევრი: „პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას, როგორც მატერიალური საშუალებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში",—ასე ამბობდა ლენინის მიერ შედგენილ წესდების პირველი მუხლი.

აშკარაა, რომ ასეთი ფორმულით, დაცულია, როგორც ორგანიზაციის კონსპირატიულობა, ისე მისი რევოლიუციონური ხასიათი, რადგან პარ[illegible] მიღების ასეთი წესების პირობებში სოციალ-დემოკრატიასთან მი[illegible]ენ მხოლოდ ისეთები, რომლებიც შეუშინდებოდენ „პირად მონაწილეობას ერთ-ერთ ორგანიზაცია-

[illegible]ოვი კი წინადადებას იძლეოდა წესდების პირველი მუხლის ნაწილი (ხაზგასმული) შეცვლილიყო სიტყვებით: „მუშაობით ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის და კონტროლის ქვეშ".

„შესწორების" მიზანი იყო პარტიის კარების გახსნა აუარებელ მერყევ ელემენტებისათვის. აშკარა იყო, რომ ყრილობის მთელი ოპორტუნისტური ფრთა, რომელიც ვერ ურიგდებოდა იმ ორგანიზაციულ პრინციპებს, რომლებსაც „ისკრა" უდებდა საფუძვლად პარტიის ორგანიზაციას, ორივე ხელებით წაეპოტინებოდა მარტოვის იმ შესწორებას. დატოვება ხვრელის, რომელშიც თავისუფლად შეიძლებოდა ყველა მერყევისა და უხასიათო ინტელიგენტის გათრევა, სწორედ რომ ხელსაყრელი იყო მათთვის, რადგან ამრავლებდა მათ რიგებს და წარმოადგენდა გარანტიას ოპორტუნიზმის გავლენის გაძლიერებისათვის.

და მართლაც, რაბოჩე - დელცები, „ბუნდი" და ყრილობის სხვა მერყევი და ოპორტუნისტული ელემენტები, რომელთა კუთხურ პატრიოტიზმს სასიკვდილო ლახვარს სცემდა „ისკრას" ცენტრალიზმი (გამართლებული მაშინდელი პირობებით) გვერდში ამოუდგენ მარტოვს და ამხ. პ. ლეპეშინსკის სიტყვით, „ჯანყი მოაწყო ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპების წინააღმდეგ".

მოვიყვან ზოგიერთ ადგილებს იმ კამათიდან, რომელიც წესდების ამ მუხლის გარშემო გაიმართა ყრილობაზე:

აქსელროდი: მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ცნება პარტია და ორგანიზაცია... ავიღოთ მაგალითად პროფესორი, რომელიც თავის თავს სოციალ-დემოკრატად თვლის და აცხადებს ამას. თუ მივიღებთ ლენინის ფორმულას, ჩვენ გარეთ დავტოვებთ იმ ხალხის ნაწილს, რომლებიც თუმცა არ შეიძლება მიღებულ იქნენ უშუალოდ ორგანიზაციაში, მაგრამ მიუხედავად ამისა პარტიის წევრნი არიან.

მარტოვი: რამდენადაც ფართოდ იქნება გავრცელებული პარტიის წევრის სახელწოდება, მით უფრო უკეთესია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გვიხაროდეს, თუ თითეული გაფიცული, თითეული დემონსტრანტი, პასუხისმგებელი იქნება რა თავისი მოქმედებისათვის, თავის თავს პარტიის წევრად გამოაცხადებს.

ლიბერი: („ბუნდი") არიან სოციალ-დემოკრატები, რომლებიც აღიარებენ პროგრამას, მაგრამ არ შეუძლიათ და არ სურთ შესვლა ორგანიზაციაში, რადგან ფიქრობენ რომ ორგანიზაციის გარეშე მათ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

ტროცკი: მე მეშინია, რომ ლენინის ფორმულა შექმნის ფიქტიურ ორგანიზაციებს, ორგანიზაციებს, რომლებიც თავის წევრებს მისცემენ მხოლოდ ცენზს, მაგრამ არ იქნებიან საშუალებათ პარტიული მუშაობისათვის.

პლეხანოვი: რამდენადაც ღრმად უფიქრდებოდი ორატორების სიტყვებს, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ სიმართლე ლენინის მხარეზეა, მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რა ელემენტების შეყვანა შეიძლება პარტიაში. ლენინის პროექტით, პარტიის წევრად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, ვინც შევიდა ამა თუ იმ ორგანიზაციაში. ამ პროექტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ამით იქნება რაღაც ზედმეტი სიძნელე. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს სიძნელენი? ლაპარაკობენ ისეთ პირებზე, რომლებიც ვერ შესძლებენ ან არ ინდომებენ ერთ-ერთ ჩვენს ორგანიზაციაში შესვლას. მაგრამ რატომ ვერ შესძლებენ? როგორც ადამიანი, რომელსაც თვით მიმიღია მონაწილეობა რუსეთის რევოლიუციონურ ორგანიზაციებში, ვიტყვი, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი ობიექტიური პირობები, რომლებიც დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენენ, ასეთი შესვლისათვის. რაც შეეხება იმ ვაჟბატონებს, რომლებიც არ ინდომებენ, ჩვენ ისინი არც გვესაჭიროება. აქ სთქვეს, რომ ზოგი პროფესორი, რომელიც თანაუგრძნობს ჩვენს შეხედულებებს, შესაძლოა დამცირებათ ჩათვლის თავისთვის ამა თუ იმ ადგილობრივი ორგანიზაციაში შესვლას. ამის გამო მე მახსენდება ენგელსი, რომელიც ამბობდა, რომ როცა საქმე გაქვს პროფესორთან,—უნდა მოელოდე ყოველივე ცუდს (სიცილი). მართლაც, მაგალითი შეუფერებელია. თუ ეგიპტოლოგიის რომელიმე პროფესორი იმ საბუთით, რომ მას ზეპირად ახსოვს ყველა ფარაონების სახელები და იცნობს მოთხოვნილებებს, რომლებსაც ეგვიპტელები უდგენდენ ხარ აპისს, ჩასთვლის, რომ შესვლა ჩვენს ორგანიზაციაში დამამცირებელია მისთვის, ჩვენ არ გვინდა ეს პროფესორი. ლაპარაკი პარტიის კონტროლზე ორგანიზაციის გარეშე მყოფ ხალხის მიმართ, ნიშნავს სიტყვებით თამაშს. ფაქტიურად ასეთი კონტროლი განუხორციელებელია.

ლენინი: პარტიის ხაზის სიმტკიცისა და პრინციპების სიწმინდის დაცვა სწორედ ამჟამად მით უფრო აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს, რომ თავის მთლიანობაში აღდგენილი პარტია თავის რიგებში მიიღებს ძლიერ ბევრ მერყევ ელემენტებს. ამხ. ტროცკიმ ძლიერ შემცდარად გაიგო ძირითადი აზრი ჩემი წიგნის „რა ვაკეთოთ?". როცა ამბობდა, რომ პარტია არ არის შეთქმულთა ორგანიზაცია (ასეთი არგუმენტი მოიყვანეს ჩემს წინააღმდეგ სხვებმაც). მან დაივიწყა, რომ ჩემს წიგნში მე ვლაპარაკობ მთელ რიგ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებზე, დაწყებული უაღრესად კონსპირატიულ და ვიწროდან და გათავებული შედარებით ფართე და „თავისუფალი" ორგანიზაციით. მან დაივიწყა, რომ პარტია უნდა იყოს მხოლოდ მოწინავე რაზმი, ხელმძღვანელი მუშათა კლასის უდიდესი მასის რომელიც (ან თითქმის მთლიანად) მუშაობს „პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და კონტროლს ქვეშ", მაგრამ, რომელიც მთლიანად არ შედის და არც უნდა შევიდეს მთლიანად პარტიაში.

ყველა იმათი შეცდომის ძირი, ვინც მარტოვის ფორმულას ემხრობა, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არა თუ არ იღებენ მხედველობაში ჩვენი პარტიული ცხოვრების ერთ ძირითად ბოროტებას, არამედ აკანონებენ მას,ეს ბოროტება იმაში მდგომარეობს რომ თითქმის საყოველთაო პოლიტიკური უკმაყოფილების ატმოსფერაში, მუშაობის სრული ფარულობის პირობებში, მოღვაწეობის მეტი ნაწილის ვიწრო ფარულ წრეებში და თვით კერძო შეხვედრებში თავმოყრის პირობებში, ჩვენთვის უაღრესად ძნელია თითქმის შეუძლებელია მოლაყბეთა გამიჯვნა მომუშავეთაგან, და საეჭვოა მოიძებნოს სხვა ქვეყანა, სადაც ამ ორი კატეგორიის შერევა ასე ჩვეულებრივი იყოს, ასეთი დაუსრულებელი არევ-დარევა და ზიანი მოჰქონდეს, როგორც რუსეთში. ამხ. მარტოვის ფორმულა აკანონებს ამ ბოროტებას. ეს ფორმულა აუცილებლად ხდის ყველა და თითეული [illegible] პარტიის წევრი; ამხ. მარტოვი თვით იყო იძულებული ეღიარებია ეს შენიშვნაში: „თუ გსურთ, ეს ასეაო" სწორედ ეს არ გვინდა ჩვენ!... უეჭველია ათმა მომუშავემ არ უწოდოს თავის თავს პარტიის წევრი, (ნამდვილი მუშაკები ჩინებს არ ედევნებიან!), ვიდრე ერთ მოლაყბეს ექნეს უფლება და შესაძლებლობა იყოს პარტიის წევრი (ხაზ. ყველგან ჩვენია).

ჭაობი და ანტი-ისკრელები არ მალავდნენ, თუ რითი ხელმძღვანელობენ ისინი, როცა მხარს უჭერენ მარტოვის ფორმულას. რაბოჩედელეცმა აკიმოვმა (მახნოვეცმა) კამათის დროს თქვა: „ამხ. მარტოვი და ლენინი დაობენ იმის შესახებ, თუ რომელი ფორმულა უფრო აღწევს მათ საერთო მიზანს; მე და ბრუკერს (ლიდია მახნოვეც) გვსურს ავირჩიოთ ის, რომელიც ნაკლებ აღწევს მიზანს, ამიტომ ჩვენ მხარს უჭერთ მარტოვის ფორმულას"

ამრიგად აშკარა შეიქნა, რომ ყრილობის მემარჯვენე ნაწილი მარტოვის ფორმულას მხარს უჭერდა იმიტომ, რომ (არ ჰქონდათ იმედი თავისი ფორმულის გაყვანის და) ის სტოვებდა ხვრელს, რომლითაც ადვილი იყო მათი ოპორტიუნისტული ბარგი-ბარხანის გატარება. ამ მომენტიდან მარტოვი გადაიქცა ყრილობის ოპორტიუნისტული ფრთის ბელადათ და რამდენიმე „რბილი ისკრელის" დახმარებით უზრუნველჰყო ოპორტიუნისტების გამარჯვება საკამათო საკითხში. მარტოვის ასეთი ტაქტიკა მით უფრო მოულოდნელი იყო ლენინისათვის, რომ მის (ლენინის) მიერ შემუშავებული პარტიული წესდება ფაქტიურად მიღებული იყო ისკრელების მიერ (ამხ. კრასიკოვის მოწმობით „ჩამოსულ დელეგატების წინასწარ თათბირებზე ლენინის წესდებას ეცნობოდენ, როგორც ისკრელების ერთად ერთ პროექტს და მას დობლით პირზე იცავდნენ ამხ. მარტოვიცა და ამხ. ტროცკიც". *) მარტოვს ჰქონდა საკუთარი პროგრამა, მაგრამ ყრილობის დროს „მან უკან წაიღო ეს პროგრამა, როგორც უვარგისი".**).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წუთამდე წესდების ლენინის პროექტს იცავდა, საკითხის განხილვის დროს მარტოვმა შესაძლებლად ჩასთვალა ფრონტის გამოცვლა და „ჭაობთან" და ანტი-ისკრელებთან ერთად გამოსვლა ლენინის პროექტის წინააღმდეგ. რასაკვირველია, მარტოვის ეს „ფერისცვალება" იყო გამომჟღავნება იმ ოპორტიუნიზმის, რომელიც მასში იყო ჩანერგილი და რომელმაც ის, ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების მტრების ბანაკში მოაქცია.

„რბილ" ისკრელების ჭაობის და ანტი-ისკრელების მხარეზე გადასვლის გამო წესდების პირველი მუხლი მიღებულ იქნა მარტოვის რედაქციით.

როცა აშკარა შეიქნა, რომ ოპორტიუნისტული ფრთა „რბილ ისკრელების" დახმარებით შესძლებს ყრილობის მუშაობის ჩაყენებას მისთვის სასურველ ფარგლებში, ლენინი შეეცადა მიეღო ზომები, რომ უზრუნველყოფილიყო „ისკრა"-ს მიერ დაწყებულ საქმის სახელოვნად დასრულება.

„ისკრელების ლენინურ ჯგუფს,—სწერს ამხ. ლეპეშინსკი, თავის ბროშურაში „ბოლშევიზმის სათავეებთან,"—სრული უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ მერყევ ისკრელების („პატარა და საშუალო ოპორტიუნისტების" ჩამოუყალიბებელ, მაგრამ ფაქტიურ) დაახლოების წყალობით ბუნდელებთან და რაბოჩედელცებთან („დიდ ოპორტუნისტებთან") ისკრიზმის ბედი ყრილობის შემდეგ ჩაუვარდება ცენტრებში გაბატონებულ ისეთ ელემენტებს, რომლებიც სრულიად არ იქნებოდენ განწყობილი განეგრძოთ „ისკრას" ძველი ხაზი".

ახლად ჩამოყალიბებული პარტიის დასაზღვევად ამ საფრთხისგან ლენინს ცვლილებები შეაქვს წესდების იმ მუხლებში, რომლებიც ცენტრების სტრუქტურას შეეხება. მაგალითად მან მოითხოვა, რომ კოოპტაცია ც. კ. და ცენტრალურ ორგანოს რედაქციაში მომხდარიყო ურთიერთ თანხმობით და სხ. მაგრამ მერყევ ისკრელების გარშემო დარაზმული ოპორტიუნისტების ხმებით ეს შესწორებები უარყოფილ იქნა.

ოპორტიუნიზმი თითქოს გამარჯვებას ზეიმობდა ყრილობაზე.

„ისკრა"-ს მანამდე მთლიანი ორგანიზაციის თანდათანობით ეცლებოდა მერყევი ელემენტები, რომ უზრუნველყოფილიყო „ისკრა"-ს ხაზის შეურყევლად გატარება, ლენინმა და მისმა მომხრეებმა უკანასკნელად სცადეს რბილ ისკრელებთან მორიგება. ისკრელების მეოთხე კერძო თათბირზე, რომელიც წესდების პირველი მუხლის განხილვის შემდეგ შესდგა, გაირჩა ც. კ. პირადი შემადგენლობის საკითხი. მარტოვის მომხრეებთან შეთანხმება არ მოხერხდა, რადგან უკანასკნელები მოითხოვდენ ცეკას ისეთ შემადგენლობას, რომელშიც მტკიცე ისკრელები უმცირესობაში დარჩებოდენ.

„მარტოვის მომხრეების განზრახვა აშკარა და სწორი იყო: ბუნდისტები და რაბოჩედელცები, ეჭვს გარეშეა, მხარს დაუჭერდენ მერყევთა სიას, რადგან ყრილობის მუშაობის ერთი თვის განმავლობაში ყველა კითხვები ისე გამოირკვა, ყველა პიროვნებები ისე აისახა, რომ ყრილობის არცერთ წევრს არ გაუჭირდებოდა აერჩია: რა უკეთესია ან რომელი ბოროტება უფრო ნაკლებია. ბუნდისათვის კი, „რაბოჩეე დელო", რასაკვირველია, მერყევი ისკრელები („Зигзаговые искровцы") ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდენ და ასეთად დარჩებიან". *)

მაგრამ ამ დროს ყრილობაზე მოხდა ერთი ამბავი რომელმაც სრულიად შესცვალა ძალთა განწყობილება. როცა წესდების მიღების შემდეგ დაიწყო ბუნდის წესდების განხილვა, ყრილობამ ერთხმად უარყო ბუნდის პრეტენზია— ეცნოთ იგი ებრაულ პროლეტარიატის ერთად ერთ წარმომადგენლად პარტიაში. პროტესტის ნიშნად „ბუნდმა" დასტოვა ყრილობა. მას მიჰყვენ რაბოჩედელცები, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ ერთად- ერთ პარტიულ ორგანიზაციად საზღვარ- გარედ ყრილობამ იცნო, მხოლოდ რუსეთის რევოლიუციონური სოციალ- დემოკრატიის ლიგა. ამიტომ მერყევმა ისკრელებმა დაჰკარგეს 7 საიმედო მოკავშირე.

ამის შემდეგ მტკიცე ისკრელების გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო (24 ხმა 20-ს წინააღმდეგ).

მერყევი ისკრელები თითქო უნდა დამორჩილებოდნენ „ისკრა"-ს უმრავლესობას, ისე, როგორც ეს უმრავლესობა ემორჩილებოდა „ისკრა"-ს უმცირესობის მიერ „ჭაობის" და ანტი-ისკრელების დახმარებით გაყვანილ დადგენილებებს.

მაგრამ მოლიპულ გზაზე დამდგარმა „მერყევმა ისკრელებმა" ამჯობინეს ბოლომდი დარჩენა ჭაობთან ერთად „ისკრა"-ს რევოლიუციონური პოზიციების წინააღმდეგ.

როდესაც ჯერი ცენტრალურ ორგანიზაციის არჩევნებზე მიდგა, მარტოვმა მოითხოვა „ისკრა"-ს ძველი რედაქციის დამტკიცება. ლენინი მარტოვის ამ ნაბიჯს „სკანდალის პროვოკაციას" უწოდებს, საქმის ვითარების უფრო ახლო გაცნობიდან დავრწმუნდებით, რომ ეს მარტოვის, აქსელროდის, პოტრესოვის დახასიათება არის.

ჯერ კიდევ ყრილობამდე ლენინმა გააფრთხილა მარტოვი და პოტრესოვი, რომ ის ყრილობაზე მოითხოვს ცენტრალურ ორგანოს („ისკრას"-ს) რედაქციის არჩევას. ლენინი ამ შემთხვევაში იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ როგორც „ისკრა"-ს სარედაქციო კოლეგიის (პლეხანოვი, ლენინი, მარტოვი, აქსელროდი, პოტრესოვი, ვერა ზასულიჩი) მუშაობის პრაქტიკამ დაამტკიცა, ასეთი მრავალრიცხოვანი კოლეგია ფაქტიურად შრომის უნარმოკლებული იყო. კოლეგიაში ფაქტიურად მუშაობდნენ პლეხანოვი, ლენინი და მარტოვი. *) მთელ რიგ საკითხებში სარედაქციო კოლეგიის ხმები თანასწორად იყოფოდა და რედაქციის მუშაობა ფერხდებოდა. რომ მომავალში ასეთი მოვლენა არ განმეორებულიყო, ლენინი საჭიროდ თვლიდა სარედაქციო კოლეგიის შემცირებას სამ კაცამდე. ლენინის ამ განზრახვასთან გაცნობილი იყო „ისკრა"-ს მთელი რედაქცია და აგრეთვე ყველა ისკრელები, პოტრესოვმა ლენინთან საუბარში თვით დასახელა მომავალი რედაქციის შემადგენლობა: ლენინი, პლეხანოვი, მარტოვი.

ასეთ პირობებში, ისკრელთა წრეში უკვე გადაწყვეტილ საკითხის გადატანა ყრილობაზე და მოთხოვა ძველი რედაქციის მთელი შემადგენლობის დამტკიცების, ეს მარტოვის მხრივ იყო უფრო მეტი, ვიდრე „სკანდალის პროვოკაცია".

მაგრამ ყრილობამ მაინც მიიღო ლენინის წინადადება და ცეკაში და ცენტრალურ ორგანოს რედაქციაში აირჩია სამ-სამი კაცი. რედაქციაში არჩეულ იქნენ: ლენინი, პლეხანოვი და მარტოვი.

მარტოვმა გადასწყვიტა ბოლომდი წასულიყო განხეთქილების გზით, მან უარი სთქვა რედაქციაში შესვლაზე. მაშინ ყრილობამ დაავალა ცენტრალურ ორგანოს რედაქციის ორ წევრს კოოპტაციის საშუალებით მიეწვიათ მესამე წევრი, „როცა იპოვიდენ შესაფერ პიროვნებას".

რეზოლიუციების მიღების შემდეგ ყრილობა დაიხურა თავმჯდომარის — პლეხანოვის სიტყვით, რომელმაც მოაგონა დელეგატებს ყრილობის დადგენილებათა სავალდებულო ხასიათი.

ასე დასრულდა მეორე ყრილობა, რომელზედაც საფუძველი ჩაეყარა ღრმა უთანხმოებას სოციალ- დემოკრატიის ორ ფრთას შორის— რევოლიუციონურსა და ოპორტიუნისტულს შორის.

ისტორიამ გამოარკვია, თუ ვისი ორგანიზაციული პრინციპები იყო უფრო სწორი ისკრელების უმცირესობის, თუ უმრავლესობის: ბოლშევიკური პარტიის მშენებლობა და გამარჯვება ძველ „ისკრა"-ს ორგანიზაციული პრინციპების სისწორის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს.

ე. წ—ძე.

უმრავლესობის კომიტეტების ბიურო

ზევით (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. ბოგდანოვი, რიკოვი, ლიტვინოვი, ქვევით: ამხ. გუსევი, მენდელშტამი (ლიადოვი), რუმიანცევი. სულ ქვევით შუაში—ამხ. ზემლიაჩკა.

---

*) პ. ა. კრასიკოვის (პავლოვიჩის) „წერილი ამხანაგებს მეორე ყრილობის შესახებ", ლენინი, ტ. V, გვ. 524.

**) „ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან", ლენინის ნაწერების V ტ., გვ. 337—338.

*) ლენინი, „მოთხრობა მეორე ყრილობის შესახებ". «Ленинский сборник», VI, გვ. 229.

*) ამხ. კრასიკოვს (პავლოვიჩს) თავის მოგონებაში: „წერილი ამხანაგებს მეორე ყრილობის შესახებ", შემდეგი ცნობები მოჰყავს სარედაქციო კოლეგიის წევრთა მუშაობაზე: „ისკრა"-ს 45 ნომერში პლეხანოვს მოთავსებული ჰქონდა 24 წერილი, ლენინს—32, მარტოვს—39, პოტრესოვს—8, ზასულიჩს—6, აქსელროდს—4. უკანასკნელი სამიდან არც ერთ წერილს თითქმის არ ჰქონია სახელმძღვანელო ხასიათი.

ნავთის ქალაქი

შოლლარის წყალი, იმ ტიტველს
არე-მარესა,
ყვავილნარებით შემმოსველად
მოვლინებია;
მიდამოს მწირსა, ზე აყენებს
წალკოტის ფერსა;
ქუჩებს მცენარეთ ჩარიგება
დამშვენებია.

—:—

ვისაც უნახავს ძველი ბაქო,
დღეს ველარ იცნობს.
მის სილამაზეს, მშენებლობას,
ზღვაც კი გზას უთმობს,

—:—

დარუბანდის ზღვა, ხან გულმშვიდი,
ხან კი მღელვარე,
ტალღების აღლუმს უმართავს და
ეალერსება.
აქ, მაჯის ცემა არა სცხრება,
სძგერს დღე და ღამე,
მის გაშლილ მკერდზე დანავარდობს
გემების წყება.
აქ, მანქანები გუგუნებენ
მუდამ ზეიმით,
შორით გაისმის საიმედო
მათი ხმაური:
ზოგან ხვრეტავენ დედამიწას
ფოლადის ბურღით,
ზოგან საქაჩავთ არ ასვენებს
აურ-ზაური.

სალ-კლდეს, ურყეველს აქ მკერდს უპობს
პირბასრი ბურღი,
დაუნდობელი მანქანები
მედგრად იბრძვიან,
წყალს თიხა-ნარევს თან ამოსდევს
კლდე დანაბურღი
გმირებმა შრომის, რა არის დაღლა
აქ არ იციან.
ძველი კოშკები მისცემიან
მოსვენებასა,
და ძველის წყობით, ისტორიას
ჩაჰბარებიან
აქ დღეს ტარტალჩოკს ველარ ნახავთ,
ველარც ტარტალსა
ნავთის მეფენიც მუშის სისხლით
ველარ ძღებიან.

—:—

ვისაც უნახავს ძველი ბაქო
დღეს ველარ იცნობს,
მის სილამაზეს, მშენებლობას
ზღვაც კი გზას უთმობს,
ველქი ტალღები უმღერიან
ნავთის სამეფოს;
მას ოცდაექვსის უკვდავება
ამშვენებს, ამკობს.

შაქრო ნავთლუღელი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

შრომის ორდენის სიგელის ტექსტი

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა შრომის ორდენის სიგელის (грамота) ტექსტი, რომელიც მიეცემა იმ პირებს, რომლებიც შრომის ორდენით იქნებიან დაჯილდოვებული.

სამხ. ოსეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა რეორგანიზაცია

სამხრეთ-ოსეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა რეორგანიზაციის საკითხის დასამუშავებლათ საქართველოს ცაკმა გამოყო სპეციალური კომისია ამხ. ვარძიელის (თავმჯდომარე), შ. მათიკაშვილის და ჯატიევის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს საქართველოს ცაკის პრეზიდიუმს თავისი დასკვნები.

1927 წლის 15 ოქტომბრის მანიფესტის გატარება ცხოვრებაში

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი ღონისძიებებისა 1927 წლის 15 ოქტომბრის მანიფესტის გასატარებლად ცხოვრებაში და დაავალა სახ. კომისართა საბჭოს ამ ღონისძიებათა გატარება ცხოვრებაში.

გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაამტკიცა 7 საათის სამუშაო დღის შემოღება 8 ფაბრიკა-ქარხანაში

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა იმ ფაბრიკა-ქარხნების სიის შედგენა, სადაც მომავალ საანგარიშო წლის განმავლობაში შემოღებული უნდა იქნეს 7 საათის სამუშაო დღე, დაამთავრა მუშაობა. კომისიამ შეისწავლა ყველა მასალები წარმოებებისა და ფაბრიკა-ქარხნების მდგომარეობის შესახებ და შესაძლებლად სცნო, რომ მომავალი საოპერაციო წლიდან 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნეს შემდეგ ფაბრიკა-ქარხნებში:

სამტრედიის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ქარხანაში, ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში, საქ. პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბაში, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიაში, თბილისის თუჯის ქარხანაში, თამბაქოს ტრესტის მექანიკურ სახელოსნოში, შრომის ცეცხლ-გამძლე აგურის საკეთებელ ქარხანაში და ტყავეულობის დამამზადებელ ქარხანა № 1-ში (მისი რეკონსტრუქციის შემდეგ).

ყველა ჩამოთვლილ წარმოებებში კომისიის ცნობებით, ამჟამად მუშაობს 1,300 კაცი.

გრძელდება მუშაობა 7 საათის სამუშაო დღის შემოსაღებათ იმ ქარხნებში, რომლებიც ამუშავებული იქნებიან მომავალ (1928—29) სამეურნეო წლის განმავლობაში.

ხორბლეულის დამზადება ამიერ-კავკასიაში

ფართალი და სხვა სამრეწველო საქონელი გლეხობისათვის

ხორბლეულის დამზადება ამიერ-კავკასიაში დავალებული აქვს სას.-სამ. კოოპერაციას: აზერბეიჯანში, „აზერიტიფაკ"-ს, „კეიბირლიკ"-ს, და „ნახკეიბირლიკ"-ს, საქართველოში —„სოფლის კავშირს" და სომხეთში—„აიგიუხკოოპ"-ს.

ხორბლეულის დამზადების გეგმის უზრუნველყოფის მიზნით, ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალის ანგარიშიდან გამოყო 40 ვაგონი ფართალი, რომელიც მთლიანად მოხმარდება ხორბლეულის დამზადების საქმეს. ამ რაოდენობიდან 30 ვაგონი ფართალი უკვე განაწილებულია და გაგზავნილია ხორბლეულის დასამზადებელ რაიონებში. გარდა ფართლისა, ხორბლის დამზადების საქმისათვის გამოყოფილია ტყავეულობა, რკინეული და სხვ. სამრეწველო საქონელი (ღირებული 200,000 მანეთად).

ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში მიღებული ცნობების თანახმად, აზერბეიჯანის ხორბლეულის დასამზადებელ რაიონებში ფართალზე არ არის დიდი მოთხოვნილება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ აბრეშუმის პარკის, ბამბის და მატყლის დამზადების კამპანიების დროს რაიონებში შეზიდული და გასაღებული იქნა დიდძალი ფართალი.

ვაჭრობის კომისარიატში მიღებულ წინასწარი ცნობების თანახმად, ხორბლეულის დამზადების პირველი 20 დღის განმავლობაში აზერბეიჯანში დაუმზადებიათ 120,000 ფუთი ხორბალი და ქერი.

ტრაქტორების შემოზიდვის 5 წლიანი გეგმა

საქართველოს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა შეიმუშავა საქართველოში ტრაქტორების შემოზიდვის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია, თუ რომელ მაზრაში რამდენი ტრაქტორი უნდა იქნას შეტანილი ყოველ წლიურად. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის გამოკვლევით, 1928 წლის 15 ივლისისთვის საქართველოში იყო 2243 ტრაქტორი. გეგმის თანახმად, 1928—29 წლის განმავლობაში შემოზიდული იქნება —125, 1929—30 წელში 128, 1930—31 წელში 160, 1931—32 წ. 160 და 1932—33 წელ.— 160 ტრაქტორი. ამრიგათ, 1932— 33 წლის დამლევისათვის საქართველოში სულ იქნება 937 ტრაქტორი. ტრაქტორების შემოზიდვის პერსპექტიული გეგმა დასამტკიცებლად გადაეცა საქართველოს სახ. კომისართა საბჭო.

ფლორიდინის დამუშავების დაჩქარება

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე ფლორიდინის მადნის (ნავთის საწმენდი თიხის) დამუშავების საკითხებზე მოსმენილ იქნა პროფ. ა. თვალჭრელიძის მოხსენება. მოხსენების გამო პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალ. ქუთაისში დაწყებულ იქნეს ფლორიდინის დასამუშავებელი დროებითი ქარხნის მოწყობა, რომელიც იმუშავებს ფლორიდინის ახალი ქარხნის აგების დამთავრებამდე. ფლორიდინის დროებითი ქარხნის ასაგები ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 28.000 მან. რაოდენობით. თანხის გამონახვა და სამუშაოების სასწრაფოდ დაწყება დაევალა სამთო მრეწველობის ტრესტს.

ამასთანავე გადაწყვეტილია წინადადება მიეცეს ქუთაისის აღმასკომს, რომ სასწრაფოდ გამოძებნოს დროებითი ქარხნის მოსაწყობათ შესაფერისი შენობა ქუთაისის ბარიტის ქარხნის მახლობლათ.

წყალთა მეურნეობის სამუშაოები

წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაამუშავა 1928—29 საანგარიშო წლის საოპერაციო გეგმა. სულ ერთი წლის განმავლობაში წყალთა მეურნეობის დარგში დასახულ სამუშაოთა შესასრულებლათ გადადებული იქნება 5,130.000 მანეთი.

ამ თანხიდან საკავშირო ბიუჯეტიდან გადადებული იქნება 3,440.000 მან., ხოლო ამ.-კავ. ბიუჯეტიდან — 1,690.000 მან. ზოგიერთი ველების გამოკვლევების ჩასატარებლათ გადადებული იქნება 87.000 მან., ხოლო წვრილმან გამოკვლევებისათვის — 55,000 მანეთი.

სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევებისათვის (ჰიდრომეტრიული გამოკვლევები, ჰიდრომოდულის გამონაგარიშება და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები) გადადებული იქნება 140 ათასი მანეთი. სამელიორაციო კრედიტის ფონდის გასაძლიერებლად გათვალისწინებულია 700,000 მანეთის გადადება.

მსხვილ აღმშენებლობის ჩასატარებლათ ნავარაუდევია 1,865.000 მან. გადადება, ხოლო წვრილმან სამუშაოების შესასრულებლათ 385.000 მან. წვრილმან სამუშაოთა გეგმაში შედის ალაზან გაღმა დასახლებული ადგილების ამოსაშრობი სამუშაოები, მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელ ნაგებობათა აგება და სხვ.

წყალთა მეურნეობის სამმართველომ აღნიშნული საოპერაციო გეგმა დასამტკიცებლად წარადგინა უმაღლეს ორგანოებში.

ქრონიკა

მისალმება საქ. კომპარტიის ცეკას

ხულოს მაზრიდან საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სახელზე მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

მრავალრიცხოვანი საზეიმო მიტინგი, რომელიც გაიმართა ხულოს მაზრაში პარტიულებისა, კომკავშირელების და არჩეულ უპარტიო მუშა - მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის ჩადრის ახდის გამო მხურვალედ გესალმებათ თქვენ. დღეს ხულოს კომორგანიზაციამ დაამტკიცა თავისი ერთგულება პარტიისადმი და ის, რომ მან შეიგნო კულტურული რევოლუციის ამოცანები, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროა აჭარისტანისათვის. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს ჩადრახდილ თავისუფალ აჭარელ დედას!

მიტინგის პრეზიდიუმი.

—:—

მაქსიმ გორკის გამგზავრება

გუშინ დილით თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა **მაქსიმ გორკი.** ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ მაქსიმ გორკი გააცილა კავკავამდე. მაქსიმ გორკისთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა რუსეთის სახელგამის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ხალატოვი.

შავი ზღვის რკინისგზა დამთავრებული იქნება

მოსკოვიდან მიღებულ ცნობებით, გზათა სახალხო კომისარიატმა დაადგინა შავი ზღვის რკინისგზა დამთავრებული იქნეს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. 1928—29 წლის სამუშაოებისათვის გადადებულია 3 მილ. მანეთი.

ტყეების მოწყობის შედეგები

მიწათ-მოქმედების კომისარიატის ცნობით, ამჟამად ტყეების მოსაწყობი სამუშაოები მიმდინარეობს ბორჩალოს, გორის, თელავის და ახალციხის მაზრებში.

ბორჩალოს მაზრაში 8 მაისიდან 10 ივლისამდე დასრულდა 3.160 ჰექტარი ტყის მოწყობა. გორის მაზრაში დაგეგმილია—3.000 ჰექტარი, თელავის—900 ჰექტარი და ახალციხის მაზრაში 3.500 ჰექტარი.

ახალი კოლმეურნეობების მოწყობა

მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით, კახეთის მევენახეობის რაიონებში უკანასკნელ ხანებში დაარსებულია 6 ახალი კოლექტიური მეურნეობა. აქედან ოთხი ქალთა კოლმეურნეობაა.

ფართალი სამკერვალო მრეწველობისა და სახ. ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებისათვის

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) დადგენილებით საქართველოს სამკერვალო მრეწველობას მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში მიეცემა 190.000 მან. ბამბეული ფართალი და 140.000 მან. შალის ქსოვილები, ხოლო სახ. ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებს—60.000 მან. ბამბეული ფართალი და 105.000 მან. შალის ქსოვილები.

ამერიკელი ტურისტების ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკელი ტურისტები—ალბერტ ჯონსონი და ლუი სილვესტრო. მათ უკვე შემოუვლიათ ევროპის ყველა ქვეყნები.

საქართველოდან ტურისტები მიემგზავრებიან თურქეთში და შემდეგ შემოივლიან აზიის ყველა ქვეყნებს.

თბ. აღმასკომში

◆ **ახალი ტარიფი ელექტრო-ენერგიაზე.** თბილისის ელექტრო-მოწყობილობათა სამმართველო შეუდგა ახალი ტარიფის გამოუშავებას ზაჰესის ენერგიაზე.

◆ **ბაღების მორწყვა.** აღმასკომის საგეგმო კომისიამ შეადგინა ორთაჭალის ბაღების მორწყვის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება თბილისის საბჭოს პრეზიდიუმს.

◆ **განაპირა უბნების დაგეგმვა.** კომუნალური განყოფილების ცნობით, ქალაქის განაპირა უბნების დაგეგმვა ახლო ხანში დამთავრდება.

◆ **კოოპერატიული ვაჭრობის გასაძლიერებლათ.** აღმასკომთან არსებული ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია შეუდგა თბილისის ბაზრის გამოკვლევას, რის შემდეგ შედგენილი იქნება ახალი კოოპერატიული სავაჭროების გახსნის გეგმა.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **მიწვევა საერთაშორისო სტუბერკულიოზო ყრილობაზე.** ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღო მიწვევა საერთაშორისო ანტიტუბერკულიოზო ყრილობაზე დასასწრებლათ. ყრილობა გაიხსნება 25 სექტემბერს ქ. რომში (იტალია). ყრილობაზე საქართველოდან იგზავნება სახ. უნივერსიტეტის წარმომადგენელი დოც. აბაკელია და რკ. გზის ტუბდისპანსერის წარმომადგენელი ექ. დავითიანი.

◆ **ქლექის სამდღიური.** ქლექის სამდღიურის ჩასატარებლათ არჩეულია კომისია, რომელშიაც შედიან პროფკავშირების, თბ. აღმასკომის, დისპანსერების და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები.

ს.მ.უ. საბჭოში

◆ **ფეიქრების მომზადება.** ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შემოდგომაზე საბჭოთა კავშირის საფეიქრო ქარხნებში მოსამზადებლათ გაგზავნოს ახალი ჯგუფი—70 კაცის შემადგენლობით. გასაგზავნი კანდიდატების სიას წარმოადგენენ პროფესიონალური კავშირები.

◆ **5 წლიანი პერსპექტიული გეგმების განხილვაში** მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში იგზავნება ს.მ.უ.ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილების უფროსი ინჟ. ი. ერზიკიანი.

სხვადასხვა

◆ **მუშაობა ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ.** წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებული ცნობებით, პროფ. ფლოროვი ჩავიდა ფოთში და შეუდგა ჭაობების ამოსაშრობ სამუშაოთა ხელმძღვანელობას.

◆ **მესაქონლეობის კოლექტივის მოწყობა.** „სოფლის კავშირის" ინიციატივით ბაკურიანში მოეწყო ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის მესაქონლეთა კოლექტივი.

◆ **აფთიაქის მოწაფეობის ლიკვიდაცია.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა, რომ აფთიაქის მოწაფეობის სალიკვიდაციო კურსების იმ მსმენელთ, რომლებიც ჩაიჭრენ ერთ საგანში ხელახალი გამოცდები დაენიშნოს 1-ლ ოქტომბერს. იანვრის პირველ რიცხვებში დანიშნულ იქნება გამოცდები ორ საგანში ჩაჭრილთათვის, ხოლო მრავალ საგნებში ჩაჭრილთათვის ხელახალ გამოსაცდელ ვადათ დანიშნულია 1929 წლის მაისი.

◆ **აგრონომიული თათბირი.** სოფ. რუისპირში (კახეთის მაზრა), შესდგა აგრონომიული თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა ღონისძიებები საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩასატარებლათ.

◆ **დასასვენებელი დღე.** შრომის კომისარიატის დადგენილებით 20 აგვისტო გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში

◆ დღეს, 29 ივლისს, პროლეტ. დრამატიულ სახელოსნოს კოლექტივის მიერ „ტყავტრესტი"-ს კლუბში დ. კობახიძის ხელმძღვანელობით გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო. ხვალ, 30 ივლისს, ასეთივე საღამო გაიმართება ორჯონიკიძის სახ. კლუბში.

◆ **დიდი საღამო.** დღეს, საღამოს 9 საათზე ხელოვნების მუშაკთა კავშირის კლუბში გაიმართება დიდი საღამო სახ. აკადემიური დრამის მსახიობების **ნ. გოცირიძის; გ. დავითაშვილის; აკ. ვასაძის; მ. აფხაიძის; მუავიას; გოძიაშვილის** და აგრეთვე სახ. ოპერისა და ბალეტის არტისტების მონაწილეობით.

◆ ორშაბათს, 30 ივლ. ამავე კლუბში გაიმართება დიდი კონცერტი სახ. ოპერის და ბალეტის არტისტების მონაწილეობით.

მოსავლის აკრეფა დაიწყო

მიწადმოქმედების კომისარიატში მიღებულია ცნობები, რომ მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გაცხარებული ტემპით სწარმოებს პურისა და ქერის მოსავლის მოკრეფა.

კახეთში დაწყებულია პურის ლეწვა. პურის მკისა და ლეწვის სეზონი დამთავრდება ორი კვირის შემდეგ. პურის დამზადებას აწარმოებენ საკრედიტო ამხანაგობები. კახეთში საგრძნობია მოსავლის ასაკრეფი და სალეწი მანქანების სიმცირე.

სიმინდის ნათესების სივრცე წელს საგრძნობლადაა გაფართოებული. სიმინდის მოსავალს ყველგან დამაკმაყოფილებელი პირი უჩანს. განსაკუთრებით კარგია ჯიშიანი ბალახების მოსავალი საცდელ ნაკვეთებზე.

საზამთროს მოსავალი ყველგან კარგია. მოსავლის აკრეფა ყველგან დაწყებულია და ყოველდღიურად იგზავნება ამ.-კავ. სხვადასხვა ქალაქებში საზამთროს დიდი პარტიები.

ვენახების მდგომარეობა ყველგან კარგია. ყურძნის მოსავალი საშუალოზე უკეთესი იქნება. დამაკმაყოფილებელია აგრეთვე ბამბის ნათესების მდგომარეობაც.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

(ა.-კ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს მასალებიდან)

ივლისის პირველი ნახევარის ამინდი ხასიათდებოდა დაბალი ტემპერატურით; ამასთანავე ყველაზე ძლიერ გადახვევას ნორმისაგან ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში, როდესაც სითბოს ნაკლებობა 5—7 გრ. უდრიდა. საერთოდ სითბოს ნაკლებობა აზერბეიჯანში, სომხეთში და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში გაცილებით უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე ივნისის მეორე ნახევარში.

ნალექის რაოდენობაც არ იყო საკმარისი. განსაკუთრებით ცოტა იყო ნალექი აჭარისტანში, სიღნაღის მაზრის დაბლობ რაიონში და შორაპნის მაზრის ნაწილში; ძლიერი გვალვა იყო სამხრეთ-ოსეთში და მთელს გორის მაზრაში.

მთავარი პურეულის მდგომარეობა 15 ივლისისათვის შემდეგ სურათს იძლევა: აზერბეიჯანში—შემოდგომის პურეული—3,5 ნიშანი გაზაფხულის—3,1; შემოდგომის ქერი—3,5, გაზაფხულის—3,5; ვენახები—3;6; ხილის ბაღები„—3,1 ბამბა—3,4.

სომხეთში: შემოდგომის პურელი—3,1; გაზაფხულის—3,5 შემოდგომის ქერი—2,6; გაზაფხულის—3,7; ვენახები—3,6; ხილის ბაღები—2,4; ბამბა—3,4 თამბაქო—3;0.

საქართველოში: შემოდგომის პურეული—3,3, გაზაფხულის—3,1; შემოდგომის ქერი—3,2 გაზაფხულის—3;2; სიმინდი—3,7, ვენახები—3,5; ხილის ბაღები—2;7, ბამბა—3,1; თამბაქო—2,6.

აზერბეიჯანში: შემოდგომის პურეული და შემოდგომის ქერი გაუარესდა 2,8 ნიშანით გაზაფხულის პურეული და გაზაფხულის ქერი გაუმჯობესდა 2,9 ნიშანით.

სომხეთში—შემოდგომის პურეულის და ქერის მდგომარეობა მტკიცეა, გაზაფხულის ქერი გაუმჯობესდა 5,7 ნიშანით.

საქართველოში—შემოდგომის პურეული გაუმჯობესდა 3,1, გაზაფხულის პურეული—3,3; სიმინდი—2,8 ნიშანით; გაუარესდა შემოდგომის ქერის მდგომარეობა 3,9 ნიშანით.

აზერბეიჯანში ბამბის ნათესების მდგომარეობა მტკიცეა პირველ ივლისთან შედარებით და 0,4 ნიშნით უკეთესია შარშანდელთან შედარებით.

სომხეთში ბამბის ნათესების მდგომარეობა მტკიცეა 1-ლ ივლისთან შედარებით და 0,1 ნიშნით უარესია შარშანდელთან შედარებით

საქართველოში ბამბის ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესდა 0,1 ნიშნით.

რაც შეეხება ვენახებს და ხილის ბაღებს აზერბეიჯანში ვენახები გაუმჯობესდა 0,1 ნიშნით, ხილის ბაღების მდგომარეობა მტკიცეა; სომხეთში—ვენახების მდგომარეობა მტკიცეა, ხილის ბაღები გაუმჯობესდა 0,1 ნიშნით; საქართველოში—ვენახების და ხილის ბაღების მდგომარეობა მტკიცეა.

საერთოდ, ნათესების მდგომარეობა 15 ივლისისათვის საშუალოზე უკეთესია.

მდგომარეობა სამრეწველო და სას.-სამ საქონლის ბაზარზე

ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ა. კ. ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

წლიური გეგმის თანახმად, მიმდინარე წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში უნდა შემოზიდულიყო 133 მილიონ მანეთის სხვადასხვა საქონელი. ფაქტიურათ კი შემოზიდულია მხოლოთ 117 მილიონ მანეთის საქონელი. ასე, რომ შემოზიდვის გეგმა შესრულებულია მხოლოთ 88,2 პროცენტით. გეგმის თანახმად უნდა შემოზიდულიყო 90 მილიონ მანეთის სამრეწველო საქონელი, ფაქტიურათ კი შემოზიდულია მხოლოთ 62,6 მილიონ მანეთის.

სამრეწველო საქონლის ასე მცირე რაოდენობით შემოზიდვის გამო ბაზარზე ადგილი ქონდა გართულებას, რაც უფრო შესამჩნევი ხდებოდა ფართლეულობის, რკინის და ტყავეულობის ბაზარზე. საანგარიშო პერიოდში ბაზარი სავსებით დაკმაყოფილებული იყო შაქრით.

მიმდინარე წლის 3 კვარტალის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოზიდულია 22 მილიონ მანეთის ხორბლეული (343.000 ტონა); აქედან საქართველოში შემოზიდულია 8,6 მილიონ მანეთის (94.000 ტონა), აზერბეიჯანში — 10,7 მილიონ მანეთის (117000 ტონა) და სომხეთში — 2,9 მილიონ მანეთის (31.000 ტონა) ხორბლეული.

სასოფლო მეურნეობის ნედლეული საანგარიშო პერიოდში დამზადებულია 10 პროცენტით მეტი ვიდრე გასული წლის ამავე სამი კვარტალის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში დამზადებულია 62.700.000 მანეთის ნედლეული. აქედან აზერბეიჯანში დამზადებულია — 34.400.000 მან., საქართველოში — 21.700.000 მან. და სომხეთში — 6.600.000 მანეთის ნედლეული.

წელს დამზადებულია 111.000 ფუთი მატყლი, გასულ წელს კი დამზადებული იყო მხოლოთ 94.000 ფუთი. მოუსავლიანობის გამო წელს თამბაქო დამზადებულია მხოლოთ 567.000 ფუთის რაოდენობით, გასულ წელს კი დამზადებული იქნა—733.000 ფუთი. თამბაქოს დამზადების შემცირება აიხსნება გასული წლის დაბალი მოსავლიანობით.

გასული ივნისის განმავლობაში სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვა (70 ორგანიზაციაში) უდრიდა 15.200.000 მან აქედან საქართველოში—6,1 მილიონ მან., აზერბეიჯანში—7,7 მილიონ მან. და სომხეთში—1,4 მილიონ მანეთს. ცალობით მოვაჭრე კერძო ვაჭრების ხვედრითი წონა საანგარიშო პერიოდში შემცირდა 25 პროცენტით.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. რადიონოვმა, ა. საკიანმა, მერკუროვმა, ტერ-არაქელიანმა, ოგანეზოვმა და სხ..

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარი, ამხ. ბეკზადიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ვაჭრობის მომწესრიგებელ ორგანოების მთავარ ამოცანას ამჟამად შეადგენს სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების ბაზრის მოწესრიგება. ამხ. ბეკზადიანმა განაცხადა, რომ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასებს ამჟამად ემჩნევა ზრდის ტენდენცია, რაც აიხსნება იმით, რომ ამ საქონლის ბაზარზე ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობს კერძო ვაჭრობა, ხოლო სას. სამ. კოოპერაციის საქმიანობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ გაშლილი.

ამხ. ბეკზადიანი შეეხო გამომცხვარი პურის ხარისხსაც და აღნიშნა, რომ კოოპერაცია (მუშკოოპი) ვალდებულია მიიღოს გადამჭრელი ზომები და მთლიანათ განახორციელოს მასზე დავალებული პურის ცხობა-რეალიზაციის საქმე. კოოპერაციამ ამ საქმეს სრულიათ უნდა ჩამოაშოროს კერძო მოიჯარადრენი, რომლებიც ანგარების მიზნით ხელოვნურათ ქმნიან გართულებას.

მოხსენების გარშემო ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

სასამართლო

ხულიგანი

პავლე ტერენტისძე ნიხირიშვილი მოქეიფე ბიჭია.

ამას წინად კარგა მაგრათ გამოთვრა სასადილო „ზაჰესში".

ქეიფის დასრულების შემდეგ ღვინითა და კონიაკით გაბრუებული ნიხირიშვილი ფორთხივით გამოვიდა ქუჩაში. მიდიოდა და მიიმღეროდა.:

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!"..

როცა სიმღერა დაამთავრა ნიხირიშვილი მივიდა მეეტლესთან და უთხრა:

— აბა გასწი! მოსკოვის ქუჩისაკენ.

— არა მცალია,—მიუგო მეეტლემ.

— ჩემთვის არ გცალია, მე შენ გიჩვენებ სეირს,—ღრიალებს ხულიგანი.

როცა მეეტლემ ეტლის წაყვანა დააპირა ნიხირიშვილმა სამჯერ მაგარი სილა გააწნა მას.

შეიქნა ყვირილი. მოცვივდნენ მოქალაქეები გაჩნდა მილიცია და მეეზოვე.

ნიხირიშვილი არ წყნარდება და წამდაუწუმ ივინება უშვერი სიტყვებით.

მივარდება ვიღაც მოქალაქესთან, გამოკრავს კვანტს და ცხვირით დაუშვებს მიწაზე.

დიდის ვაი-ვაგლახით მიიყვანეს კომისარიატში. მაგრამ აქ მას გაუფუჭდა „ვაჟკაცობა".

— არაფერი მახსოვს, ყველაფერი ბახუსის ბრალია,—ატკიცებდა ნიხირიშვილი.

ნიხირიშვილის „არგუმენტი" არ მიიღეს მხედველობაში და მოჩხუბარი ბიჭი ერთი თვით გაგზავნეს საპატიმროში.

—:—

„სამნი ძმანნი"

ლენინის რაიონის ხიდთან საღამო ჟამს არჩიპ თოთაძე აცილებს თავის ნათესავ ქალს.

ირგვლივ სიწყნარეა. კანტი-კუნტად მოისმის აჩქარებული ფეხის ხმა.

როცა ნათესავებმა გაიარეს საკმაო მანძილი უეცრად მოესმათ ხმაურობა.

მოპირდაპირე მიმართულებით მოდის მხიარული კამპანია: ივანე რაჟდენისძე ცხვიტარიძე, და უნცროსი მილიციელები—ერმილე მარკოზისძე დოლიძე და ილია გიორგაძე.

ღვინით გალეშილი „ძმა-ბიჭები" დაუახლოვდნენ თოთაძეს და დაუწყეს ლანძღვა. უწმაწური სიტყვებით შეამკეს თოთაძის ნათესავი ქალიც.

თოთაძე წინადადებას აძლევს მათ დაანებონ თავი, მაგრამ „სამნი ძმანნი" განაგრძობენ ღრიალს:

— „ჩვენ სხვას ვაპატიმრებთ, ჩვენ დაპატიმრებას ვინ გაბედავს".

მაგრამ გამოჩნდა მილიციელები. რომლებმაც მოჩხუბარი ხალხს ჰკადრეს დაპატიმრება.

ცხვიტარიძეს ადმინისტრატიული წესით მიესაჯა ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა. ხოლო დოლიძეს და გიორგაძეს კი ორი კვირით.

„მოჭიდავე"

ნიკიფორე ვოსტრიკოვი მკლავ მაგარი ბიჭია. უყვარს ღვინო და ქუჩაში დებოშის მოხდენა. ბოლო დროს კი „ჭიდაობასაც" მიჰყო ხელი.

26 ივლისს, ღამით, იდგა კარლ მარქსის სახელობის მოედანზე და ღრიალებდა:

ვინ ხართ ვაჟკაცი, გამოდით მეჭიდეთ.

ვერავინ გაბედა ჭიდაობა.

— შეჩერდი მოქალაქევ, სად ყოფილხარ სად მიიჩქარებ?

— რა შენი საქმეა, სადაც დათვერი იქ მოინელე,— მიუგო მოქალაქემ.

— აბა გამოდი მეჭიდე, თუ ხარ მკლავ მაგარი,—ეუბნება ვოსტრიკოვი.

ზრახზმორეული მოქალაქე დაეთანხმა ჭიდაობაზე. 5 წუთის განმავლობაში მოქალაქემ დასცა ვოსტრიკოვი.

გაბრაზდა „მოჭიდავე". ფრანგულ ჭიდაობაში გამოიწვია მოქალაქე. უკანასკნელისაგან უარი რომ მიიღო, სილა გააწნა მას.

„შეურაცყოფილი" ფალავანი ერთი თვით მოათავსეს საპატიმროში.

— : —

გარყვნილების ბუდე

გიორგი და ლევან ბაგრატისძე ხერიანოვებმა ამას წინად იჯარით აიღეს სასტუმრო „ბაქო".

მათ სასტუმროში მოაწყვეს გარყვნილების ბუდე.

სისხლის სამართლის მილიციამ მიაგნო გარყვნილების ბუდეს და ორივე დააპატიმრა.

საქმე მალე გაირჩევა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

თ.

პროფკავშირებში

შრომის სასამართლოს დროებითი სესია

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს შუამდგომლობით, თანახმად თბილისის აღმასკომმა დაგროვებულ შრომის საქმეების დაჩქარებით ლიკვიდაციისათვის მიზანშეწონილათ სცნო შრომის სასამართლოს მე-3 სესიის მოწვევა ერთი თვის ვადით.

ფეიქართა კავშირის ყრილობა

ფეიქართა კავშირის სრულიად საქართველოს მე-8 ყრილობა მოწვეული იქნება ა.-წ სექტემბრის 15-ს.

საშუამავლო ბიურო სენაკის მაზრაში

სენაკის სამაზრო პროფბიურომ საჭიროთ სცნო სენაკის მაზრაში საშუამავლო ბიუროს მოწყობა, რისთვისაც აღძრა საკითხი შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე ჯამაგირიანი რწმუნებულის გამოყოფის შესახებ.

აგრონომიული კურსების მოწყობა

მიწა-ტყის მუშაკთა კავშ. ც. გ. შუამდგომლობა აღძრა განსახკომის წინაშე, რათა მოაწყოს აგრონომიული კურსები.

შრომის გმირები

სიღნაღის სამაზრო პროფბიურომ სშ.კ.ს. წინაშე აღძრა შუამდგომლობა მუშა კოტე ჯოხაძის შრომის გმირად დამტკიცების შესახებ.

მეღვინეთა კავშირმა შრომის გმირის სახელწოდების მისანიჭებლად წამოაყენა ამხ. კასრაძე.

აჭარპროფსაბჭომ მორიგ პლენუმზე საჭიროდ სცნო ექიმ ფენსტერის და ავთანდილოვის შრომის გმირებად წამოყენება.

ნაფარეულის სახ. მამულის ახალი მმართველი

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ც. გ. ნაფარეულის სახ. მამულის მმართველად წამოაყენა წინანდალის სახ. მამულის მუშა ამხ. ზატიკაშვილი, ხოლო მის მოადგილეთ სპეციალისტი ტაბიძე.

ვის ჩამოერთმევა სახლები

გონჩაროვს (ახალციხის ქ. № 5), კურცხალის და ჩხეიძეს (ყაზბეგის ჩიხი № 1), ესტატე და იოსებ ჭინჭარაძეს და ილარიონ ჯავახიშვილს (მცირიშვილის ქ. № 25), ავეტისოვს, ჯანდიერს, ნაჭყებიას და კუმუხიძეს (ბესიკის და ყიფიანის ქ. №17—8), სოკაევს და ბეჟანაშვილს (გოგებაშვილის ქ. № 30), ირაკლი ბაკურაძეს და სხვებს (ვახუშტის ქ. №39), ტერპოღოსოვს და კოკაიას (გორის ქ. № 13), ფილდ. და მის ჭაჭუკიანებს (ნიკოლაძის პირველი ჩიხი № 12), ივანე ზორინს (ნიკოლაძის პირველი ჩიხი №14), აშხენ ზახაროვს (ატენის ქ. № 13), ანასტასია ლოსიევას (ლომინაძის და გურამიშვილის ქ. №№20—2), კონსტანტინე ნაილენოვს (შიო-მღვიმელის შესახვევი № 4), ლუნკევიჩებს (კრილოვის ქ. № 6), ევგენია მარსოვას (კობის ქ. № 13), ცალქალამანიძეს (ლომინაძის ქ. № 4), გერასიმე შაკიევს (ბორჯომის ქ. № 6), გორდეზიანს (ძნელაძის ქ. № 9), ვანციანს (კამოს ქ. №95), ანა ჯორჯიკიას (ლომინაძის ქ. № 9), ელისაბედ ასპისოვს (ლერსის ქ. № 15) აბრამ კიკაზიშვილს (ახოსპირელის ქ. № 5), ეკატერინე მამაცაშვილს (ზურაბიშვილის ქ. № 21).

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინ, დილით, თავის მოწამვლის მიზნით იოდი დალია კლარა არსენის ასულმა ასილაგამ (მცხ. კომინტერნის ქ. 3), ასილაგა სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი ირკვევა.

თავდამსხმელთა დაპატიმრება

ამას წინად ვიღაც ბოროტმოქმედნი სოფ ჭრებალოს (რაჭის მაზრა) მახლობლად თავს დაესხნენ ავტომობილით მიმავალ მგზავრებს.

თავდამსხმელებმა მგზავრებს სიკვდილის მუქარით წაართვეს 156 მანეთი და მიიმალნენ.

ამ დღეებში მილიციამ ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: გრიგოლ სუთიძე და აკაკი პეტრიაშვილი.

გამოირკვა, რომ თავდასხმაში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე გენადი აბუსერიძე რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად მოჰკლეს დაპატიმრების დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის.

ჯიბგირების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ალი უსუფ ჩადი-ოღლი, მიხეილ მარტიროსიძე ეგიაროვი და კარაპეტ ლუკასძე შკოდკინი, რომლებსაც ბრალდებათ ჯიბგირობა.

ქურდობა

კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს კარაპეტ კარაპეტოვის ბინა (პეროვის ქ. 16) წაიღეს 100 მანეთის ნივთები.—გაქურდეს როზა ეგიევას ბინა (ქართული ქ. 29), მოპარულია 100 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა.—ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ნიკოლოზ ჯოკიშვილის ბინა (საბჭოთა ქ.) წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

გარდა ამისა, 27 ივლისს ქალაქში აღრიცხული იყო წვრილი ქურდობის ოთხი შემთხვევა.

—:—

ბოროტმოქმედებანი მარტვილის თემში

ახალ-სენაკი, 27 ივლისი. საბოლოოდ გამოირკვა ბოროტმოქმედებანი, რომელსაც სჩადიოდნენ მარტვილის თემის პასუხისმგებელი მუშაკები — თემკომის თავმჯდომარე **ნიკო შამათავა**, ფინმუშაკი **გოგინავა** და ხე-ტყის სახერხი ქარხნის გამგე **ხუროძე**.

მიმდინარე წელს მარტვილის თემში ჩატარდა თვითდაბეგვრა. ნორმა 5.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც განსაზღვრული იყო სამაზრო აღმასკომის მიერ, შამათავამ თავისნებით გაადიდა 11.296 მანეთამდე. მიუხედავათ იმისა, რომ მოსახლეობა სტიქიური უბედურების გამო განიცდიდა მძიმე ეკონომიურ კრიზისს, აღნიშნულ თანხის სასწრაფოდ შესაკრებათ გამოყენებულ იქნა ყველა ადგილობრივი ძალები. შეკრებილ იქნა 5.000 მანეთი. ამ თანხიდან თემაღმასკომის თავმჯდომარის ჯიბეში ჩავიდა 1.200 მანეთი.

ფინმუშაკი გოგინავა ერთი მთავარი დამხმარე იყო შამათავასი. ის ითვისებდა იმ თანხებს, რომლებიც გლეხებს შეჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით. გოგინავამ მიითვისა ბაზარში აკრეფილი ფული 340 მანეთი. ის ადგენდა ყალბ საბუთებს, უთავბოლოთ მიჰყავდა ბუღალტერია, ითვისებდა აგრეთვე, იმ თანხებსაც, რომლებიც პენსიის სახით იგზავნებოდა ინვალიდებისათვის დასარიგებლათ.

ხე-ტყის სახერხი ქარხნის გამგემ ხუროძემ გაფლანგა 1.577 მანეთი. გოგინავა და ხუროძე მიცემული არიან პასუხისგებაში. შამათავამ თავი მოიკლა. (ადს).

საკავშირო სპარტაკიადის წინ

სპარტაკიადაზე მონაწილეობას მიიღებს 4.500 კაცი

სპარტაკიადაზე უცხოელების გარდა მონაწილეობას მიიღებს 4.567 კაცი. ფეხბურთში ჩაწერილია 248 კაცი, კალათბურთში—223, ტენისში—231, მსუბუქი ძლეოსნობა—921, სროლა—240, ცურვა—585; აკადემიური ცურვა (ნიჩბების ხმარება) და ველოსიპედი—268 თვითეულში, ვოლეიბოლი—120 მოტოციკლი—171, ჭიდაობა—135, სხვადასხვა თამაშობანი—172, ფარიკაობა—131, გიმნასტიკა—155; სპარტაკიადის საჩვენებელი ნაწილი—182, „გოროდკი"—70, განდბოლი—56; ხელბურთი—82, ბეისბოლი—18, რბენა ხელოვნური დაბრკოლებებით—60, კრივი—76; ნაციონალური ჭიდაობა—70 და სხვა.

საკავშირო მოტო-ველო გადარბენა

წელს საკავშირო მოტო-ველო გადარბენაში მონაწილეობას მიიღებს 800 ველოსიპედისტი და მოტოციკლისტი—საბჭოთა კავშირის 25 ქალაქის წარმომადგენელი.

მოსკოვისა და ლენინგრადის გარდა გადარბენაში მონაწილეობას მიიღებენ ხარკოვის, ყაზანის, მინსკის, ვიატკის, ასტრახანის; ორენბურგის; კიევის; ულიანოვსკის; სამარის; სტალინგრადის, სარატოვის, ტვერის; ნიჟნი-ნოვგოროდის, ვლადიმირის და სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

ველოსიპედისტებისათვის პირველი სტარტი უკვე გაიმართა ჩერეპოვეცში, საიდანაც მათ უნდა გაიარონ 3.000 კილომეტრი. ამას გარდა, მოსკოვისაკენ გავიდენ პრივოლჟიეს ველოსიპედისტები.

ფიზკულტურის მიღწევების გამოფენა

სპარტაკიადის განმავლობაში მოსკოვში მოწყობილი იქნება ფიზკულტურის მიღწევების გამოფენა, რომელსაც ექნება შემდეგი განყოფილებანი: საერთაშორისო კავშირი, საზამთრო სპორტი, ფიზკულტურული მშენებლობა, წყალის სპორტი, მოტო-ველო სექცია. მსუბუქი ძლეოსნობის სექცია, მძლეოსნობის სექცია, სპორტ-თამაშობანი, პროგრამულ-მეთოდოლოგიური განყოფილება, ცივი იარაღის ხმარება, საექიმო-საკონტროლო სექცია, ჭადრაკი, შაში და სროლა.

ავსტრიელი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირში

ივლისის პირველ რიცხვებში მოსკოვში ჩამოვიდა ქვემო ავსტრიის მუშა-ფეხბურთელების ნაკრები გუნდი, რომელმაც შარშან ავსტრიაში შეჯიბრება მოუგო საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს.

ავსტრიელების პირველი მატჩი მოსკოვის ნაკრებ გუნდთან დამთავრდა სტუმრების სასტიკი დამარცხებით 6:1. ამ დამარცხებას ავსტრიელები ხსნიდენ ცუდი ამინდით (თამაშის დროს წვიმა მოდიოდა).

მეორეთ ავსტრიელები შეხვდენ რუსეთის ნაკრებ გუნდს. ამ შეჯიბრებაში მათ უფრო ძლიერი შემადგენლობა გამოიყვანეს და შედეგსაც უკეთეს მიაღწიეს—1:0 რუსეთის სასარგებლოდ.

სტუმრების თხოვნის თანახმად, რუსეთის და ავსტრიის გუნდების შეხვედრა გაიმართა ხელმეორეთ ლენინგრადში. შეჯიბრებას დაესწრო 10.000 კაცი. ეს მატჩი დამთავრდა 3:1 ავსტრიელების სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში ავსტრიელმა ფეხბურთელებმა გამოააშკარავეს თამაშის უაღრესად განვითარებული კლასი და ტაქტიკა. მათ თამაშის დაწყებისთანავე ხელში აიგდეს ინიციატივა, რომელიც შეინარჩუნეს უკანასკნელ წუთებამდე.

ავიაქიმში

მოდელების საკავშირო შეჯიბრი

5 ან 10 აგვისტომდე მოსკოვში ჩატარებულ იქნება მოდელების საკავშირო შეჯიბრი.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი შეჯიბრზე გზავნის ხუთ მოდელისტს.

საქ. ავიაქიმის წესდება

დაიბეჭდა და მოკლე ხანში დაეგზავნება ადგილებს საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წესდება.

შეჯიბრი სროლაში

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო 30 ივლისს აწყობს საქალაქო შეჯიბრს სროლაში.

შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ ყველა რაიონები და მსხვილი უჯრედები.

მოტო-გადარბენა

საკავშირო მოტო-გადარბენის (მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი) ხელისმომწყობ კომიტეტის პირველ სხდომაზე არჩეული იქნა კომიტეტის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში არჩეულ არიან ამხ. შ. ელიავა, იაკუბოვი და [illegible]. კომიტეტმა გამოყო ქვე-კომისიები: სამეურნეო, სატრანსპორტო და გზის მომწესრიგებელი, საზეიმო შეხვედრის მომწყობი და კულტურული.

ამხ. გ. კუპაიძეს დაევალა გადარბენის მონაწილეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის მიზნით მოაწყოს საექიმო პუნქტები ყაზბეგში, დუშეთში და მცხეთაში.

მოტო-გადარბენის ხელისმომწყობი კომისიის ცნობით, თბილისის აღმასკომმა დაადგინა — გადარბენის მონაწილეთ მისცეს ტრამვაის ბილეთები ხოლო სახკინმრეწვის დადგენილებით გადარბენის მონაწილეთ უფასოთ აჩვენებენ კინო სურათებს.

მიღებული ცნობების თანახმად, მოტოგადარბენაში მონაწილეობას იღებენ უცხოელი მოტოციკლისტებიც.

რადიო-გადაცემა

კვირა, 29 ივლისი

დღეს, 29 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება.

დილით: საქართველოს კურორტების სამკურნალო თვისებები — მოხს. ქართულ ენაზე. პარტიის მეორე ყრილობა (ბოლშევიზმის 25 წლის თავი) — მოხს. ქართულ ენაზე. საგლეხო რადიო-გაზეთი — ქართულ ენაზე. კონცერტი რადიო-სტუდიიდან.

საღამოთი: რადიო-კვანძის რადიო გაზეთი — ქართულ და რუსულ ენებზე; სვანების ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ — მოხსენ. ქართულ ენაზე; საუბარი აგრონომიაზე — ქართულ ენაზე; კომკავშირის მუშაობა სოფლად — მოხს. ქართულ ენაზე; ბრძოლა დეფექტების აღმოსაფხვრელად კომუნისტების ყოფა-ცხოვრებაში — მოხს. რუსულ ენაზე; ტეხნიკური კონსულტაცია; მორიგი გაწვევა წითელ არმიაში — მოხს. სომხურ ენაზე; საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები — ქართულ და რუსულ ენებზე; საფოსტო ყუთი; კონცერტი ან ტრანსლიაცია; მოხსენებების შუა — მუსიკალური ნომრები.

ორშაბათი, 30 ივლისი

მასიური აგიტ-პროპმუშაობა — მოხს. ქართულ ენაზე; ტყის მოვლა-მოშენება —მოხს. ქართულ ენაზე; კომკავშირის რადიო-გაზეთი — რუსულ ენაზე; პარტიის ზრდის მოწესრიგება — მოხს. რუსულ ენაზე. ბიუროკრატიზმთან მებრძოლთა ახალი რაზმი — მოხს. რუსულ ენაზე; მოხსენება პარტიის მეორე ყრილობის შესახებ—მოხსენება თურქულ ენაზე; საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები —ქართულ და რუსულ ენებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — ქართულ და რუსულ ენებზე; კონცერტი ან ტრანსლიაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 30 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშათა სექციიდან:** ა. ბაუერს, არჩილ აღნიაშვილს, ილიკო ბეჟანიძეს, რუსანა ეგიაზაროვას, რევაზ მაყაშვილს, გეურქ ხაჩატურიანს, ანტონინა პუკასისს, მატრონა ბიბილაშვილს, ევგენია გალდაშვილს, ალექსი მაისურაძეს, ალექსანდრე ლელუაშვილს, აგრაფინა მიარელოვას, ალექსანდრა მინაევას, ბორის ნიზდერს, ევა ოგანეზოვას, იოსებ კავთიაშვილს, გასპარ ახპატელოვს და გიორგი ყაზაროვს. **შავ მუშათა სექციიდან:** ლუბა კანდელაკს, კონსტანტინე კარგარეევს, ალექსი ბარსეგოვს, აკაკი მიქელაძეს, პეტრე ნარსიას, გიორგი ადულაშვილს, ტარასი გიორგაძეს, პეტრე მაკაროვს, გრაფ შუბაევს, სერგო ხურცილავას, გიორგი მაჭავარიანს და ზაქარია ტუსიევს; **მშენებელ მუშაკთა სექციიდან:** დავით გურგენიძეს, დიმიტრი კაპიტანს, არამ არუთინიანცს ივანე მაზმანიანცს, სამუილ ნაზარიანს, არამ ბაბანოვს, გიორგი დრიძეს, არუთინ ჯანგაიანს, ლუკა ჯალალანიას, სედრაკ ცარუკოვს და ასკარ-ასან-ოღლის. **რკინის გზელთა სექციიდან:** ნინო ავაქოვას, ლიუდმილა კოზს, ლეონიდ ვიდურას, საბინ გუსს, გორგი იაროვს, პარუილ ნაბათიანს, მარგარიტა კუბჯანოვს და დიმიტრი ღვინიაშვილს; **მედსექციიდან:** მარიამ სისაკიანს, რუბენ ბეკზადიანს და რ. მოძღვრიშვილს.

დამწუხრებულნი: ცოლი დარეჯანი, შვილი ნუგზარი მალალაშვილები, ლიდა, ნიკო, ზურაბ და ნადია მგალობლიშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ა. წ. 28 ივლისს რკ. გზ. მე-6 შრომის სკოლის მასწავლებელი

ალექსანდრე (შურა) გიორგის ძე მალალაშვილი

დაკრძალვა სამშაბათს, 31 ივლისს დღის 3 საათზე, სოფ. ჩოჩეთში. (შ)

ღრმად დამწუხრებულნი: მშობლები გიორგი და ნადეჟდა მალალაშვილები, დეიდები ოლღა გედევანიშვილი-ქარციგაძისა და მარიამ გედევანიშვილი, სოლომონ მიხეილის ძე ქარციგაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა უდროოთ მათთვის საყვარელი

ალექსანდრე (შურა) მალალაშვილი

დაკრძალვა სამშაბათს, 31 ივლისს, სოფ. ჩოჩეთში. (შ)

ორშაბათიდან 30 ივლისიდან
ეთერი კინო თეატრებში დარბაზი
ნ. კოლინი
მხატვრულ სურათში
საყვარელი მაწანწალა
ჭირვეული დედაკაცი
რუფ კლიფორდის
მონაწილეობით
ნ. 1441

განთიადი	„მეორე ცოლი"	მხატვრული დრამა გადატეხილი ზამბახი
საზაფხულო ეთერი	უკანასკნელი დღე გადატეხილი ზამბახი	ნ. კოლინი სურათში საყვარელი მაწანწალა
საზაფხულო დარბაზი	ნინი შ ოსი ოსვალდის მონაწ.	მხატვრული სურათი ჭირვეული დედაკაცი
საზაფხულო პალასი	საინტერესო კინო-რომანი რობინზონ კრუზო 1 და 2 სერია	3 და 4 სერია
პროლეტარი ავლაბარი	1 და 2 სერია ამერიკელი ქალის თავგადასავალი	3 და 4 სერია

მალე 2 ახალი სურათი „საყვარელი მაწანწალა" და „ჭირვეული ცოლი" 0-50

მშენებელთა კავშირის საზაფხულო კლუბი პლეხანოვის პროსპ. 65
კვირას, 29 ივლისს
კონცერტი-ბალეტი
მონაწილეობენ: ოვჩარენკო, ვლადისლავსკაია, ბადრიძე, მესნიაევი, კაზინეცი, ბაუერი, ლასკარი, განგებლოვა, სემიონოვა, ლისიციანი, არბატოვი, გორსკი, დმიტრიევი და სულხანიშვილი.
კინო ახალი პროგრამა. როიალთან: ზორდონი.
დასაწყისი საღამოს 9 ს. ბაღში დაუკრავს სასულე ორკესტრი ბახმანის ხელმძღვან.
შესვლა კლუბის წევრთათვის 15 კ. კავშირის წევ. 25 კ. დანარჩენთათვის 40 კ.
გამგეობა.

ფოტოგრაფების და ფოტო-მოყვარულთა საყურადღებოთ
სახკინმრეწვის ფოტო-კინო მაღაზია
-გადავიდა-
რუსთაველის პროსპ. № 10 (რუსთაველის თეატრის პირდაპირ)
განყოფილება: ბათომში მესამე ინტერნაციონალის პროსპექტი № 12
მიღებულია და იყიდება
ფოტო ღია ბარათები „ბრომ-ბიკ", „მიმოზა", „გევერტ", „აეროპლანი", „აგფა" და „ლეონარ" ფასი 100 ცალი 11 მ.
საზღვარ გარეთის და რუსეთის წარმოების ფოტო ქაღალდი ყველა ფირმების.
ფოტო-ნივთები, ფირფიტები, ბლანკები ხიმიკავი და სხვ.
ყველაფერი კინემატოგრაფიისათვის
კინო კომპლექტები და ყველა მათი ნაწილები. კინო-აპარატების რემონტი. ნ. 1439

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს
ტყავტრესტი
აცხადებს, რომ ა. წ. 31 ივლისს დილის 10 საათზე ცენტრალურ საწყობში, კომონ ლუი ქუჩაზე № 82 მის მიერ დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა,
რომლითაც გაიყიდება სხვადასხვაგვარი დეფექტური ქონება და საქონელი: ფეხსაცმელის საკერი ინსტრუმენტები, ფეხსაცმელები, ფეხსაცმელის ნახევარ ფაბრიკატები (ზედაპირი), ფეხსაცმელის ფურნიტურა, საავტოგენო აპარატი ბალონებით, შორნო-საგალანტერიო საქონელი, საწერი მანქანები, მსუბუქი ავტომობილი „ფორდი", ტყავის ნაჭრები და სხვ.
საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ტყავტრესტის სამმართველო.
ნის. 1437 1—1



სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები.

მ. გორგაძე და გ. აბესაძე—პიონერ კოლექტივის საგაზაფხულო და საზაფხულო მუშაობა, გვ. 114. ფასი 60 კაპ.,

ფრ. შილლერი—ვილჰელმ ტელლი, (თარგმ. სანდრო შანშიაშვილის), გვ. 98, ფასი 60 კაპ.

მაქსიმ გორკი—მოთხრობები. გვ. 132. ფასი 50 კაპ.

ინს. 1383

მენდსანშრომის მუშაკთა საზაფხულო კლუბი

დღეს, 29 ივლისს,

სიმფონიური კონცერტი

დირიჟორ **ნ. ზ. ხეიფეცის** ხელმძღვანელობით

მონაწ. სოლისტი ე. კაპელნიცკი პროგრამაში: ტანეევი, ხეიფეც.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.

შემოღებულია მოწაფეთა ბილეთები.

შემდეგი კონცერტი 31 ივლისს, მუშათა ახალ კლუბში

მალე დაიწყება ცნობილი დირიჟორის ხესინის გასტროლები. ნ. 1436

სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა

ა ც ხ ა დ ე ბ ს

საჯარო ვაჭრობას

რკინა-ტინობის ჩაის ფაბრიკის აგებაზე ჩაქვში დაახლოებით 29.370 კუბ. მეტრის მოცულობით (რკინა ტინობი) 1.300 კუბ. მეტრამდე). ფაბრიკის წინასწარ ხარჯთაღრიცხვა უდრის 420.000 მანეთს.

საჯარო ვაჭრობა ჩატარებულ იქნება იმ წესების თანახმად, რომლებიც დართული აქვს დებულებას სახელმწიფო იჯარის შესახებ 1927 წლ. 11 მაისის თარიღით საბჭოთა კავშირის მთავრობის კანონების და განკარგულებების კრებული 7 VI—27 თარიღით № 28. ვაჭრობა შესდგება **ოთხშაბათს 15 აგვისტოს** შუადღის 12 საათ. გამგეობის შენობაში: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 25.

წინადადებები დახურულ პაკეტებში შემოტანილ უნდა იქნეს 15 აგვისტოს დილის 10 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღის 10-დან 12 საათ. გამგეობაში, ტელეფონი 10—46.

დაწესებულებებმა და პირებმა, რომლებიც არ არიან განთავისუფლებულნი ბეს შეტანისაგან, უნდა შემოიტანონ „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობის სალაროში ბე მუშაობის ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით და განცხადებას უნდა დაურთონ ქვითარი.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი" უფლებას იტოვებს არ გადასცეს იჯარა აუცილებლად იმას, ვინც წამოაყენებს ყველაზე უფრო დაბალ ფასს და საჯარო ვაჭრობის მონაწილის მიერ წარმოდგენილ ფასების გარდა იხელმძღვანელოს მის კრედიტის უნარიანობით და გამოცდილებით.

ნ. 1443 **„საქართველოს ჩაის" გამგეობა**

ამა ივლისის 28-დან იხსნება

საავტომობილო მიმოსვლა

ქუთაისს აბასთუმან შორის,

ზეკარის უღელტეხილით.

„ზაკავტოპრომტორგი"-ს ქუთაისის განყოფილება, წერეთლის ქ. № 9 (სახელმწიფო ბანკის პირდაპირ). 3—2

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების კეთილმომწყობი განყოფილება

აცხადებს ჟიურის გადაწყვეტილებას ავლაბრის თეატრის კონკურსის შესახებ. მიეცა მხოლოდ **მეორე ჯილდო** პროექტს დევიზით „ალისფერი იალქანი", რომლის ავტორი აღმოჩნდა ინჟენერი მშენებელი **ვ. ლ. ზაროუჩინსკი** დნეპროპეტროვსკიდან.

პროექტების გამოფენა ჟიურის დასკვნებით გახსნილი იქნება საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ საინჟენერო კლუბში 29, 30 და 31 ივლისს დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

კეთილმოწყობის განყოფილების

ნ. 1442. მთავარი ინჟენერი—**ქურდიანი.**

ჯან. განყოფ. ექიმთა საყურადღებოთ

ვინაიდან ხშირი არის შემთხვევა, რომ ზოგიერთი ექიმები რეცეპტებს სწერენ გაურკვევლად, რაც იწვევს შეცდომებს წამლების მომზადების დროს და რომ მომავლისათვის თავიდან იქნას აცილებული ყოველივე გაუგებრობა და უსიამოვნება, რაც შეიძლება მოჰყვეს ასეთ გაურკვევლად დაწერილ რეცეპტებს და აგრეთვე ისიც, რომ აფთიაქები უარს აცხადებენ ასეთ რეცეპტის ძიღებაზე, რის გამო ფერხდება დაზღვეულ ავადმყოფთათვის წამლების დროზე მიწოდების საქმე—ჯან. განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ექიმებს რეცეპტები გამოსწერონ გარკვეულად.

1—1 ნ. 1440 **ჯან. განყოფილება**

ქ. ჭრებალოში და მის რაიონში

გაზეთ „კომუნისტ"-ზე

ხელისმოწერა და განცხადებები

მიიღება საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ

მხ. **კოტე ცხვედიანთან**

3—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნელოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

შეერთებული დასკვნითი ბალანსი

კურორტთა მთავარი სამმართ. და მასში შემავალ ერთეულების

1-ლ იანვრისათვის 1928 წ.

აქტივი.

I. ქონება.		
1. შენობები და ტეხნიკური ანაგებები	5.010.324—12	
2. მუშათა სახლები (მუშა-ცხოვრ. გასაუმჯ. ფონდი)	106.501—77	
3. სამეურნეო, სამედიცინო და ცოცხ. ინვენტ.	631.041—03	
4. ტრანსპორტი	28.102—54	
5. მანქანები და ტეხნიკური მოწყობილობ.	409.532—01	
6. ძირითადი ქონების გადაფასება	39.107—35	6.224.608—82
II. ფულადი საშუალებანი და ფასიანი ქაღალდ.		
1. სალარო და მიმდინარე ანგ. ბანკებში	8.107—53	
2. ფასიანი და სარგებლიანი ქაღალდები	12.609—20	20.716—73
III. საქონელი და მასალები		
1. საალმშენებლო	182.093—91	
2. სურსათ სანოვაგე და მედიკამენტები	11.519—27	
3. სხვადასხვა საქონელი და მასალები	1.001.473—69	
4. ტარა	10.061—82	1.205.148—69
IV. დაუსრულებელი შენობ., ანაგებ. და კაპიტ. რემ.		470.417—39
V. დებიტორები		
1. მყიდველები	39.871—03	
2. მომწოდებლები და მოიჯარადრენი	114.223—91	
3. სხვადასხვა დებიტორები	201.743—56	
4. მუშა-მოსამსახურენი	14.409—01	
5. საწინდრები	760—00	
6. საეჭვო დებიტორები	126.551—15	
7. მიღებული თამასუქები პორთფელში	27.291—19	
8. „ „ დახურდ. ბანკ. და გადაც. ვალის ანგარიშში	526.796—17	
9. „ „ გადაცემული საკომის.	1.100—00	
10. ანგარიშ ვალდ. პირნი და სატყეოები	24.760—53	1.077.506—55
VI. ურთიერთ ანგარიში კურორტ. და ქარხნებთან		1.536.694—18
VII. შემცირება ძირითადი და საბრუნ. ფონდისა		38.441—55
VIII. ხარჯები 1928 წლის		15.219—01
ბალანსი. .		10.588.752—92

პასივი.

I. თანხები		
1. ძირითადი	5.100.942—48	
2. საბრუნავი	659.820—46	
3. საკურორტო აღმშენებლობა	170.000—00	
4. საამორტიზაციო	86.275—37	
5. სათადარიგო	27.874—41	
6. ძირითადი ფონდის გადაფასება	—	6.044.912—72
II. ფონდები და სპეც. რეზერვები		
1. მუშა მოსამსახ. ყოფაცხოვრ. გასაუმჯობ.	46.412—53	
2. სპეციალური	1.500—00	
3. საეჭვო დებიტორ. ზარალის დასაფარავად	126.551—15	174.463—68
III. დოტაციები		600.000—00
IV. სესხი და კრედიტები		
1. მთავრობის სესხი	85.000—00	
2. ვადიანი სესხები	75.000—00	
3. ბანკებში დახურდ. და ბლანკ. დასმული თამას.	526.796—17	
4. გაცემული თამასუქები	235.753—43	
5. სპეც. მიმდინარე ანგარ. ბანკებში	224.692—20	1.147.211—80
V კრედიტორები		
1. მყიდველები	10.653—00	
2. მომწოდებელნი და მოიჯარადრენი	33.904—28	
3. სხვადასხვა კრედიტორები	191.547—64	
4. ანგარიშ ვალდებული პირნი და დაწეს.	276—03	
5. მუშა-მოს მსახურენი	27.509—60	
6. საწინდრები	6.871—64	270.762—19
VI. ურთიერთი ანგ. ქარხნების და კურორტების სამმართველოსთან		1.536.694—18
VII. ძირით. და საბრუნავი თანხების გადიდება		115.952—32
VIII. მოგება		
1. 1926 წლის გაუნაწილებელი	113.704—98	
2. მოგება 1927 წლის	585.021—05	698.726—03
ბალანსი. .		10.588.752—92

მოგება ზარალის ანგარიში

დებეტი

ხარჯები:		
პირადი შემადგენლობის შენახვა, სამეურნეო და სავაჭრო ხარჯები	1.177.340—78	
შენობებ.-ანაგებებთა, მანქანების და არხების შენახვა და საამორტ. ხარჯ.	236.198—13	
ავადმყოფთა კვება-შენახვა	108.805—88	
ხე-ტყის დამზადება	129.638—17	
გაცემული %% და კომისია	73.455—58	
სხვადასხვა ხარჯები	43.009—64	
მოგება 1927 წლის	585.021—05	2.553.469—23

კრედიტი

შემოსავალი:		
სამკურნალო ხასიათ. წამოწყებათაგან და მოწყობილებათაგან და კომუნალური დარგის წამოწყებათაგან	638.694—61	
სავაჭრო-სამრეწველო და დამხმარე წარმოებ.	203.643—42	
სატყეო და სასოფლო მეურნეობათაგან	610.627—07	
სხვადასხვა შემოსავალი	265.210—58	
ბორჯომის მინერ. წყლის და ნახშირ-მჟავა გაზის გაყიდვისაგან	797.382—08	
მიღებული %% და კომისია	37.911—47	
		2.553.469—2

მოგების განაწილება

1. 10% მუშა-მოსამსახ. ყოფა-ცხოვრ. გასაუმჯ. ფონდში	58.502—11	
2. 25% სარეზერვო თანხაში	146.255—26	
3. 0,25% წასაქეზებელ ჯილდოს ფონდში	1.462—55	
4. 64,75% საკურ. საქმ. გასაფართოებელ და გასაუმჯობ. სპეციალურ ფონდში	378.801—13	585.021—05

აღნიშნული ბალანსი დამტკიცებულია ა. წ. 11 ივნისს, ოქმი № 3, წლიური ანგარიშების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ.

ნ. 1430

კურორტთა მთავარ სამმართველოს
უფროსის მოადგილე ბოჭორიშვილი
მთ. ბუხჰალტერი ჭუმბაძე

საქ. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ მრეწველობის სახელმწიფო ტრესტი

დასკვნითი ბალანსი

1927 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის.

აქტივი

მუხლების დასახელება	თანხა	
	კერძო	საერთო
I. ქონება		
1. შენობები საწარმ., დამხმარე და სავაჭრო მნიშვნელობის	274.605—36	
2. ძალური დადგმულება	51.700—00	
3. ტეხნიკური გაწყობილება და მანქანები	789.660—82	
4. იარაღი	9.180—50	
5. სამნეო ინვენტარი	193.283—35	
6. შრიფტი	239.593—33	1.558.023—36
II. მასალა		
1. ნედლეული და ძირითადი მასალა	116.979—72	
2. დამხმარე მასალა	109.800—91	
3. სათბობი მასალა	413—47	227.194—10
III. დაუმთავრებელი წარმოება		103.877—87
IV. საქონელი და მზა-ნაწარმი		
1. ქარხნების საწყობებში (შრიფტი)	59.735—79	
2. სამმართველოს საწყობებში და მაღაზიებში	67.836—29	127.572—08
V. ფულადი სახსარი		
1. კასა (ნაღდი ფული, ჩეკები, მარკები და სხვა)	2.939—16	
2. მიმდინარე ანგარიშები	5.446—06	8.385—22
VI. ფასიანი და %% ქაღალდები		780—00
VII. პაიები და აქციები სხვა საწარმოთა		5.268—39
VIII. სამისაღებო თამასუქები და დოკუმ.		
1. თამასუქები პორთფელში	8.575—82	
2. პროტესტქმნილი თამასუქები	630—11	
3. ბანკებში განაღდებული თამასუქები	169.786—48	178.992—41
IX. ანგარიშ-სავალდებულო თანხები		840—27
X. დებიტორები		
1. მუშა-მოსამსახურენი	4.365—14	
2. მომწოდებლები და მონარდენი	21.771—68	
3. მყიდველები და დამკვეთლები	165.669—34	
4. სხვადასხვა დებიტორები	9.108—62	
5. საეჭვო დებიტორები	39.484—73	
6. უიმედო დებიტორები	42—00	240.441—51
ბალანსი . . .		2.451.375—21

პასივი

მუხლების დასახელება	თანხა	
	კერძო	საერთო
I. კაპიტალები		
1. საწესდებო კაპიტალი		1.835.654—63
2. საამორტიზაციო კაპიტალი		91.658—48
3. სარეზერვო კაპიტალი		17.684—55
II. ფონდები		
1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრ. გაუმჯობეს. ფ. (თავის. ნ.)		5.412—76
2. საწარმოთა ხელმძღვ. პერსონ. წამახალ. ჯილდოს ფონდ.		68—98
3. პროფტეხნიკურ განათლების ფონდი		118—78
III. საეჭვო ვალების რეზერვი		19.742—36
IV. ბანკები სპეციალ. მიმდინარე ანგარიშებით (უზრ. თამას.)		34.330—00
V. გაცემული თამასუქები		104.658—80
VI. ბანკები განაღდებულ თამასუქებით		169.786—48
VII. კრედიტორები		
1. მუშა-მოსამსახურენი	7.044—39	
2. მომწოდებლები და მონარდენი	96.419—09	
3. მყიდველები და დამკვეთლები	18.465—10	
4. გადაუხდელი გადასახადები და ვალდებულებანი:		
ა) სოცდაზღვევის	29.234—79	
ბ) სხვადასხვა გადასახადები	213—00	
5. სხვადასხვა კრედიტორები	19.786—42	171.162—79
VIII. მოგება საანგარიშო წლისა		1.096—60
ბალანსი . . .		2.451.375—21

ბალანსის იქითა მუხლები

1. საკომისიოდ აღებული საქონელი	328—32
სულ	2.451.703—53

1. კომიტენტები	328—32
სულ	2.451.703—53

ბალანსის გარეშე

1. მიწა 1.866 კვ. საჟ.	33.150—00
2. საწესდებო კაპიტალზე დარიცხული 1 ოქტ. 1926 წ. საამორტიზაციო ანარიცხების ნაშთი	108.298—23

დებეტი

მუხლების დასახელება	თანხა	
	კერძო	საერთო
1. სავაჭრო ხარჯები		18.542—01
2. საერთო-საადმინისტრაციო ხარჯები		51.298—11
3. გადახდილი პროცენტები		15.647—32
4. მასალის და საქონლის დანაკლისი		3.564—91
5. %% -იან ქაღალდების რეალიზაციით მიღებულ ზარალი		120—00
6. უიმედო ვალების ჩამოწერა		139.668—44
7. ანარიცხი საეჭვო ვალების რეზერვში		6.331—98
8. ზარალი გასული ქონებიდან		4.715—92
9. სხვადასხვა ხარჯი და ზარალი		7.610—41
ჯამი. .		247.499—10
სალდო: წმინდა მოგება		1.096—60
ბალანსი. . .		248.595—70

კრედიტი

მუხლების დასახელება	თანხა	
	კერძო	საერთო
1. მოგება საქონლის რეალიზაც. (შინ. ბაზ.).		87.685—30
2. მოგება მასალის რეალიზაციიდან		12.622—38
3. მოგება საკომისიო საქონლის რეალიზაც.		10—00
4. მიღებული პროცენტები		
ა. %%-იან ქაღალდებიდან	256—40	
ბ. მიმდინარე ანგარიშებიდან	399—58	
გ. ანგარიშებიდან და თამასუქებ.	9.802—84	10.458—82
5. მასალის და საქონლის მეტობა		3.128—10
6. საეჭვო ვალების რეზერვის შემცირება		130.740—15
7. სხვადასხვა შემოსავალი და მოგება		3.950—95
ჯამი. .		248.595—70
სალდო: წმინდა ზარალი		
ბალანსი. . .		248.595—70

მოგების განაწილება

მოგება—1.096 მ. 60 კ. განაწილებულია შემდეგნაირად:

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა ცხოვრების გაუმჯობეს. ფონდში	10 %—109—66
2. სარეზერვო კაპიტალში	10% —109—66
3. გრძელვადიან კრედიტის ფონდში	10 %—109—66
4. საწარმოს გასაფართოებულ კაპიტალში	25% —274—15
5. საწარმოთა ხელმძღვან. პერს. წამახ. ჯილდოს ფონდში	0,25% — 2—74
6. ხაზინის სასარგებლოდ	44,75% —490—73
ჯამი	100 %—1.096—60

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმი № 1—17—IV—28 წ., მუხ.—9)

სმუს პოლიგრაფტრესტის მმართველი ხარაზიანი

მთავარი ბუხჰალტერი ქურციკიძე

ნის. 1438

სმუს მთ. ბუხჰალტერი ჯანელიძე

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთაუვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. **სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.**

ღებს: დილის 7—8 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

მათემატიკის მასწავლებელი

ი. მაჩაიძე

ამზადებს

ქართულ და რუსულ ენაზე

უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 9—1 2974

ავადმყოფი ბავშვები,

რომელთაც სურთ მოხვდენ მეორე რიგში **მანგლისის სატუბერკულიოზო საბავშვო სანატორიუმში** კლიმატიურ აქიმობისათვის, უნდა გამოცხადდენ ტუბდისპანსერში (ბორჯომის ქ. № 10) ა. წ. 2 აგვისტოს დილის 8 საათზე და უნდა გაიარონ საექიმო კომისიაში.

ჯანმრთელობის განყოფილება.

1—1 ნ. 1430

ქალ. ქუთაისში

გაზ. „კომუნისტ"-ზე ხელისმოწერა

ბინაზე მიტანით **მიიღება კონტრაგენტ**

მინა ტყაბლაძესთან

როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. დ. ლომთაძე

აცხადებს, რომ ის 14 აგვისტოს 1928 წ. დღის 12 საათზე სოფ. გორაში, ქუთაისის მაზრაში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე ილორდის-ძე ლილუაშვილის ოთხ საპალნე თეთრ შუმ ღვინოს, შეფასებულს 220 მან., დასაკმაყოფილებლად გიორგი მანუჩარის-ძე ჩიჯავაძის ფულადი გადასახადისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3160

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი

გ. ი. ტლაშაძე

აცხადებს, რომ ის 2 აგვისტოს 1928 წ. დღის 12 საათზე ქალ. გორში ლენინის ქუჩაზე მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სერგო პავლეს-ძე გრიცენკოს მოძრავ ქონებას: ავტომობილის (მარკა „სამბოიმი") ნახევარ უფლებას პირველ შეძლეულ ფასიდან სანდრო სამხარაძის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლათ შეფასებულს სულ ნახევარი 100 მ. თანახმათ ქ. გორის უბნის სახ. სასამართლოსაგან. 3157

ქ. თბილისის მე-5 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ.

ბ. გამაზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 2 აგვისტოს 1928 წ. დღის 2 ს. ბაღში ყოფ. მაიერისა დიდუბის მე-10 შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანტონ მაქსიმეს-ძე კანკავას მოძრავ ქონებას: ნახმარი ერთი „ტაჩკა", ერთ-ღერძიანი და სათქურები თავისი მოწყობილობ თ ხუთი ცალი შეფასებულს 120 მანეთად, მოსე გუტუს-ძე ქვირკველიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 სანოტარო კანტორისგან 20 ივლისიდან 1925 წ. თარიღით, № 2023 გაცემულ აღმასრულებელ წარწერისა. 3155

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 1 აგვისტოს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 9 განოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოძრავ ქონებას: რკინის სალაროს, ვენურ სკამებს, საბარგო ავტომობილის შინებს და სხ. შეფასებულს 1140 მანეთად, საბჭოთა მუშაკების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 1860 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3158

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამარ. აღმასრულებ.

ლ. ჭაჭიაშვილი

აცხადებს, რომ ის 3 აგვისტოს ნაშუადღევის 1 საათზე ქ. ზესტაფონში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გრიგოლ ივანესძე მუმლაძის უძრავ ქონებას—ორ სართულიან მოუთავებელ სახლს, შეფასებულ 700 მან. ასოფა მაღლაკელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ზესტაფონის ნოტარიუსის 29 დეკემბრის 1927 წლის № 489 აღსრულებითი წარწერის. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან და მოხდება 311—312 მუხ. ს. ს. ს. კ. დაცვით. ნ. 1444

დაიკარგა: მიწატყის კავშირის წიგნაკი № 9246 და ცხენის აღრიცხვის წიგნაკი სერია 3114 № 405. რევაზ გიორგის-ძე ჯაბადარის სახელზე. ჩ. გ. 3151

დაიკარგა: განათლების მუშ. კავშირის წიგნაკი № 10866 თამარა კამკამიძის სახ., ჩ. გ. 3152

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 033910, ჩ. გ. 3153

დაიკარგა: წყნეთის თემ აღმასკომის შესამოწმებელი ბეჭედი, ჩ. გ. 3154

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი ოლღა ქველის ასული წულუკიძის სახელზე, ჩ. გ. 3159

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.